

კ ა დ მ ო ს ი

ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი

13.2021

K A D M O S

A Journal of the Humanities

13.2021



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ILIA STATE UNIVERSITY

თბილისი 2021 Tbilisi

რედაქტორი: ნინო დობორჯგინიძე
სარედაქციო კოლეგია: ნინო აბაკელია
შუქია აფრიდონიძე
ვინფრიდ ბოდერი
ზურაბ კიკნაძე
ლუიჯი მაგაროტო
თამარ მახარობლიძე
დონალდ რეიფილდი
გურამ ყიფიანი
ნინო ჭიჭინაძე
ელენე ტატიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)

Editor-in-Chief: Nino Doborjginidze

Editorial Board: Nino Abakelia
Shukia Apridonidze
Winfried Boeder
Nina Chichinadze
Zurab Kiknadze
Guram Kipiani
Luigi Magarotto
Tamar Makharoblidze
Donald Rayfield

Editorial Assistant: Elene Tatishvili

ჟურნალი რეფერირებადია

This journal is peer-reviewed

ყდაზე: სამადლოს ელინისტური ხანის პითოსის მოხატულობის
ფრაგმენტი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

On the cover: a fragment of a decorated Hellenistic pithos from
Samadlo (The Georgian National Museum)

© 2021, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© 2021, Ilia State University

ISSN 1987-8788 ბეჭდური

ISSN 2449-3147 ელექტრონული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

2012 წლის 28 ივნისს EBSCO-სთან (EBSCO Publishing) გაფორმებული სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“ EBSCO-ს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხაში შევიდა. EBSCO-ს მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ჟურნალ „კადმოსში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ინტერნეტსივრცეში განთავსებას, გავრცელებასა და ავტორიზებულ მომხმარებელთათვის მათ ხელმისაწვდომობას.

On 28 June 2012, Ilia State University signed a license agreement with EBSCO Publishing Inc. on the dissemination of the content of *Kadmos* through EBSCO Publishing databases.

სარჩევი Contents

სტატია / Articles

- ეფრემ ლომიძე** – წმ. ნინო. ქალის მიერ საქართველოს გაქრისტიანება და ამით განპირობებული გამოწვევები ეკლესიისთვის.....9
- Ephräm Lomidze** – Die hl. Nino. Zur Christianisierung Georgiens durch eine Frau und die damit verbundenen Herausforderungen für die Kirche36
- Ephrem Lomidze** – Saint Nino. On the Christianisation of Georgia through the Agency of a Woman, and the Related Challenges for Its Church (Summary)60
- თამარ მახარობლიძე, თამარ არჩვაძე** – დანიშნულების შესტის მორფო-სემანტიკა ქართულ შესტურ ენაში63
- Tamar Makharoblidze, Tamar Archvadze** – On Morphosemantics of the Destination Sign in GESL.....81
- ნიკა ხოფერია** – მომთაბარეები იმპერიებს შორის: ჰუნები და ალანები ლაზიკის ომში (VI ს.).....96
- Nika Khoperia** – The Nomads between the Empires: The Huns and Alans during the Lazic War (6th century)108

რეცენზია / Brief Review

- Elene Ladaria** – Tiziana Suarez-Nani, Tamar Tsopurashvili (eds). Hérítages platoniciens et aristotéliens dans l'Orient et l'Occident (IIe–XVIe siècles)119
- ელენე ლადარია** – პლატონური და არისტოტელური მემკვიდრეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში (II-XVI საუკუნეები)
- აბსტრაქტი / Abstract**.....128
- იუბილე / Jubilees**130
- მზექალა შანიძე** – 95
- ჰაინც ფენრიხი** – 80
- აბსტრაქტი / Abstract**.....163

უცხოური ქართველოლოგია / *Kartvelian Studies Abroad*

ბერნარ უტიე – ხელნაწერი თბილისი A-249: არაბულიდან
თარგმნილი კრებული და მისი პირველადი სახე (ფრანგულიდან
თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა) 164

Bernard Outtier – Le manuscrit Tbilisi A-249: un recueil traduit de
l'arabe et sa physionomie primitive (translated from French
by Tsisana Bibileishvili)

ჩვენი ავტორები / *Contributors*..... 177



მზექალა შანიძე – 95*



ჰაინც ფენრიხი – 80**

*ფოტო გადაღებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაზე

**ფოტოს ავტორია იან-პეტერ კასპერი (იენის უნივერსიტეტი)
Autor des Fotos: Jan-Peter Kasper (Universität Jena).

სტაბია

ეფრემ ლომიძე

წმ. ეფრემ ასურის სახელობის აღმოსავლურ-დასავლური
სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

წმ. ნინო

ქალის მიერ საქართველოს გაქრისტიანება და ამით განპირობებული გამოწვევები ეკლესიისთვის

საკვანძო სიტყვები: ქართლის მოქცევა (გაქრისტიანება), თეოგ-
ნოსტა, წმინდა ნინო, საეკლესიო იერარქია, საქართველოს ეკლესია,
სამოციქულო მემკვიდრეობა, ლიტურგია, მარტირია და დიაკონია

წმინდა ნინო საქართველოს (იბერიის) განმანათლებლად
ითვლება.¹ უჩვეულო აქ ის არის, რომ ეს პატარა, ძველი ქრისტიანუ-
ლი ქვეყანა ქალმა მოაქცია,² რაც აგრეთვე უჩვეულო უნდა ყოფილიყო
პატრიარქალური საზოგადოებისთვის. წინამდებარე ნაშრომში, ჩემთ-
ვის ხელმისაწვდომ ქართულ თუ არაქართულ პირველად წერილობით
წყაროებზე დაყრდნობის და ამ წყაროების თეოლოგიური ანალიზი-
სა და ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის საფუძველზე, პასუხი უნდა
გაეცეს შემდეგ კითხვებს: შეეძლო თუ არა საქართველოს განმანათ-
ლებელ ქალს ძირითად საეკლესიო საიდუმლოებრივ (საკრამენტულ)
მსახურებათა აღსრულება ანდა ეკლესიის სამი ძირითადი თვისებ-
რივი მახასიათებლის (მარტირია, ლიტურგია და დიაკონია) რომელ
სფეროში მოქმედებდა ის. ამისათვის პირველ ნაწილში მოკლედ მიმო-

1 წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 2021 წლის 15 ივნისს ვენის უნივერსიტეტში
ჰაბილიტაციის პროცესში წაკითხული მოხსენების წერილობით რედაქციას.

2 ქართლის მოქცევის შესახებ ყველაზე ადრეული წერილობითი ფიქსაცია
შემონახულია რუფინუსთან, იხ. Rufinus, *Kirchengeschichte*, X, 11; Edition: Eusebius
von Cäsarea, *Die Kirchengeschichte/Historia ecclesiastica*. Teil 2: *Die Bücher VI bis X. Über
die Märtyrer in Palästina*. Herausgegeben von Eduard Schwartz. Die lateinische Überset-
zung des Rufinus bearbeitet von Theodor Mommsen. Griechisch und Lateinisch (GCS 9/2)
(Leipzig: J. C. Hinrichs'sche Buchhandlung, 1908), 973–976, PL 21, 480–482; ქართლის
მოქცევის შესახებ გერმანული თარგმანი იხ.: Ilma Reißner, *Georgien, Geschichte –
Kunst – Kultur* (Freiburg u.a.: Herder, 1989), 24–26.

ხილულია ადრექრისტიანული ეკლესიის წევრი ქალების მიერ განვლილი გზების ვარიანტები. ეს ვარიანტები უკვე კონკრეტულად განიხილება მომდევნო ნაწილში წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის მაგალითზე სხვადასხვა ენაზე შექმნილ წყაროებზე დაყრდნობით. მესამე ნაწილში კი ამ მსჯელობას მოსდევს დისკუსია წმინდა ნინოს, როგორც განმანათლებელ ქალზე, რა დროსაც განიხილება როგორც მისი მასკულინიზაციის ტენდენციები, ასევე პოზიტიური შეფასების მაგალითები. მეოთხე და მთავარ ნაწილში, წმინდა ნინოს მაგალითზე, წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ქალის სამოქმედო სივრცე ძველ ეკლესიაში, კერძოდ ეკლესიის ზემოთ ხსენებული ცნობილი სამი ძირითადი თვისებრივი მახასიათებლის შუქზე.

1. ადრექრისტიანული ეკლესიის წევრი ქალების გზები

პირველი ქრისტიანული ეკლესიის წევრი ქალების მსვლელობათა სხვადასხვა ფორმაა ცნობილი, რაც ორ ძირითად გზამდე დაიყვანება, ესენია: ქალების, როგორც პირველი ქრისტიანი პილიგრიმების ნებაყოფლობით სვლა და ტყვე ქალთა უნებლიე გზები. მეოთხე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ქრისტიანმა მომლოცველებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა, დაიწყეს პილიგრიმობა იერუსალიმსა და მის შემოგარენში. ქალთა ამ პირველი დიდი ნებაყოფლობითი, ქრისტიანული რწმენით მოტივირებული მსვლელობის შემთხვევაში, საქმე გვაქვს „დასავლური წარმომავლობის ქალთა“ ქრისტიანულ *peregrinatio*-სთან. 2019 წლიდან ხელმისაწვდომია საკითხის მეცნიერული გამოკვლევა ევა-მარია გერტნერის წიგნში სათაურით: წმინდა მიწის მომლოცველები ლათინური დასავლეთიდან მეოთხე საუკუნეში. მათი ბიოგრაფიების, მოგზაურობის, ჩანაწერებისა და მოტივების პროსოპოგრაფიული კვლევა.³ ამ კუთხით ავტორი წიგნში განიხილავს პილიგრიმ ქალებს ევთროპიას, დედოფალ ელენეს, მელანიას, ეგერიას, პაულას, იულია ევსტოხიუმს, ფაბიოლას, პიმენიასა და სილვიას. პილიგრიმობის მოტივაციის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნიმუშს ვხვდებით წმინდა ეფრემ ასურთან (გარდ. 373), კერძოდ, რწმენას იმისა, რომ პილიგრიმის ცხოვრების წესი ღმერთის შეცნობის გზაა, როგორც ამას მარტინ გეორგე განმარტავს თავის სტატიაში პილიგრიმობის ესქატოლოგიური დასაბუთების შესახებ.⁴ ქალთა ამ ნებაყოფლობით

3 შდრ. Eva-Maria Gärtner, *Heilig-Land-Pilgerinnen des lateinischen Westens im 4. Jahrhundert. Eine prosopographische Studie zu ihren Biographien, itinerarien und Motiven* (JThF 34) (Münster: Aschendorff, 2019), 14.

4 შდრ. Martin George, „Die eschatologische Begründung des Pilgers in der evangelischen Theologie und Spiritualität,“ in *Pieigrzymi, drogi, święte miejsca Pilgern – Wege, Heilige Orte. Seelsorge im Kontext von Menschen unterwegs*, Michaela C. Hastetter und Maciej Ostrowski,

თი ქრისტიანული მოძრაობის გვერდით აუცილებლად უნდა შევეხოთ ქრისტიანი ტყვე ქალების გზებს, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავდაპირველი ადგილსამყოფელი.

ადრექრისტიანულ ხანაში ქალების მსვლელობის ამ ორი, ნებაყოფლობითი და უნებლიე, გზის გასაყარზე დგას წმინდა ნინო, რომელიც IV–V საუკუნეების ადრეულ არაქართულ წყაროებში იხსენიება, როგორც *captiva*, ანუ ტყვე, ხოლო გვიანდელ, X საუკუნის ქართულ წყაროებში წარმოჩენილია როგორც *peregrina*, ანუ პილიგრიმი და მოგზაური მისიონერი. წყაროების ეს ცნობები უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

2. ქალების გზა და საქართველოს გაქრისტიანება – წყაროების ცნობები

2.1 ნინო, როგორც *captiva* (ტყვე) IV საუკუნით დათარიღებულ და გვიანდელ წყაროებში

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია წყაროები, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს ნინოს, როგორც ტყვე ქალის შესახებ. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი ასეთი წყაროა რუფინუსის ლათინური ჩანაწერი თავის *ეკლესიის ისტორიაში*, რომელიც ეფუძნება ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლის, ვინმე ბაკურის ზეპირ მონათხრობს.⁵ არსებობს სამეცნიერო ვარაუდი, რომ რუფინუსი ეყრდნობა გელასი კესარიელის *ეკლესიის ისტორიას*, ბერძნულ ენაზე დაწერილ წყაროს, რომელიც დაკარგულად ითვლება. ამდენად, არსებობს საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ბაკურის მიერ ქართლის გაქრისტიანების შესახებ თავდაპირველი ზეპირი გადმოცემის სახით, საქმე გვაქვს თავად ქართულ ექსპორტთან უცხოეთში, რაც გელასი კესარიელისა თუ რუფინუსის ლიტერატურული ძეგლების მეშვეობით იქნა ტრადირებული.⁶ სავარაუდოდ, ბაკური ისტორიული პირია, რომლის ცხოვრების შესახებ მოკლე ჩანაწერი ჩნდება რუფინუსის უძველეს მონათხრობში საქართველოს გაქრისტიანების შესახებ:

(Kraków-Trumau: Unum, 2016), 460f.

5 ბაკურის შესახებ იხ. აგრეთვე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, „თემისტიოსი და ბაკური იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი“, ქართული წყაროთმცოდნეობა 12 (2010), 123–138.

6 შედარებისთვის იხ. უფრო დაწვრილებით Anton Glas, *Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia: die vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins* (Byzantinisches Archiv 6) (Leipzig u.a.: Teubner, 1914).

ამის შესახებ მეტად სანდო ბაკურმა გვიამბო, იმ ხალხის მთავარ-მა და ჩვენი იმპერატორის ოჯახის წევრმა, რომელმაც რწმენისა და სიმართლის მსახურებაში დიდი გულმოდგინება დაამტკიცა, მაშინ როცა ჭეშმარიტად მეგობრულად განწყობილი ჩვენთან ერთად იმყოფებოდა იერუსალიმში, როგორც მთავარსარდალი, იმპერიის პალესტინის საზღვრის მცველი.⁷

რუფინუსთან ბაკურის ნაამბობი ასე უღერს:

მაშინ პონტოს ზღვის პირას მცხოვრებმა იბერებმაც ისმინეს ღვთის სიტყვა და ირწმუნეს სასუფეველი ღვთისა. ეს დიდი მაღლი მათ ერთი ტყვე ქალის (*mulier quaedam captiva*=დატყვევებული ქალის) წყალობით მოიპოვეს, რომელიც მათთან დარჩა.⁸

ამ მოტივს – *captiva* რუფინუსის გადმოცემიდან მეტნაკლებად სრულად (ოდნავი განსხვავებებით), იმეორებენ სხვა ბერძენი ავტორებიც. მათ შორისაა სოკრატე⁹, სოზომენი¹⁰, თეოდორიტე კვირელი¹¹, კიზიკელი ანონიმი ავტორი¹² და თეოფანეს ქრონოგრაფია¹³. ყველა ამ ავტორს საერთო აქვს ის, რომ უცნობი რჩება *captiva*-ს სახელი და წარმომავლობა, ისე როგორც მისი ტყვეობაში ყოფნისას განვლილი გზა. ტყვეობას (*captiva*) მიაწერენ მას V–VIII საუკუნეების ადრეული ბერძნული წყაროებიც. *captiva* იყო ქალი, რომელმაც ქრისტიანობა იბერი-აში (საქართველოში) შეიტანა – რწმენა, რომელიც ქართულმა სამეფო საგვარეულომ და სრულიად ერმა მიიღო.

7 Rufinus, X, 11; გერმანული თარგმანი: Reißner, 24.

8 იქვე.

9 შდრ. Sokrates, *Kirchengeschichte*, V, 16,9; იხ. *Sokrates Kirchengeschichte*. Kritisch ediert und herausgegeben von Günther Christian Hansen. Mit Beiträgen von Manja Sirinjan (GCS. NF 1) (Berlin: De Gruyter, inc, 1995), 290.

10 შდრ. Sozomen, *Kirchengeschichte*, II, 7, Erster Teilband. Übersetzt und eingeleitet von Günther Christian Hansen (FC 73/1) (Turnhout: Brepols, 2004), 1-12.

11 შდრ. Theodoret von Cyrus, *Kirchengeschichte*, I, 24,1-13; ბერძნული გამოცემა: Theodoret, *Kirchengeschichte*. Herausgegeben von Leon Parmentier, durchgesehen von Günther Christian Hansen (GCS. NF 5) (Berlin: Akademie-verl., 1998³), 76-78; გერმანული თარგმანი: Theodoret von Cyrus, *Kirchengeschichte*. Aus dem Griechischen übersetzt und mit Einleitung und Anmerkungen versehen von Andreas Seider (BKV I/51), Bd. 2 (Kempten, München: Josef Kösel & Friedrich Pustet, 1926), 74-77.

12 შდრ. Anonymus von Cyzicus, *Kirchengeschichte*, III, 10,1-21; გერმანული თარგმანი: *Historia ecclesiastica. Kirchengeschichte*. Zweiter Teilband. Übersetzt und eingeleitet von Günther Christian Hansen (FC 49/2) (Turnhout: Brepols, 2008), 392-403.

13 Theophanis, *Chronographia*. Recensvit Carolus de Boor. Textvm Graecvm Continens, Bd. 1 (Lipsiae: B. G. Teubneri, 1883), 24, Z. 10-18; ინგლისური თარგმანი იხ.: *The Chronicle of Theophanes Confessor. Byzantine and Near Eastern history AD 284-813*. Translated with introduction and commentary by Cyril Mango and Roger Scott, with the assistance of Geoffrey Greatrex (Oxford: Clarendon Press, 1997), 37f.

ამ ლათინურ-ბერძნული ტრადიციის მიმართულების გვერდით აღსანიშნავია VI-VII საუკუნეების კოპტურ-საჰიდური წყაროები¹⁴, სადაც ტყვე ქალი პირველად მოიხსენიება სახელით. წყაროები მოგვითხრობენ ქალწულზე, სახელად თეოგნოსტაზე, თუმცა ეს საკუთარი სახელი კი არა, უფრო თეოლოგიური არსის მქონე სიმბოლური სახელწოდება უნდა იყოს, რაც უნდა ნიშნავდეს ღმერთის შემცნობელ ქალს. ამით სახელში გამოიხატა ღვთაებრივი აქტი, როცა ქალწულის ღვაწლით წარმართმა საქართველომ ღმერთი შეიცნო (*theognosis*). სავარაუდოდ, თავდაპირველად ბერძნული გადმოცემებიდან მოპოვებულმა ცოდნამ უსახელო *captiva*-ს შესახებ ზეპირი ტრადიციის გავრცელების გზით ეგვიპტეს მიაღწია და იქ ქალწულის საქმეთა არსი ადამიანის სახელში კრისტიალიზირდა. ქალწულ თეოგნოსტას გზა პირველად აღწერა იოანე ნიკიუსმა თავის ქრონიკებში, თუმცა საქართველოს გაქრისტიანების ამბავი, გადამწერის შეცდომის გამო, გადაიტანა იემენში, არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში:

106. მისი [იმპერატორ კონსტანტინეს] გარდაცვალების შემდეგ, იემენის ხალხმა ერთი წმინდანი ქალის, სახელად თეოგნოსტას, შემწეობით, შეიცნო ღმერთი და მოეფინა მას უფალი ჩვენი იესო ქრისტეს დიდების ნათელი – დიდება მასდა!

107. ის [თეოგნოსტა] იყო ქრისტიანი ქალწული, რომელიც მოიტაცეს რომის იმპერიის საზღვრის კიდესთან მდებარე მონასტრიდან და მიჰგვარეს იემენის მეფეს ძღვნად.¹⁵

საქართველოს განმანათლებლის გზის საწყისი ადგილი გაურკვეველი რჩება. სახელდება მხოლოდ რომის იმპერიის განაპირა საზღვრებთან მდებარე მონასტერი, ყოველგვარი დამატებითი მითითების გარეშე. თუმცა, აქ წმინდანი კვლავინდებურად *captiva*-დ მოიხსენიება, რომელიც, როგორც ადრექრისტიანული ხანის ქალი, 337 წლიდან (კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღი) მოყოლებული, გზაშია, უფრო ზუსტად – გაუყენეს გზას.

სომხურ წყაროებსა და თარგმანებში *captiva*-*Theognosta* იძენს ახალ სახელს, რომლის შესახებაც ბევრი მოსაზრება გამოთქმულა. სოკრა-

14 შდრ. ლათინური აღწერა, Nr. CLXVIII მესამე ნაწილში „Codices Sahidici“, in Zoega, Georgio, *Catalogus Codicum Coptorum manuscriptorum qui in museo Borgiano Velitris adservantur. Cum VII Tabulis aeneis* (Romae: Typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1810), 287; Oscar von Lemm, „Kleine koptische Studien I-IX“, *Bulletin de l'Académie impériale des Sciences* 10 (1899), 427-430; Johannes von Nikiu, *Chronicle LXXVII*, 106-112; ინგლისური თარგმანი: *The Chronicle of John, Coptic Bishop of Nikiu (c. 690 A.D.)*. Translated by Robert Henry Charles (Text and Translation Society, London 3) (Amsterdam u.a.: APA Philo Press, 1916), 58-70.

15 Johannes von Nikiu, LXXVII, 106f.

ტეს ეკლესიის ისტორიის¹⁶ ფილონ ტირაკისეულ სომხურ თარგმანში ტყვე ქალს ნუნე დაერქვა, რაც გადმოიღო მოვსეს ხორენაცმა.¹⁷ თანამედროვე კვლევებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის თაობაზე, თუ რომელი ტექსტის ფენაა უადრესი – მოვსეს ხორენაცის ნაშრომი თუ ფილონ ტირაკის თარგმანი.¹⁸ ჩვენი საკვლევი თემისთვის კი აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფილონ ტირაკი ნუნეს მწირობის მიზეზს „ქრისტეს გულისთვის დევნაში“¹⁹ ხედავს და მის გზასაც, როგორც დღეს ვიტყვით, ლტოლვილთა მიგრაციის რიგს მიაკუთვნებს.

2.2 ნინო, როგორც peregrina (პილიგრიმი) და მოგზაური მისიონერი (X საუკუნისა და უფრო გვიანდელი წყაროებში)

გაცილებით უფრო გვიანდელი თხრობის ტრადიცია, რომელიც ქართულ წყაროებში მხოლოდ X საუკუნეში ჩნდება, იბერიის განმანათლებელს წარმოაჩენს პილიგრიმად და მოგზაურ მისიონერად, რომელიც ამჯერად არა ლათინური დასავლეთიდან, არამედ ბიზანტიური აღმოსავლეთიდან, თვით იერუსალიმიდან გაემართა საქართველოსკენ. ამით ნინოს გზა წარმოგვიდგება, როგორც ნებაყოფლობითი მსვლელობა, ამ შემთხვევაში, ერთი წმინდა ადგილიდან მეორემდე. წყაროები გვთავაზობენ აგრეთვე მიზეზთა ფართო პალიტრას, თუ

16 შდრ. Klein Sokrates, *Kirchengeschichte I*, 23; *Sokratay sk'olastikosi, Ekelec' akan Patmut' iwn ew Patmut' iwn va-ruc' srboyn Silbestrosi episkoposin*. Herausgegeben von Mesrop Tēr-Movsēsean, Bd. 1 (Vagharshapat, [Verlag unbekannt], 1897), 61–67. – ტექსტის ამ ნაწილის ინგლისური თარგმანი იხ. [Klein Sokrates], *The Armenian adaptation of the ecclesiastical history of Socrates Scholasticus [commonly known as “The Shorter Socrates”]*. Translation of the Armenian Text and Commentary by Robert W. Thomson (Hebrew University Armenian Studies 3) (Leuven: Peeters, 2001), 55–57.

17 შდრ. Moses von Chorene, *Geschichte Gross-Armeniens*, II, 85–86; გერმანული თარგმანი: Moses von Chorene, *Geschichte Gross-Armeniens*. Aus dem Armenischen übersetzt von Max Lauer (Manz u.a.: PU: Salzwasser-Verlag GmbH, 1869), 146–148; მოვსეს ნაშრომის „დიდი სომხეთის ისტორიის“ სომხური ორიგინალისთვის შდრ. Gyzoghian, Hovhanness, ed., *Armenian. Classical Authors. 5. Jh.* (Armenian Library of the Calouste Gulbenkian Foundation), Bd. 2 (Beirut: Armenian Catholicosate of Celicia, 2003), 1981–1985. ხოლო „დიდი სომხეთის ისტორიის“ ინგლისური თარგმანი შდრ. Moses Khorenatsi, *History of the Armenians*. Translation of Patmut' iwn Hayots' and commentary on the literary sources by Robert W. Thomson (Cambridge: Harvard University Press, 2006³).

18 შდრ. დისკუსია: Ephrām Givi Lomidze, *Historisch-theologische Rekonstruktion des apostolischen Ursprungs der Kirche Georgiens Zur Frage der Tradition der antiochenisch-petrinischen Sukzession auf der Basis der Quellen bis Mitte des 12. Jh.s*. Manuskript der katholisch-theologischen Fakultät der Universität Wien 2021 eingereichten Habilitationsschrift (მზადდება გამოსაცემად). Band 4 der Reihe Theologische Orient&Okzident-Studien, St. Ottilien: EOS-Verlag, 2022), 341f.

19 Klein Sokrates I, 23.

როგორ და რატომ ჩამოვიდა ეს გოგონა იბერიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში.

X საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული წყარო „მოქცევაჲ ქათლისაჲ“²⁰ წარმოადგენს კომპილაციურ კრებულს, სადაც სხვადასხვა ავტორის თხუთმეტიოდე დამოუკიდებელ თავში მოთხრობილია საქართველოს გაქრისტიანების ამბები.²¹ ჩვენი კონტექსტისთვის მნიშვნელოვანია თავი I, საქართველოს ისტორიის ინტეგრაცია ერთგვარ მსოფლიო ქრონიკაში²², ამას გარდა თავი II, საქართველოს გაქრისტიანების დასრულების შესახებ, თავი III და IV – პირველ პირში მოთხ-

20 ყარაულაშვილის მიხედვით, არსებობს ოთხი რედაქცია, რომლებსაც ის X საუკუნის ბოლოთი ათარიღებს. შდრ. Irma Karaulashvili, Les caractéristiques de l'identité du premier roi chrétien dans les narrations syriaques, grecques, arméniennes et géorgiennes de l'Antiquité tardive et du début du Moyen Age, in *L'Europe et le Caucase. Les relations interrégionales et la question de l'identité. Actes du colloque*, ed. Mzaro Dokhtourichvili et al. (Tiflis: Universiit d'Etat ilia, 2012), 82–103, (შეადარე აგრეთვე დამატებით ლიტერატურას, შენიშვნა 62–113): (1) შატბერდის ხელნაწერი (X საუკუნის დასასრული), ილია აბულაძე, რედ., *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. 1 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963), 81–163; (2) ჭელიშის კოდექსი (XIV ს.), იქვე. ამას გარდა (3–4) სინას ორი რედაქცია Geo. N 48 (XIV–XV სს.) და Sin. Geo. N 50 (IX–X სს.), ზაზა ალექსიძის რედაქციით, წმინდა ნინოს ცხოვრების უძველესი რედაქციები. კრებულში წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა, red. სოსო მახარაშვილი (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009); მისივე: *მოქცევაჲ ქართლისაჲ და მისი სინური რედაქციები* (თბილისი: მერიდიანი), 2007. ახალი ქართული ხელნაწერი N Sin 50 წარმოადგენს ფაქსიმილურ გამოცემას: Zaza Aleksidzé (Ed.), *Le nouveau manuscrit géorgien sinaïtique N Sin 50. Édition en fac-similé. Introduction par Zaza Aleksidzé, Traduite du géorgien par Jean-Pierre Mahé* (CSCO 586. Subs. 108) (Louvain: Peeters, 2001). – ლილიენფელდი იხსენებს, რომ „ქართლის მოქცევის“ სინას ორივე ხელნაწერის (Sin 48 და Sin 50) აღმოჩენისას თავდაპირველად ისინი ასევე „სომხური“ ეგონათ. სინას ხელნაწერების 1990/91 წწ. ზამთარში ზაზა ალექსიძის ხელმძღვანელობით (იმხანად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი) ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, დადგინდა, რომ ეს ხელნაწერები „ქართულია“ (დაწვრილებით იხ. Fairy von Lilienfeld, *Amt und geistliche vollmacht der heiligen Nino, „Apostel und Evangelist“ von Ostgeorgien, nach den ältesten georgischen Quellen*, in: *Horizonte der Christenheit, Festschrift für Friedrich Heyer zu seinem 85. Geburtstag*. Herausgegeben von Michael Kohlbacher und Markus Lesinski (Oikonomia 34) (Erlangen: Univ. Erlangen-Nürnberg [u.a.], 1994), 227, განსაკუთრებით შენიშვნა 19). სომხური წარმომავლობის რეცეფციის შესახებ იხ. Constantine B. Lerner, *The Well-spring of Georgian Historiography. The Early Medieval Historical Chronicle the Conversion of Kartli and the Life of St. Nino* (London: Bennett & Bloom, 2004), 78–88. – შდრ. სხვა გამოცემები: [უცნობი ავტორი], *მოქცევაჲ ქართლისაჲ კრებულში შატბერდის კრებული X საუკუნისა, რედ.-ები ბაქარ გიგინეიშვილი და ელგუჯა გიუნაშვილი* (თბილისი: მეცნიერება, 1979); გერმანული თარგმანი: Anonymus, „Die Bekehrung Georgiens Mokcevy Kartlisay“ (Verfasser unbekannt). Übersetzt und mit Anmerkungen versehen – ohne textkritischen Apparat – von Gertrud Pätsch, *BeKa* 33 (1975), 291–337.

21 შდრ. Lilienfeld, 228–232.

22 შდრ. იქვე, 228.

რობილი („მე მოთხოვნილი“) ცხოვრებანი წმინდა ნინოსი „ხატოვნად“²³ გადმოცემული მეფის მეუღლის, სალომეს მიერ.

2.2.1 ქართლის მოქცევა, თავი I

პირველ თავში მოთხოვნილი ისტორიაში საქართველოს განმანათლებელი *captiva* – კოპტურ-საჰიდურში თეოგნოსტა, ხოლო სომხურ წყაროებში ნუნე პირველად გარდაიქმნება ქართულად ნინოდ. წყაროს ამ ნაწილში იცვლება არამხოლოდ წმინდანის სახელი, არამედ მისი საქართველოში შემობრძანების მიზეზის ახსნაც. აქ აღრეულია *captiva*-ს და *peregrina*-ს მამოძრავებელი მიზეზები: კერძოდ, ვკითხულობთ:

მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალჴმდ ძიებად პატიოსნისა ჯუარისა. და მეათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისა-მე მიზეზისათჳს დედა-მძუძითურთ.

და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმჴს მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან. და იყო იგი ჰრომი მთავარი, და თვთ მოევლო გზად თჳსი და ექმნნეს კურნებანი. და მოწვენულ იყო საბერძნეთად და ჰმოძღურიდა მთავარსა მას რიფსიმეს.

და ვითარცა წარმოივლტოდა რი[ფ]სიმე ზღუად, გად[ა]ნე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხით[ი]სათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა. და იგინი იმარტკლნეს მუნ.

ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მათათა კერძო ჩრდილომსათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა.²⁴

წმინდა ნინო აქ ჯერ კიდევ მოიხსენიება ტყვედ, თუმცა ამავედროულად კეთილშობილი საჩინო ოჯახის შვილად, რომელიც თავისი ნებით მოგზაურობს, აღწევს საქართველოს, სადაც იგი ქრისტეს ქადაგებს, კურნავს სნეულებს, მეფესა და დედოფალს ქრისტეს რჯულზე მოაქცევს, ეკლესიას აღაშენებინებს და ბოლოს, იმპერატორ კონსტანტინეს მღვდელმსახურთა გამოგზავნას სთხოვს. სამღვდელოების ჩამოსვლის შემდეგ ინათლება სამეფო საგვარეულო და მთელი ერი.²⁵

23 იქვე, 230.

24 Anonymus, Die Bekehrung..., 293.

25 შდრ. Anonymus, Die Bekehrung..., 303.

2.2.2 ქართლის მოქცევა, თავი II

როგორც ევა სინეკი აღნიშნავს თავის ვრცელ გამოკვლევაში „წმინდა დედები ადრექრისტიანულ ხანაში“, მოქცევა ქართლისაჲს II თავი იწყება წმინდა ნინოს ერთგვარი ანდერძით, სადაც ის გარდაცვალების წინ ორ მეგობარ ქალს თავისი ცხოვრების ამბავს მოუთხრობს.²⁶ წმინდანის ავტობიოგრაფიის ჩამწერები გადმოგვცემენ, რომ ნინოს ღვაწლით ქართველმა ხალხმა „ირწმუნა მამა, ძე და სულიწმიდა“²⁷. საუბრისას მცხეთელი ქალები შეიტყობენ, რომ წმინდა ნინო ტყვე ყოფილა:

ეტყოდეს დედოფალი სალომე უჟარმელი და პეროჟავრა სივნიელი და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მაუწყე ჩუენ საქმჳ შენი! რამსა იტყვ ტყუეობასა, ტყუეთა მკსნელო, სანატრელო!²⁸

აქ საქმე გვაქვს წმინდანის ტყვეობის მდგომარეობის თეოლოგიურ ინტერპრეტაციასთან, კერძოდ: ნამდვილი *captiva* ანუ ტყვეები თავად წარმართობის წყვდიადის ტყვეობაში მყოფი ქართველები არიან, მაშინ როცა ნინო, როგორც ქრისტიანი, ჭეშმარიტად თავისუფალია. განმანათლებელი *captiva* იქცევა მართლაც ტყვეთა განმათავისუფლებლად. მხოლოდ III თავში ემატება *captiva* მოტივის *peregrina* მოტივი.

2.2.3 ქართლის მოქცევა, თავი III

III თავში პილიგრიმობის მოტივი ნინოს წინაპრებთანაა დაკავშირებული, კერძოდ კი კაპადოკიელი გიორგის მოწამეობის ჟამს წმინდა ნინოს დედის დიდგვაროვანი მშობლები კაპადოკიიდან რომში გადასახლებულან.²⁹ ამ გადმოცემის თანახმად, მათ ორი შვილი ჰყოლიათ: იუბენალი (ზაბულონი), იერუსალიმის მომავალი პატრიარქი და სოსანა, წმინდა ნინოს დედა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, რომში ობლად დარჩენილი იუბენალი (ზაბულონი) და სოსანა იერუსალიმში წასულან.³⁰ III თავში აღწერილ ნინოს ცხოვრებაში ვკითხულობთ:

26 შდრ. Eva Maria Synek, *Heilige Frauen der frühen Christenheit. Zu Frauenbildern in hagiographischen Texten des christlichen Ostens* (Das östliche Christentum. NF 43) (Würzburg: Augustinus-verl., 1994), 90.

27 Anonymus, *Die Bekehrung...*, 302.

28 იქვე, 303.

29 იხ. იქვე, 304.

30 იხ. იქვე, 304.

აღდგეს და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალჰმდ, იმედ-ყვეს სასოვებად იგი ყოველთა ქრისტიანეთად – წმიდად აღდგომად და მივედრნეს მუნ.³¹

ციტირებული ნაწყვეტიდან ვიგებთ, რომ ასევე ნინოს დედა და ბიძა პილიგრიმები ყოფილან. წმინდა ნინოს მოტივაციას – ყმაწვილ-ქალობაში დადგომოდა იერუსალიმიდან საქართველოსკენ მიმავალ გზას, *captiva*-ტყვეობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ *peregrina* – მომლოცველობისა და განმანათლებლობის სურვილი.

2.2.4 ქართლის მოქცევა, თავი IV

IV თავი მოგვითხრობს, რომ საქართველოში დამკვიდრებული ერთი ებრაელი კაცი ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში ყოფილა. ამ ქართველ ებრაელს „მოუპოვებია ქრისტეს კვართი (χρῆσθαι ἀρραβίς) და საქართველოში ჩამოუბრძანებია.“³² შემდეგ წყარო გვამცნობს, რომ 12 წლის ნინო „იერუსალიმში მშობლებს აღსაზრდელად ღირსეული სომეხი ქალისთვის, მიაფორისთვის მიუბარებიათ. მისგან შეუტყვია ნინოს, რომ ქრისტეს კვართი მცხეთელ ებრაელს რგებია წილად.“³³ ამას მოსდევს წმინდა ნინოს შეკითხვა აღმზრდელისადმი: „სადა არს ჩრდილოდსა იგი ქუეყანად, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ?“ რაზეც აღმზრდელი პასუხობს: „ჩრდილოდსა ქუეყანად სომხითისა მთელ არს, საწარმართოდ ქუეყანად.“³⁴ წმინდა ნინოს ადრეულ ასაკში გასჩენია სურვილი მოელოცა წმინდა ადგილი, სადაც უფლის კვართი ინახებოდა. გადმოცემის თანახმად, ეს საქართველო იყო.

მისი ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის მოწოდებით, მისი ლოცვა-კურთხევით, ნინოს ერთგვარი მისია დაეკისრა. მაგრამ წყაროს თანახმად, მანამ, სანამ წმინდანი მოსალოცად გაემართებოდა, მას ნათლობის რიტუალი აღუსრულებია. საუბარია წმინდა რიფსიმეს მონათვლაზე, რომელსაც სომხურ საეკლესიო ტრადიციაში, გაიანესა და მის დებთან ერთად, თაყვანს სცემენ, როგორც მოწამეებს.³⁵ მოქცევა ქართლისად IV თავში სიტყვასიტყვითაა ნათქვამი:

31 იქვე, 304.

32 Givi Lomidze und Thomas Kremer, „Liturgische Texte zum Fest der Lebenspendenden Säule und des Leibbrockes Christi in den georgischen Menaen,“ in *Pielgrzymi, drogi, świętemiejsca Pilgern – Wege, Heilige Orte. Seelsorge im Kontext von Menschen unterwegs*, Michaela C. Hastetter und Maciej Ostrowski, Hrsg., (Kraków-Trumau: Unum, 2016), 276.

33 Lomidze und Kremer, 277.

34 Anonymus, *Die Bekehrung...*, 308.

35 შდრ. იქვე, 309; Wolfgang Hage, *Das orientalische Christentum* (RM 29/2) (Stuttgart: W. Kohlhammer, 2007), 29, შენიშვნა 565.

და ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ვპოვეთ დედუფალი ვინმე მეფეთა [ე]ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალჴმით ნათლის-ღებასა და ქრისტეს აღსაარებისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე კელთა მისთა დედაკაცმან მან, და მივეც მას ნათელი კელსა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა.³⁶

რიფსიმეს ნათლობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ შედის წმინდა ნინო საქართველოში, როგორც პილიგრიმი და მისიონერი და იწყებს წარმართ(ულ)ი საქართველოს გაქრისტიანებას.

შუალედური დასკვნა. X საუკუნის ქართულ წყაროებში წარმოდგენლი ისტორიული ტრადიციის ამ მრავალშრიან რთულ ქსოვილში საქართველოს გაქრისტიანება წარმოჩნდება მრავალწლიან პროცესად, მთლიანად ამ წმინდანი ქალის ღვაწლის შედეგად. თავად საქართველოში წმინდა ნინო არ მოდის როგორც წარმართი ხალხის – ლიტურგიული მნიშვნელობით – ნათლისმცემელი. ამისთვის ის მღვდელმსახურებს ქვეყნის გარედან იწვევს.

2.3 *captiva* თუ *peregrina* – მოგზაური მისიონერი. ისტორიულ კრიტიკული შეფასება

წყაროებში შემონახული ორივე ტრადიციის დამაჯერებლობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს შემდეგი: X საუკუნის წყაროების თანახმად, წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა, როგორც *peregrina* და არა *captiva*. გვიანდელი წყაროების მიხედვით, მას ამოძრავებდა თავისუფალი, რწმენით აღსავსე ნება-სურვილი. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება სიწმინდის, კერძოდ მცხეთაში დაცული ქრისტეს კვართის თაყვანსაცემად. IV და V საუკუნეების ადრეული წყაროები, პირიქით, წმინდა ნინოს საბავენ ტყვედ, *captiva*-დ და შესაბამისად, მის მიერ განვლილ გზას – იძულების შედეგად. ვინაიდან ნინოს გზის პილიგრიმოზად შეფასება მხოლოდ X საუკუნიდან ჩნდება, ხოლო ადრეული წყაროები, IV საუკუნიდან მოყოლებული VII საუკუნის ჩათვლით, ერთხმად ძველ ტრადიციულ ხაზს მისდევენ, საჭირო ხდება *peregrina*-ტრადიციისადმი ისტორიულ-კრიტიკული მიდგომა. ადრეული წყაროების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ისინი IV საუკუნეში ბაკურის მიერ მოწოდებულ ცნობას ეყრდნობიან და, ამდენად, ყველაზე ადრეულ ქართულ ადგილობრივ თვითაღქმას უნდა გამოხატავდნენ.

წმინდა ნინოსთან მიმართებაში ძველი *captiva*-ტრადიციის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ გერმანიაშიც, კერძოდ

36 Anonymus, Die Bekehrung..., 308.

კი ტირიში არსებობს წმინდა კვართის ტრადიცია, სადაც არამხოლოდ ინახება მისი წმინდა ნაწილი, არამედ ყოველ თექვსმეტ წელიწადში ერთხელ (უკანასკნელად 2012 წელს) გამოაქვთ საჯაროდ (თუმცა, შეფუთულ რელიკვარიუმში მოთავსებული, რომლის დანახვაც შეუძლებელია მომლოცველებისათვის). საქართველოში კი საერთოდ სვეტიცხოვლის საძირკველში დამარხულად ითვლება.³⁷

მოქცევაჲ ქართლისაჲს ადრეული წყაროების, რომლებიც *captiva*-ზე მოგვითხრობენ, ადგილობრივ ტრადიციასთან (*peregrina*) შედარებისას, თვალშისაცემია ქართული მონათხრობის ფანტაზიით აღსავსე შელამაზების კვალი. თხრობა იქამდეც კი მიდის, რომ ტექსტი წმინდა ნინოს ნათლობის აღსრულებას მიაწერს, რაც რაღა თქმა უნდა, გვიანდელი ქართული წყაროს მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ იერუსალიმში უნდა მომხდარიყო.

განურჩევლად იმისა, საქართველოსკენ გზად მიმავალი წმინდა ნინო *captiva* იყო თუ *peregrina*, მისიონერი თუ ასკეტი, ფაქტია, რომ სწორედ ადრექრისტიანული ხანის ქალის ეს სახე ქმნის IV საუკუნეში ქართული ქრისტიანობის საწყისის ისტორიულ ბირთვს. ჩემი აზრით, X საუკუნის ეს ქართული წყარო წარმოადგენს ლათინურ-ბერძნულ, კოპტურ-საჰიდურ და სომხურ წყაროებში გადმოცემული ბაკურის ცნობის ზედმატად შელამაზებულ ვერსიას და უამრავ სხვა ლეგენდარულ ნიშნებთან ერთად, შეიცავს სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ მტკიცებასაც, რომ თითქოსდა სწორედ ნინომ მონათლა წმინდა რიფსიმე. მიუხედავად ყველაფრისა, წმინდა ნინო მაინც რჩება ქალად, რომელიც გზაშია, როგორც მისიონერი, ასკეტი, მქადაგებელი, მკურნალი და სასწაულმოქმედი.

3. ნამდვილად ქალი? და თუ მაინც ქალი, მაშინ რატომ?

3.1 მასკულინიზაციის ტენდენციები ისტორიასა და დღევანდლობაში

წმინდა ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების ფაქტის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში გამოვლინდა

37 ამ თემისთვის იხ. ასევე Erich Aretz u.a., Hrsg., *Der Heilige Rock zu Triier. Studien zur Geschichte und Verehrung der Tunika Christi* (Trier: Paulinus-Verlag, 1996²). – 1996 წელს ტირის ეწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც აჩვენეს იქ დაცული რელიქვია. 2012 წელს თავად გახლდით ტირიში დღესასწაულთან დაკავშირებით. მეონდა ხანმოკლე საუბარი ადგილობრივ ეპისკოპოსთან, რომელმაც მიაშო პატრიარქის ვიზიტის შესახებ. ეპისკოპოსმა მაშინ სიცილით მითხრა, რომ „გერმანელებს ქართველებისთვის უფლის კვართის ჩვენება მაინც შეუძლიათ, მაშინ როცა ქართველებს მცხეთაში მას ვერც კი ხედავენ“ სინამდვილეში, მაცხოვრის კვართის ორიგინალის მხოლოდ მცირე ზომის ნაჭერია (ნაწილი) ჩაქსოვილი (მოგვიანებით პერიოდში) სპეციალურად დამზადებულ სამოსში.

ასევე მისი ქალობის გამო ჩრდილში მოქცევის ტენდენცია. გამოსავლად ესახებოდათ ქვეყნის მფარველის ადგილზე ქალი განმანათლებლის ნაცვლად, მამაკაცი წმინდანების წინ წამოწევა. პირველი ათასწლეულის მიწურულისთვის არსებობდა წმინდა ნინოსა და ზოგადად საქართველოში ქრისტიანობის მასკულინიზაციის კიდევ ერთი ნაირსახეობა, კერძოდ, წმინდა ნინოს ისტორიის, მისი პიროვნების დაჩრდილვა და მისი ჩანაცვლება წმინდა გიორგით.³⁸ თარხნიშვილი სრულიად მართებულად ახდენს იმ ფაქტის კონსტანტაციას, რომ წყაროებზე დაფუძნებული ცალსახა დასკვნის მიუხედავად, ნინოს ისტორიულად დადასტურებული პიროვნების თაობაზე, IV საუკუნიდან მოყოლებული „საქართველოს ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთზე თითქმის სრულად გამქრალია მისი როგორც განმანათლებლის კვალი.“³⁹ ის იქვე დასძენს: „პირიქით, როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებში, ყოველ შემთხვევაში VI საუკუნის ბოლოდან მაინც, იბერიის, დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს „განმანათლებლად“ წმინდა ნინო კი აღარ მოიხსენიება, არამედ უფრო მეტად გრიგოლ პართელი, როგორც სომეხთა მოციქული. ეს ნათლად ჩანს ქართველი კათოლიკოსის, კირიონისა და სომხური ეკლესიის ღირსი მამების მიმოწერიდან VII საუკუნის დასაწყისისთვის, რომელიც წარმოებდა მონოფიზიტური დავების გამო.“⁴⁰ მასკულინიზაციის ეს ტენდენცია მნიშვნელოვანწილად აისახა VII–VIII საუკუნეების თქმულებებში, სადაც წმინდა გიორგი „წმინდა ნინოს, ქართველთა მოციქულის ნათესავად იქცა“ იმის საფუძველზე, რომ ორივენი კაპადოკიიდან [იყვნენ].“⁴¹ ასეთ დასკვნამდე მივიდა ჰაიზერი (დიდი სვინაქსარის [„VII–VIII საუკუნეების იერუსალიმის კანონთა კრებულის თარგმანის“] საფუძველზე).⁴²

38 ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც წინამდებარე კვლევის ცენტრალურ მიზანს არ წარმოადგენს და ამდენად ის აქ დეტალურად არ განიხილება, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითისათვის იხ. ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. 1 (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979^გ), 88–98 და Grigol Peradse, „Skizzen zur Kuiturgeschichte Georgiens, Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen volkes,“ *Der Orient* 12/ 2 (1930).

39 Michael Tarchnišvili, „Die Legende der heiligen Nino und die Geschichte des georgischen Nationalbewusstseins,“ *BZ* 40 (1940), 48.

40 Tarchnišvili, *Die Legende...*, 48, იქვე იხ.: ეს წარმოდგენები საქართველოსა და სომხეთში საყოველთაოდ გავრცელებული იყო, იმდენად, რომ კორნელი კეკელიძეს მისცა საფუძველი დაესკვნა: „ერთი სიტყვით, X საუკუნემდე, არამხოლოდ სომხეთში, არამედ საქართველოშიც არსებობდა ურყევი რწმენა იმისა, რომ გრიგოლი იყო ქართველთა განმანათლებელი“ (Korneli Kekelidse, *Die Bekehrung Georgiens zum Christentum* [Leipzig: J. C. Hinrichs'sche Buchhandlung, 1928], 18).

41 Lothar Heiser, *Die georgische orthodoxe Kirche und ihr Glaubenszeugnis* (Sophia 26) (Trier: Paulinus-Verlag, 1989), 15.

42 იხ. Heiser, 15

წმინდა გიორგი მთაწმინდელმა (გარდ. 1065) ათონის მთის ივერთა მონასტრის წინამძღვარს დაავალა გიორგობის დღესასწაული განსაკუთრებით საზეიმოდ აღენიშნათ: „თუნდაც ბერძნები ამ დღეს, როგორც დღესასწაულს დიდად არ ზეიმობენ, ჩვენ ვერაფერი დაგვაბრკოლებს მის აღნიშვნაში, რადგან ოდითგანვე ვართ ამას ჩვეულნი.“⁴³ ეს ტენდენცია საბოლოო ჯამში მივიდა იქამდე, რომ ერის ცნობიერებაში წმინდა გიორგი იქცა ქვეყნის მფარველად, ქვეყნისა, სახელად *Georg-ia*. X–XI საუკუნეების მიჯნაზე წმინდა გიორგის სახელზე „უამრავი მთა, ბორცვი და ეკლესია ეკურთხა“,⁴⁴ წმინდა ნინოს, როგორც ქალის თაყვანისცემამ კი საუკუნეების განმავლობაში ჩრდილში გადაინაცვლა.

საქართველოში ქრისტიანობის ისტორიის მრავალსაუკუნოვან მონაკვეთზე არსებული მასკულინიზაციის ტენდენციის მიზეზს, რის გამოც წმინდა ნინოს სახელი თანდათანობით დავიწყებას მიეცა, თარხნიშვილი ხედავს იმაში, რომ წმინდა ნინო იყო ქალი, ამასთანავე *captiva*, ტყვე და მონა „და იმხანად ქართველთა ეროვნული გრძნობები არ იყო საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ ყურადღება არ მიექციათ მათი განმანათლებლის სოციალური ნაკლისთვის.“⁴⁵

ამ მოსაზრებას მკვეთრად დაუპირისპირდა ვაშალომიძე თავის გამოკვლევაში „ქალების მდგომარეობა ძველ საქართველოში“ და კრიტიკულად დასვა საკითხი, საერთოდ შეესაბამებოდა თუ არა რეალობას ეს სურათი საქართველოში ქალის დაბალი, დაქვემდებარებული სოციალური სტატუსისა და მის მიმართ ესოდენ ნეგატიური დამოკიდებულებისა.⁴⁶ ის სვამს კითხვას: „მაშინ რით აიხსნება ნინოს მეტად დიდი გავლენა სამეფო საგვარეულოზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტრადირებული მისი ხსოვნა, წმინდა ნინოს ხატის თავიდან გააზრება ქართული ეკლესიის სომხურისაგან განყოფის პროცესში და ამით მისი ქართული ეროვნული თვითშეგნების მაფორმირებელი ძალა; ასევე მისი, როგორც დიდი წმინდანი ქალის თაყვანისცემა?“⁴⁷

როგორც ევანგელისტი თეოლოგი და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მკვლევარი ფეირი ფონ ლილიენფელდი აღნიშნავს, განმანათლებლის ანთროპოლოგიური ბუნების მასკულინიზაციის

43 იქვე, 15.

44 იქვე, 15

45 Tarxnišvili, *Die Legende...*, 58.

46 შდრ. Guliko Sophia Vashalomidze, *Die Stellung der Frau im alten Georgien. Georgische Geschlechtsverhältnisse insbesondere während der Sasanidenzeit* (Orientalia Biblica et Christiana 16) (Wiesbaden: Harrassowitz, 2007), 91.

47 იქვე.

შესახებ განსხვავებული მოსაზრებები XX საუკუნის შუა ხანებშიც გამოითქვა.⁴⁸ XX საუკუნის მართლმადიდებლურ სივრცეში ის გამოყოფს ორ ვერსიას: ერთის მხრივ, „სოციალურ-კონსერვატულ რუსულ-მართლმადიდებლურ წრეებში“ ისმოდა აზრი, რომ წმინდა ნინო ქალი კი არაა, კაცი იყო, როგორც ამას მიშელ ბურდიე წარმოადგენდა თავის 1969 წელს გამოცემულ ნაშრომში „ოპიუმი ხალხისთვის.“⁴⁹ მეორეს მხრივ, ეჭვის ქვეშ დააყენეს წმინდა ნინოს ისტორიულობა და ამ გზით გადაჭრეს ქალის მიერ გაქრისტიანების პრობლემა. მაგალითად, ამ მოსაზრებას განუხრელად მისდევს სომეხი ისტორიკოსი ნერსეს აკინიანი თავის სტატიაში „ქრისტიანობის შემოღება სომხეთსა და საქართველოში.“⁵⁰ რუსულ და პროსომხური შეფერილობის ქართველოლოგიურ კვლევებში არსებული, ამ, როგორც ქალის მიმართ კრიტიკული, ისე არაისტორიული ტენდენციების მიუხედავად, ლილიენფელდი ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით, მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე – კერძოდ: წმინდა ნინო იყო ქალი, მოციქული და საქართველოს განმანათლებელი.

3.2 წმინდანინოს, როგორც ქალისა და საქართველოს განმანათლებლის პოზიტიური შეფასების ნიმუშები

XI საუკუნის დამდეგისთვის წმინდა ნინოს რეაბილიტაციის მიზეზს ლილიენფელდი ხედავს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრად ქართლის პოლიტიკურ აღზევებაში, როცა საჭირო გახდა ძველი სატახტო ქალაქის, მცხეთის რელიგიური ლეგიტიმაცია. ლილიენფელდის მიხედვით, ძველი დედაქალაქის ეს ტრადიცია ქალს, კერძოდ კი წმინდა ნინოს დაუკავშირდა.⁵¹

თარხნიშვილის თანახმად, ნამდვილი გარდატეხა ერის ცნობიერებაში განმანათლებლად ქალის აღიარებისა და დაფასების თვალსაზრისით ბაგრატიონის დინასტიიდან თამარის მეფობას (დაახლ. 1166–1213) უკავშირდება. მისმა თანამედროვე პოეტმა შოთა რუსთაველმა (დაახლ. 1160–1216) თავის ღია ეპოსში „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული ფორმით საბოლოოდ დაგმო ქალის დაკნინება და ხოტბა შეასხა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“⁵²

48 შდრ. Lilienfeld, 224.

49 იქვე, 224f. შენიშვნა 1.

50 იქვე, 225.

51 შდრ. Lilienfeld, 247.

52 Michael Tarchnischvili, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K[orneli] Kekelidze* (StT 185) (Vatikan: Cam-

ამ ეპოქაშიც, ანუ XII საუკუნეში, მსჯელობდნენ, თუ რატომ მოაქცია ქართლი ქალმა. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერისძეც (1150–1178, გარდ. 1190) მსჯელობს ლიტურგიისთვის განკუთვნილ თავის ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებში „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისად“, თუ რატომ მოუვლინა ღმერთმა ქართველ ხალხს ქალი „მოციქული“⁵³. ხსნებული ლიტურგიკული წიგნის შესაბამისი მონაკვეთის შეჯამება და ინტერპრეტაცია ქვემოთ ციტირებულია თარხნიშვილის გერმანული რედაქციის მიხედვით, რაც ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „რატომ აირჩია ღმერთმა ქალი და მოგვივლინა ჩვენ? ის [კათოლიკოს-პატრიარქი] გვთავაზობს შემდეგ საფუძვლებს:

ა) ქართლის მოსაქცევად ღმერთმა ქალი მოგვივლინა იმიტომ, რომ საქართველო ღვთისმშობლის, შესაბამისად ქალის წილხვედრი ქვეყანაა. წმინდა მარიამ ღვთისმშობელს თავად სურდა საქართველოში ჩამობრძანება და აქ მისი შვილის სწავლების ქადაგება. მაგრამ, მისმა ძემ შეაჩერა მისი ეს მისწრაფება და, დედის თხოვნითა და შუამდგომლობით წმინდა ნინო მოავლინა საქართველოში განმანათლებლად.

ბ) მეორე მიზეზს ავტორი [პატრიარქი ნიკოლოზი] ხედავს იმაში, რომ „(ქართველთა) მოდგმა უსასტიკესი და ყველაზე ველური იყო ხალხთა ტომებს შორის“. ამიტომ მოგვივლინა ღმერთმა „ქალი ღვთიური ძალის უფრო ცხადად გამოსავლენად, რომ არავის მობრუნებოდა ენა ფუჭ ყბედობაში გაბოროტებით ემტკიცებინა, რომ საქართველო ღვთისაკენ კაცის სიმამაცემ, ბრძნულმა ფილოსოფოსობამ ან მჭერმეტყველებამ მოაქცია“. ამის გამო მოდრიკა ღმერთმა კერპი და ჯიუტი ადამიანების ამპარტავნება ქალის რბილი ბუნებით.

გ) მესამე მიზეზი სახარებაში წარმოდგენილი ქალის მაღალი ღირსებაა. მაგალითად, იყო ქალი სახელად მარიამ მაგდალინელი, რომელსაც პირველს ერგო პატივი ეხილა მკვდრეთით აღმდგარი მხსნელი. „დაე დადუმდნენ თავხედი და ფუჭი ბაგენი, რომლებიც გაბოროტებით უარყოფენ ქალის ბუნებით ჩვენს ხარებასა და მოქცევას!“⁵⁴ – აც-

bridge University Press, 1955), 62.

53 Tarchnišvili, Geschichte..., 235. – კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის ცხოვრების საკითხისთვის, იხ. კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 1 (თბილისი: მეცნიერება, 1980. 1923 წ. გამოცემის უცვლელი რეპრინტი), 318f.

54 Tarchnišvili, Geschichte..., 235f.

ხადებს პატრიარქი ნიკოლოზი. ამ მესამე არგუმენტით კათოლიკოს-პატრიარქი ცხადყოფს, რომ ქართველებს ღიდხანს რცხვენოდათ მათი ქალის მიერ მოქცევისა.

XII საუკუნეში ქალი-მოციქულის ესოდენ მაღალი დაფასება კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ქვეყნის ისტორიული, დროითი კონტექსტით აიხსნება. პატრიარქის ცხოვრების წლები ემთხვევა საქართველოს ისტორიაში პირველად ქალის, თამარის გამეფებასა და ზეობას, რომელიც მართლმორწმუნეობისა და ეკლესიაზე მისი გავლენის გამო ხალხში დიდი პატივით სარგებლობდა. თამარი დღემდე ცნობილია როგორც „საქართველოს უმნიშვნელოვანესი ხელმწიფე“, რადგან მისი მეფობის ხანაში (1178–1213) „საქართველო ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკურად ყველაზე გავლენიან და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ“⁵⁵ იქცა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისიც, რომ თამარის მეფობის უამს ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების გაფართოებამ ისტორიულად განუმეორებელ მაქსიმალურ მასშტაბს მიაღწია.⁵⁶

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში იქნა შემოღებული წმინდა ნინოს დღესასწაულის ლიტურგიულად აღნიშვნა, რომელიც დადასტურებულად სწორედ XII საუკუნიდან ჩნდება სვინაქსარებში.⁵⁷ თამარის მეფობის ხანაში საბოლოოდ დაიდგა ქალის დაკნინება. როგორც უკვე შენიშნა თარხნიშვილმა, ძველ დროში არ იქმნებოდა როგორც ქალი წმინდანების „ცხოვრებანი“, ისე არ ხდებოდა მათი თაყვანისცემა (გამონაკლისია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და წმინდა შუშანიკი).⁵⁸

55 Johannes Baller, *Die Außenpolitik und Feldzüge der Königin Tamar* (Grin: GRIN Verlag, 2010), 4.

56 შდრ. Eva Fuchslocher, *Vaterland, Sprache, Glaube. Orthodoxie und Nationenbildung am Beispiel Georgiens*. Mit einem Vorwort von Christina von Braun (Stuttgart: ibidem-Verlag, 2010), 81.

57 Lomidze, 19. – სვინაქსარში წერია: 1) მოკლე შესავალი ცისკრის ლოცვაში მე-6 საგალობლის შემდეგ წაკითხული წმინდანის ცხოვრება. დღესასწაულის მოკლე თეოლოგიური განმარტება; 2) ლიტურგიკული წიგნი, სადაც მონაცემები (წმინდანის) მართლმადიდებლური საეკლესიო წელიწადის მიხედვითაა დალაგებული, დღეს მოიპოვება აგრეთვე კრებულის სახით თვენსა და ტრიოდონში; 3) კალენდრის მაგვარი მითითებებით მოკლე ცხოვრებებთან ერთად საკითხავი (შდრ. Konrad Onasch, *Liturgie und Kunst der Ostkirche in Stichworten. Unter Berücksichtigung der Alten Kirche* [Leipzig: Koehler & Amelang, 1981], 346).

58 Tarchnišvili, *Geschichte...*, 61.

4. ქალის საეკლესიო საქმიანობის სივრცე წმინდა ნინოს მაგალითზე წყაროების მიხედვით

4.1 წმინდა ნინოს მოღვაწეობის საზღვრები

როგორი იყო საქართველოს განმანათლებელი მისიონერი ქალის სამოქმედო სივრცე, განურჩევლად იმისა, *captiva* იყო ის თუ *peregrina*? რისი გაკეთება შეეძლო მას? სად გადის მისი საეკლესიო საქმიანობის საზღვრები? დავუბრუნდეთ რუფინუსის მიერ ლათინურად გადმოცემულ ბაკურის ცნობას, რომელიც ასე იწყება:

რადგან ის რწმენით, გონიერებით და ღირსებით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდა, ღლე და ღამე ლოცვითა და მონანიებით ღმერთს მსახურებდა (*obsecrationes Deo pervigiles*), ცხოვრების ეს უცხო წესი ბარბაროსებში თანდათანობით განცვიფრებას (*admiration*) იწვევდა და ისინიც ცნობისმოყვარეობით კითხულობდნენ, თუ რა მიზანს ემსახურება ამით. ამაზე გულწრფელად პასუხობდა, რომ რჯულის წესების აღსრულებით, იგი უბრალოდ იესოს, ვითარცა ღმერთს, აღიღებდა.⁵⁹

წმინდა ნინოს პირველი საქმე, არსებითად უბრალოდ იესო ქრისტეს რწმენისა და დიდების ქრისტიანული მოწმობაა. ამით ის, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს მოწმედ, მის დამმოწმებლად გვევლინება. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვითხრობს რუფინუსის ტექსტი სწავლასთან დაკავშირებაზე. ერთი უბრალო ქალის შვილის განკურნების შემდეგ, ავადმყოფი დედოფალიც მიდის მასთან და განიკურნება. ამ სასწაულებრივი განკურნებების შემდეგ იზრდება უცხო *captiva*-ს მიმართ პატივისცემა, რომელიც არამხოლოდ სასწაულმოქმედია, არამედ განკურნების მეშვეობით იღვწის, როგორც მქადაგებელი. ეს ჩანს წმინდა ნინოსა და დედოფლის შეხვედრიდან:

[დედოფალმა] იხმო თავისთან ტყვე ქალი. ის კი ყოყმანობდა, არ სურდა გამოჩენილიყო ისე, თითქოს იმაზე მეტის უფლებას აძლევს თავს, ვიდრე ქალს ეგების. მაშინ დედოფალმა თავად მიაყვანინა თავი ტყვე ქალის კარავში. ქალმა დააწვინა დედოფალი თავის სალოცავ ხალიჩაზე, ახსენა ქრისტეს სახელი და დედოფალიც ლოცვის დასრულებისთანავე მყისვე წამოდგა ფეხზე ჯანმრთელად და მხნედ. ამის შემდეგ ტყვე ქალი ასწავლიდა დედოფალს, რომ უფალი იესო ქრისტე არის ძე ღვთისა, რომ დედოფალი მისი ძალითა და შეწევნით განიკურნა და მოუწოდა მასაც მოეხმო უფალი, რომელიც შეიცნო, როგორც მისი განკურნებისა და სიცოცხლის შემოქმედი,

59 Rufinus, X, 11; გერმანული თარგმანი: Reißner, 24.

რადგან იგია მეფეთათვის ძალაუფლებისა და მომკვდავთათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი. როცა სიხარულით აღვსილი დედოფალი შინ დაბრუნდა, გაუმხილა მეუღლეს მისი უეცარი გამოჯანმრთელების მიზეზი. ცოლის განკურნებით გახარებულმა მეფემ ბრძანა, გადაეცათ იმ ქალისთვის საჩუქრები. დედოფალმა კი მიუგო: მეფეო, ეს ნივთები ტყვე ქალს არ სჭირდება, ოქრო სძულს, ვერცხლს ზიზღით უარყოფს, მარხვა კი სიტკბოებას გვრის, ვითარცა სარჩო. საჩუქრად კი ის მივართვათ, რომ თაყვანი ვცეთ იესოს, როგორც ჩვენს ღმერთს, რომელმაც ტყვე ქალის თხოვნით განმკურნა.⁶⁰

დედოფლის მეშვეობით ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, რაც ახალ სასწაულებს მოითხოვდა, მთელი ერი მოიცვა. ამ ფორმით და ამგვარად შეიქმნა ქრისტიანობის გავრცელების ჯაჭვი, რომელიც ქალებზე, წმინდა ნინოსა და დედოფალზე გადის და ბოლოს მეფემდე და სრულიად ერამდე აღწევს:

ნინო → უბრალო ქალები (განკურნება) → დედოფალი (განკურნება და მოძღვრების გავრცელება) → მეფე (სასწაული და მოძღვრების გავრცელება) → ქართველი ხალხი.

ეს იმის ნიშნავს, რომ სარწმუნოება, ყოველ შემთხვევაში, წარმართულ საქართველოში, ქალებმა გაავრცელეს. თუკი წმინდა ნინოს ღვაწლს ძირითად ქრისტიანულ საეკლესიო განზომილებებში, კერძოდ ზემოთ დასახელებულ ეკლესიის სამ ძირითად თვისებრივ მახასიათებელში მოვაქცევთ, დავინახავთ, რომ მისი, როგორც ქალის მსახურება ყოფილა *მარტირია* (=რწმენის ქადაგება) და *დიაკონია* (=განკურნება, სნეულთა დახმარება), თანაც ისე, რომ ტყვე ქალი არ განასხვავებს ღარიბსა თუ მდიდარს. უბრალო ქალები ისევე იღებენ მისგან დახმარებას, როგორც მდიდარი დედოფალი. ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ საეკლესიო მსახურებათა მხრივ უკლებლივ ყველა წყარო, განურჩევლად იმისა, *captiva*-ზეა იქ საუბარი თუ *peregrina*-ზე, ნინოს საქმეთა შორის ღიად ტოვებს *ლიტურგიის* სფეროს. არცერთ მათგანში, ადრინდელსა თუ გვიანდელში, არსად არ ჩანს, რომ ქალსა და განმანათლებელს საკრამენტულ-ლიტურგიული ფუნქციები ეტივირთა და განეხორციელებინა. გაქრისტიანებულ ქვეყანაში ის არ ნათლავს, არ აზიარებს, არ აკურთხებს ეკლესიებს, არ ახდენს მღვდელთა ხელდასხმას და არ ნიშნავს მღვდელმსახურებს. ანუ წმინდა ნინოს არ აუღია მღვდელმსახურის ფუნქცია. ის იყო სახარების, ღვთის სიტყვის მქადაგებელი ქალი, მაგრამ თავად მოკლებული იყო საეკლესიო მსახურების საიდუმლო(ებრივ) ძალაუფლებას. ერთადერთი გამონაკლისია მოქცევა ქართლისაჲს მეოთხე თავი, ისიც გვიანდელი და მე-

60 Rufinus, X, 11; გერმანული თარგმანი: Reißner, 24f.

„დესტინაცია, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, აისახება ბრუნვისა და უღლების სისტემებში, ზმნის ფორმებში, სახელთა დერივაციასა და თანდებულებში“ (მახარობლიძე 90, 2005). ჩვენთვის მნიშვნელოვანია დესტინაციის გაგება, როგორც დანიშნულებისა (მაგალითად, „საახალწლო“ – ახალი წლისთვის დანიშნული, განკუთვნილი) და არა მისი მეორე გაგება – ლოკაციურობა (მაგალითად, „დანიშნულების ადგილზე მივიდა“). სამეტყველო ქართულში გვაქვს სახელური და ზმნური დესტინაციის შემთხვევები. სახელებთან გვხვდება ფლექსიური ტიპის დესტინაცია: მაგალითად, გარკვეულ ბრუნვათა სემანტიკური ჩარჩოები (მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი), თანდებული „-თვის“ (დიალექტური ვარიაციებით). ასევე გვაქვს დერივაციული ტიპის სახელური დესტინაცია, რომელიც „მკვეთრადაა გამოხატული სახელთა წარმოქმნაში დანიშნულებითობის მაწარმოებელი სისტემით: „სა-ე“, „სა-ო“, „სა-ეთ“, „სა-ურ“ ცირკუმფიქსებით, -ად სუფიქსით და ა. შ. [...] რიგი აფიქსები უფრო მკვეთრად გადმოსცემენ დესტინაციას სხვებთან შედარებით; მაგალითად, ცირკუმფიქსები „სა-ე“ და „სა-ო“ საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებს დესტინაციის სემანტიკაზე, „სა-ეთ“ და „სა-ურ“ კი შედარებით სუსტად გადმოსცემს ამ შინაარსს“ (მახარობლიძე 2005, 90–91). მაგალითად, „საახალწლო“, რომელშიც გამოყენებულია ცირკუმფიქსი „სა-ო“ გაცილებით მკვეთრად გამოხატავს დესტინაციურ შინაარსს, ვიდრე „საგანძური“, რომელიც წარმოებულია ცირკუმფიქსით „სა-ურ“, თუმცა ყველა ზემოხსენებული ცირკუმფიქსი სიტყვას სძენს დესტინაციურ შინაარსს ნიუანსური განსხვავებებით.

4. კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა ქართულ ჟესტურ ენაში

ქართულ ჟესტურ ენაში ჯერ კიდევ შესასწავლ საკითხთაგან ერთ-ერთი სწორედ კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი და მისი მორფოსემანტიკური რეფერირებაა. თუ ქართულ სამეტყველო ენაში კუთვნილებით-დანიშნულებით სემანტიკას ძირითადად „სა-ო“, „სა-ე“, „სა-ეთ“ და „სა-ურ“ ცირკუმფიქსები გამოხატავენ, ქართული ჟესტური ენა პირდაპირ არ იმეორებს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის სამეტყველო ქართულში არსებულ მოდელს. ამ ფუნქციით ქართულ ჟესტურ ენაში ხშირად გამოიყენება სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ და ამას მოწმობს „ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი“ (მახარობლიძე 2015).


სურათი 3 სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“



(მახარობლიძე 2015)

მაგალითად:

სურათი 4
ორნაწილიანი შესტი „საწერი“



წერა

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1005)

„ქართული შესტური ენის ლექსიკონის“ (მახარობლიძე 2015) მიხედვით, შესტი „საწერი“ შედგება ორი ნაწილისგან – „წერა“ და „დანიშნულება“ (იხ. სურათი 4). თუ ამ სიტყვას კომპოზიტურ მოცემულობად არ გავიაზრებთ, მისი ეს უკანასკნელი ნაწილი შეგვიძლია მივიჩნიოთ დესტინაციურ აფიქსად.

ჩნდება კითხვა – რამდენად დასაშვებია ამ შესტის („დანიშნულება“) აფიქსად მიჩნევა? ან ზუსტად რა მორფოსემანტიკური ფუნქცია/ფუნქციები აქვს მას? აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია ქართული შესტური ენის ლინგვისტური ანალიზისთვის.

წინამდებარე კვლევა დიდწილად ეყრდნობა „ქართული შესტური ენის ლექსიკონს“ (მახარობლიძე 2015), რომელიც გამოყენებულია კვლევისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულების წყაროდ. ლექსიკონში მოცემული 4 000 ერთეულიდან 87 ლექსიკური ერთეული შეიცავს სიტყვა-შესტ „დანიშნულებას“. ეს კი ლექსიკონის არც თუ ისე მცირე წილს (2%-ზე მეტს) შეადგენს.

5. დანიშნულების შესტი ქართულ შესტურ ენაში


5.1 დანიშნულების შესტის პოზიცია

თავდაპირველად გავარკვიოთ დანიშნულების შესტის პოზიცია. შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში (გაანალიზებული 91 სალექსიკონო ერთეულიდან 89 შემთხვევაში) იგი გვხვდება შესტის შე-

მადგენელი ნაწილების ბოლო პოზიციაზე; როგორც წესი, დაერთვის იმ სიტყვა-ფესტს, რომელმაც უნდა შეიძინოს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი. დანიშნულების ფესტი შუაში შეიძლება მოექცეს მხოლოდ კომპოზიტების შემთხვევაში, როდესაც ის კომპოზიტში შემავალი პირველი სიტყვის ბოლო პოზიციაზეა, როგორც მორფემული ნაწილი, მაგალითად:

სურათი 5

რთული ფესტი „რედაქცია“



(მახარობლიძე 2015, 924)

როგორც მაგალითზე (იხ. სურათი 5) ვხედავთ, სიტყვა რედაქცია კომპოზიტურია და შედგება ფესტებისგან „(და)საწერი“ და „გაგზავნა“. ამ შემთხვევაში ფესტი „დანიშნულება“ სიტყვა „(და)საწერის“ მორფემული ნაწილია, რის გამოც იგი ორი სიტყვისგან („(და)საწერი“ და „გაგზავნა“) შემდგარი კომპოზიტის („რედაქცია“) შუაში მოექცა. შესაბამისად, შეიძლება მყარად ითქვას, რომ მას აქვს ფიქსირებული ადგილი – აუცილებლად მოსდევს ზუსტად იმ სიტყვას, რომელმაც უნდა შეიძინოს კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსი.

5.2. დანიშნულების ფესტის მორფო-სემანტიკა

დანიშნულებითი აფიქსის მიერ წარმოებული სიტყვები, ვფიქრობთ, რომ შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ა. არსებითი სახელისგან წარმოებული ზედსართავი სახელები – „საბრძოლო“, „სანატრელი“, „აზიური“, „პრობლემური“, „ფსიქიკური“ და სხვ. (აფიქსის გამოყენების შემთხვევების 47%).

სურათი 6

საბრძოლო



ომი

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 947)

წარმოდგენილ მაგალითზე (იხ. სურათი 6) ძირითად ჟესტს „ომი“ ერთვის ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია „საბრძოლო“. ამ შემთხვევაში „ომი“ და „ბრძოლა“ გაიგივებულია და შეიძლება ითქვას, რომ არსებითი სახელისგან („ომი“) მიღებულია ზედსართავი სახელი („საბრძოლო“).

სურათი 7

სამედიცინო



ექიმი


დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 947)

მსგავსია კიდევ არაერთი სიტყვა-ჟესტის წარმოება, მაგალითად, „სამედიცინო“ (იხ. სურათი 7). ძირითად ჟესტს „ექიმი“ ერთვის ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია ზედსართავი სახელი „სამედიცინო“.

ზოგჯერ დანიშნულების ჟესტი აწარმოებს სამეტყველო ქართულში არსებული პოლიფუნქციური „-ურ“ სუფიქსის მქონე ზედსართავი სახელების ნაწილსაც (მაგალითად, „აზიური“, „პრობლემური“, „ფსიქიკური“ და სხვ.). აქ იგულისხმება არა „სა-ურ“ ცირკუმფიქსით წარმოებული სახელები, არამედ მხოლოდ „-ურ“ სუფიქსით წარმოებული ზედსართავი სახელები.

სურათი 8 პრობლემური



პრობლემა


დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 901)

მაგალითზე (იხ. სურათი 8) ჯერ გამოსახულია სიტყვა „პრობლემა“, ბოლოს – ჟესტი „დანიშნულება“, ხოლო ჯამში მიღებულია სიტყვა – „პრობლემური“. აღსანიშნავია, რომ წარმომავლობის მაწარმოებელი აფიქსები თავიანთი სემანტიკით სამეტყველო ქართულშიც ახლოს დგას დანიშნულებითობასთან, მაგალითად, „პოლიტიკური“ – პოლიტიკისთვის დანიშნული – პოლიტიკასთან დაკავშირებული (იხ. სურათი 9).

სურათი 9

პოლიტიკური



პოლიტიკა დანიშნულება

(მახაროზიძე 2015, 895)

ბ. არსებითი სახელისგან წარმოებული სხვა არსებითი სახელები, მაგალითად, „სააგენტო“, „საკონსულო“, „გამანადგურებელი“ და სხვ. (აფიქსის გამოყენების შემთხვევების 41%).

სურათი 10

სააგენტო




აგენტი დანიშნულება

(მახაროზიძე 2015, 944)

წარმოდგენილ მაგალითში (იხ. სურათი 10) სიტყვა-ჟესტ „აგენტს“ დაემატა ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია დანიშნულებითი შინაარსის სიტყვა „სააგენტო“.

სურათი 11

საკონსულო



კონსული


დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 966)

მოცემულ მაგალითში (იხ. სურათი 11) სიტყვა-ჟესტ „კონსულს“ დაემატა ჟესტი „დანიშნულება“ და აქაც მიღებულია დანიშნულებითი სემანტიკის მქონე სიტყვა „საკონსულო“.

სურათი 12

გამანადგურებელი



აფეთქება დანიშნულება


(მახარობლიძე 2015, 243)

წარმოდგენილ მაგალითში (იხ. სურათი 12) სიტყვა-ჟესტ „აფეთქებას“ დაემატა ჟესტი „დანიშნულება“ და მიღებულია სიტყვა „გამანადგურებელი“ – აფეთქებისთვის, განადგურებისთვის დანიშნული.

გ. ზედსართავი სახელისგან წარმოებული სახელები, მაგალითად, „სილამაზე“, „სიდიდე“, „სივიწროვე“ (აფიქსის გამოყენების შემთხვევების მხოლოდ 12%). ზოგადად, ზედსართავი სახელისგან აბსტრაქტული სახელების წარმოება არაერთ ენაშია შენიშნული.

სურათი 13

სილამაზე



ლამაზი დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1024)

მოცემული მაგალითის (იხ. სურათი 13) მიხედვით, ძირითად სიტყვა-ჟესტს „ლამაზი“ ემატება ჟესტი „დანიშნულება“ და მიიღება აბსტრაქტული არსებითი სახელი „სილამაზე“. მსგავსად იწარმოება ამ ჯგუფის სხვა აბსტრაქტული სახელებიც, მაგალითად, „სივიწროვე“ (იხ. სურათი 14).

სურათი 14

სივიწროვე



ვიწრო

დანიშნულება

(მახარობლიძე 2015, 1022)

თვალსაჩინო ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, სამეტყველო ქართულში ცირკუმფიქს „სი-ე“ სემანტიკური კავშირი არ აქვს არსებულ კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის მქონე ცირკუმფიქსებთან („სა-ე“, „სა-ო...“). თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ იქ, სადაც სამეტყველო ქართულში გამოყენებულია ცირკუმფიქსი „სი-ე“, შესტურში ხშირად გამოყენებულია დანიშნულების შესტი. ეს განპირობებულია როგორც სამეტყველო ქართულის გავლენით („სი-ე“ აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი ცირკუმფიქსისა და კუთვნილებით-დანიშნულებითი ცირკუმფიქსების ფონეტიკური მსგავსებით), ისე ქართულ შესტურ ენაში მორფემების ნაკლებობით. ქართულ შესტურ ენაში საკმაოდ ხშირია ერთი მორფემის გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით. სამეტყველო ქართულ ენაში კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის გამოხატვისას სხვადასხვა აფიქსების გამოყენებით ნიუანსური განსხვავებების არსებობა უცხოა ქართული შესტური ენისთვის და ყველა მსგავს შემთხვევაში დანიშნულების შესტი გამოიყენება. წარმოდგენილი ჯგუფების ანალიზის საფუძველზე კი იკვეთება, რომ იგივე შესტი გამოყენებულია სხვა მნიშვნელობებითაც. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მხრივ ქართული შესტური ენა არ იმეორებს სამეტყველო ქართულის მოდელს.

წარმოდგენილი სამი ჯგუფიდან უკანასკნელი (ზედსართავი სახელისგან წარმოებული სახელები) ყველაზე მცირეა, დანარჩენი ორი კი საკმაოდ დიდი. აღსანიშნავია, რომ ორივე დიდ ჯგუფში მკვეთრად ჭარბობს დანიშნულებითი შინაარსის მქონე ზედსართავი თუ არსებითი სახელები. ჯგუფებს შორის სიხშირეების განაწილება წარმოდგენილია ცხრილში (იხ. სურათი 15).

სურათი 15

ჯგუფი	ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	სიხშირე
არსებითი სახელისაგან წარმოებული ზედსართავი სახელი	41	47%
არსებითი სახელისაგან წარმოებული სხვა არსებით სახელები	36	41%
ზედსართავი სახელისაგან წარმოებული სახელები	10	12%

ცხრილი შედგენილია სალექსიკონო ერთეულების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად და არ ასახავს საუბრის დროს გამოყენების სიხშირეს, რომელიც მომავალში შესაძლებელია დადგინდეს კორპუსული კვლევებით.

ჯგუფების მიხედვით შესტის დინამიკაში (როგორც შესტის ფონოლოგიურ მახასიათებელში) არ შეინიშნება არანაირი განსხვავება. დანიშნულების შესტის დინამიკა ყოველთვის ერთნაირია, თუმცა ენის ეკონომიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ზოგჯერ ეს შესტი საერთოდ გამოტოვებულია და შინაარსს ცხადყოფს კონტექსტი. ზოგჯერ მეტყველების დროს შესტი „დანიშნულება“ მცდარი ლოგიკით ჩანაცვლებულია შესტით „მრავალფეროვნება“. ასეთი ჩანაცვლება ვერ იქნება გამართლებული, რადგან ამ აფიქსებს აქვთ სხვადასხვა ფუნქცია.

5.3 დანიშნულების შესტის აფიქსური ხასიათი

სტატიის დასაწყისში, მეორე თავში („აფიქსები შესტურ ენებში“), წარმოდგენილია ძირითადი ლიტერატურა, რომელიც დაგვეხმარება დავადგინოთ:

– შეგვიძლია თუ არა ქართულ შესტურ ენაში არსებული შესტი „დანიშნულება“ მივიჩნიოთ მორფოლოგიურ დერივაციულ აფიქსად და ვუწოდოთ მას დანიშნულებითი აფიქსი. ცხადია, ამ სიტყვას შეუნარჩუნდება დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობაც კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც იგი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული.

– განვიხილოთ დანიშნულების შესტი მეირის მიერ შესტური ენებისთვის ჩამოყალიბებული აფიქსური წარმოების თვისებების მიხედვით (Meir 2012, 83):

ა. ძირითად შესტს ემატება დამატებითი ფონოლოგიური ერთეული.

შესტი „დანიშნულება“ სწორედ ძირითად შესტს ემატება დამატებითი ფონოლოგიური ერთეულად, ისე როგორც ზემოთ განხილული მაგალითის შემთხვევაში ძირითად შესტს „კაცი“ დაემატა დამატებითი ერთეული – სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“. ამის მაგალითია ნებისმიერი ზემოთ განხილული შემთხვევა, მაგალითად, სურათი 10. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ძირითად სიტყვა-შესტს „აგენტი“ დამატებული აქვს დამატებითი ფონოლოგიური ერთეული – შესტი „დანიშნულება“. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს პირველ მახასიათებელს და განვიხილოთ მომდევნო თვისებები.

ბ. სუფიქსს ახასიათებს გრამატიკალიზაცია, ანუ იგი ერთ დროს ლექსიკური ერთეული იყო, ახლა კი დელექსიკალიზებულია.

დანიშნულების შესტი, პირველი კრიტერიუმის მსგავსად, ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს, რადგან მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან „დანიშნულება“ და ადგილი აქვს ამ შესტის დელექსიკალიზაციას. ისევე, როგორც ქართული შესტური ენის სხვა ზემოთ განხილული სუფიქსი „ერგატივის ნიშანი“ მიღებულია ლექსიკური ერთეულისგან – შესტისგან „ადამიანი“.

გ. შესტურ ენებში აფიქსებს აქვთ მხოლოდ დერივაციული ფუნქცია.

თუ დანიშნულების შესტს აფიქსად განვიხილავთ, იგი ცალსახად დერივაციული აფიქსია, რადგან სიტყვას მხოლოდ კი არ მიმოხრის, არამედ მნიშვნელობას უცვლის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შესტურ ენას აქვს ფლექსიური მორფემებიც (მახარობლიძე 2012, 234–243).

დ. სუფიქსის ფონოლოგიური მახასიათებლები, როგორც წესი, არ არის განპირობებული (მოტივირებული) რაიმე კონკრეტული კანონზომიერებით.

დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს ამ მეოთხე კრიტერიუმსაც, იგი არ არის იკონური შესტი, ანუ არ გადმოსცემს რაიმე საგნის ან მოქმედების ხატებას.

ე. როგორც უკვე აღინიშნა, აფიქსური წარმოება შესტურ ენებში ნაკლებად გავრცელებულია.

ვინაიდან ეს მეხუთე მახასიათებელი ზოგადად შესტური ენებისთვისაა მოცემული, მეირის მიხედვით, ამ საკითხზე აქ არ ვიმსჯელებთ.

ვინაიდან დანიშნულების შესტი აკმაყოფილებს მეირის მიერ წარმოდგენილ ყველა კრიტერიუმს, განვიხილოთ ეს შესტი სხვა პარამეტრების (მახარობლიძე 2019, 8) მიხედვითაც:

ა. შესტი უნდა იყოს დელექსიკალიზებული და, შესაბამისად, გრამატიკალიზებული, ანუ მას დაკარგული ან გაბუნდოვნებული უნდა ჰქონდეს პირველადი ლექსიკური მნიშვნელობა.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, დანიშნულების შესტი დექსიკალიზებულია და მიღებულია დექსიკური ერთეულისგან „დანიშნულება“.

ბ. შესტი უნდა იყოს ეროზირებული, ანუ მოსალოდნელია ცვლილება მისი შესრულების დინამიკაში, ან შესაძლოა ორხელიანი შესტი იქცეს ერთხელიანად.

„დანიშნულების“ შესტის შემთხვევაში შეინიშნება ეროზიის ტენდენცია, თუმცა ეროზიის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია.

გ. მორფემას უნდა ჰქონდეს მკვიდრი ადგილი. ეს ნიშნავს, რომ მორფემა, რომელიც ხან შესტის წინ გვხვდება, ხან შესტის შემდეგ, ვერ იქნება მორფოლოგიური სუფიქსი.

დანიშნულების შესტი ამ კრიტერიუმსაც აკმაყოფილებს, რადგან მისი ადგილი ცალსახად ფიქსირებულია; იგი ყოველთვის მოსდევს ძირითად შესტს. დანიშნულების შესტის ადგილი დაწვრილებით უკვე განხილულია ზემოთ (თავში „დანიშნულების შესტის პოზიცია“).

დ. აუცილებელია მორფოსემანტიკური ნიშნის არსებობა, რაც ნიშნავს, რომ ამ აფიქსის დართვა სხვადასხვა შესტზე განაპირობებს კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობის შეძენას.

დანიშნულების შესტს აქვს რამდენიმე მორფოსემანტიკური ნიშანი, რომელთაგანაც ყველაზე მკვეთრად გამოხატულია სიტყვისთვის დანიშნულებითობის შინაარსის შეძენა, რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ (თავი 5.2).

დასკვნა

წინა თავში („დანიშნულების შესტის აფიქსური ხასიათი“) წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ დანიშნულების შესტი სრულად ან ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს, რათა იგი მივიჩნიოთ აფიქსად. ქართული შესტური ენის მასალა იძლევა საკმარის საფუძველს, რომ შემდგომში იგი განვიხილოთ დერივაციულ აფიქსად და ვუწოდოთ დანიშნულებითობის აფიქსი. მისი ძირითადი მორფოსემანტიკური ფუნქციაა დანიშნულებითი შინაარსის მექონე ზედსართავი თუ არსებითი სახელების წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული შესტური ენა ჩამოყალიბების ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, ამიტომ მომავალი გვიჩვენებს, როგორ ჩამოყალიბდება დანიშნულებითი აფიქსი მორფოსემანტიკური თვალსაზრისით და როგორ განვითარდება ამ შესტის გრამატიკალიზაციისა და ეროზიის პროცესი.

დამოწმებანი

- მახაროზლიძე, თამარ. 2012. *ქართული ჟესტური ენა*. თბილისი.
- მახაროზლიძე, თამარ. 2019. *ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მახაროზლიძე, თამარ. 2015. *ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მახაროზლიძე, თამარ. 2005. *დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა)*. თბილისი: ნეკერი.
- Bybee, Joan. 2003. Cognitive Processes in Grammaticalization. In *Cognitive and Functional Approaches to Language Structure*. Vol. 2 of *The New Psychology of Language*, ed. Michael Tomasello, 145-167. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.
- Haspelmath, Martin. 2004. On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. In *Up and down the Cline 2: The Nature of Grammaticalization*, eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon, 17-44. Amsterdam: Benjamins.
- Hopper, Paul. 1991. On Some Principles of Grammaticization. In *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*, eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine, 149-187. Amsterdam: Benjamins.
- Janzen, Terry. 2012. Lexicalization and Grammaticalization. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 816-841. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Meir, Irit. 2012. Word Classes and Word Formation. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 77-112. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Wilcox, Sherman. 2007. Routes from Gesture to Language. In *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*, eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone, 107-131. Berlin: Mouton de Gruyter.

Tamar Makharoblidze

Tamar Archvadze

Ilia State University

On Morphosemantics of the Destination Sign in GESL

Keywords: *destination, possession, purpose, affixes in GESL, derivation in GESL*

1. Introduction

It is only fairly recently that research in Georgian sign language (GESL) began. A number of fundamental pieces of research have already been published, among which is “Georgian Sign Language” (Makharoblidze 2012) – the very first grammar book of GESL, “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015), “GESL Verbal Morphology” (Makharoblidze 2019), and a selection of academic articles focused on related issues. Yet, despite these publications, there is a lot more to study.

According to scientific and language studies, literature, and accumulated data, affixation (a type of word formation) can be seen in GESL. The morphosemantics of the Destination Sign (an affix found in GESL) will be discussed in this paper. This article includes a review of the scientific literature on affixation in sign languages (SL), the ways to express possessive-destination-purpose semantics in GESL, and a discussion about the Destination Sign (DS) – whether it can be considered as a derivational affix or not.

The structure of the article is as follows: Chapter 1 is an Introduction, in which a general discussion about the research topic and the article structure is provided; Chapter 2 is a brief review of affixes in sign language; Chapter 3 is about possessive-destination-purpose semantics in spoken Georgian; Chapter 4 presents a description of the possessive-destination-purpose semantics in GESL; Chapter 5 consists of three sub-chapters: 5.1. The position of the ‘Destination Sign’ (DS), 5.2. DS Morphosemantics, 5.3. Features of DS affixation, and; Chapter 6 offers a conclusion followed by the bibliography.

2. Affixes in sign languages

In general, morphological processes in spoken or sign languages are either sequential or simultaneous. For example, use of case markers in spoken languages is a sequential morphological operation, but “in a simultaneous morphological operation, meaningful units are added not by attaching segments but rather by changing them.” For example, in English, the plural ‘feet’ is inflected according to simultaneous morphological operation from its singular form ‘foot’. To the contrary, adding ‘-s’ to ‘leg’ to make its plural form is a sequential morphological operation (Meir 2012, 81).

Figure 1



(Makharoblidze 2019, 89)


Spoken languages show a preference towards sequential processes, but sign languages show a preference for simultaneous morphological operations, e.g. “a change in the movement pattern of a sign” (Meir 2012, 81). For example:

Forms of the verb SAY, with the same subject but a different object, are shown in Figure 1. Each sign is different in terms of hand orientation: to the body for the first-person object, to the front for the second-person object, and to the side for the third-person object. The difference in such hand orientation might be a relevant example of simultaneous morphological operation.

Affixation is uncommon in sign languages, but still exists (Meir 2021, 82). For example:

Figure 2

MAN-ERG



(Makharoblidze 2015, 61; 2019, 54)

Two signs are shown in Figure 2: MAN and ERGATIVE - together considered as the ergative form for the word MAN. Ergative existence in GESL is a result of Spoken Georgian. However, one aspect needs to be highlighted: unlike Spoken Georgian, in GESL, ergative forms exist only for human class nouns.

The feature list of affixation (a sequential morphological operation) in sign languages varies according to scientist, for example, Meir considers the following features:

- a. An additional phonological item is added to the main sign. According to the example above, an additional item, the suffix ERGATIVE, is added to the main sign MAN.
- b. Grammaticalization of suffixes, which means they were considered as lexical units before and when they are delexicalized. For example, the suffix ERGATIVE in GESL comes from the lexical unit HUMAN. As shown, the process of grammaticalization in sign languages is similar to the same process in spoken languages. Grammaticalization is widely discussed in spoken and sign languages by various authors. (Haspelmath 2004, 17–44; Hopper 1991, 149–187; Bybee 2003, 146; Janzen 2012, 816–841, and others)
- c. Affixes in sign languages are characterized by derivational functions only. However, GESL also shows inflectional morphemes. (Makharoblidze 2012, 234–243)
- d. Normally, phonological features of the suffix are not motivated by any specifications.

- e. Affixation in sign languages is uncommon, as mentioned above. (Meir 2012, 83)

According to a simpler definition, an affix is “a morpheme that recurs in many lexical items” and “does not appear as a free form” (Meir 2012, 103).

Some scientists argue that facial expression might be an affix in sign language (Janzen 2012, 827; Wilcox 2004, 119–147). It is obvious that in these cases, facial expression should cause a change in meaning. A discussion about mimic components will not be provided in this article, however, as GESL is mostly a manual-dominant language, which means that all the basic lexical-grammatical categories in this language are expressed with manual gestures.

To be recognized as a morphological affix, a sign should meet the following criteria:

1. A sign must be both delexicalized and grammaticalized, which means that lexical meaning is reduced;
2. A sign must be erosive, having changes in dynamics or when a two-handed sign becomes one-handed;
3. A sign must have a fixed position, which means being fixed before or after another sign;
4. A sign should have a clear morphosemantic meaning – adding this sign should add specific semantics to the word. (Makharoblidze 2019, 8)

Whether the DS (Destination Sign) in GESL is a morphological affix or not will be discussed according to the presented parameters.

3. Possessive-purpose destination semantics in spoken Georgian

Destination, as a morphosemantic category in spoken Georgian, appears in the case-system, conjugation, noun derivation and adpositions (Makharoblidze 90, 2005). In this article, destination is used in terms of possessive and/or purpose semantics, but not in its other meaning – location (for example, *he reached the destination*). Both nominal and verbal destinations exist in spoken Georgian. The nominal destination might be inflective, for example, in the semantics of specific cases (dative, genitive, adverbial), or in postposition –*tvis* (including its dialect variations). The nominal destination might also be derivational, expressed in the possessive-purpose destination system of spoken Georgian: the circumfixes *sa-e*, *sa-o*, *sa-et*, *sa-ur*, the suffix *-ad*, and others.

The sense of possessive-purpose destination semantics is much more salient when the *sa-e* or *sa-o* circumfix is used, while in the *sa-et* or *sa-ur* circumfixes, such semantics are reduced (Makharoblidze 90–91, 2005). For example,

sa-axalc'l-o (intended for the new year) has strictly more possessive-purpose destination semantics than *sa-ganž-ur-i* (treasure, treasure-house), which is derived from the circumfix *sa-ur*. Yet, all the circumfixes mentioned above add possessive-purpose destination semantics to the words, with some very small differences.

4. Possessive-purpose destination semantics in GESL

Possessive-purpose destination semantics and its morphological expression are among the topics of GESL research. Possessive-purpose destination semantics found in spoken Georgian (discussed in the previous chapter) can be conveyed in GESL through various means. It is important to note that GESL does not replicate the lexical and grammatical models of spoken Georgian to convey possessive-purpose destination semantics. The sign 'destination' is often used to refer to the same semantics as the abovementioned circumfixes in spoken Georgian, this might also be concluded according to the "Georgian Sign Language Dictionary".

Figure 3

DESTINATION




(Makharoblidze 2015)

For example:

Figure 4

SAC'ERI intended for writing



WRITE

DS

(Makharoblidze 2015, 1005)

According to the “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015), the sign SAC'ERI contains two parts: ‘WRITE’ and DS – Destination marker (See Figure 4), when this sign is not considered as a composed one.

Is it possible to consider DS as an affix? Exactly which morphosemantic function(s) does it have? Answering these questions is important for a linguistic analysis of GESL.

The main source of lexical units for the research below is the “Georgian Sign Language Dictionary” (Makharoblidze 2015). DS is a part of numerous lexical units – 87 words (more than 2%) out of 4000 units presented in the dictionary.


5. Destination Sign (DS) in GESL

5.1 DS position

The position of DS will be discussed first. In the vast majority of cases (89 out of 91 lexical items analyzed), DS is found in the last position of the sign components, and is usually attached to the sign that has to acquire the possessive-purpose destination semantics. DS is found in the middle of the sign components only when those components form a composite form in which DS, as a morpheme, is in the last position of the first component of the composite, for example:

Figure 5

REDAKC'IA
composite EDITORIAL OFFICE



WRITE
intended for writing

SEND
to send


(Makharoblidze 2015, 924)

According to Figure 5, the word EDITORIAL OFFICE is a composite and consists of two signs: WRITE + DESTINATION (DS) and SEND. In this case, DS is a morpheme in the first part of the word, and for this reason, it is placed in the middle of a composite (EDITORIAL OFFICE) consisting of two words. It is obvious that this sign has a fixed place – it necessarily follows the word that has to acquire the possessive-purpose destination semantics.


5.2. DS Morphosemantics

The words produced by DS as an affix might be divided into the following groups:

A. Adjectives derived from nouns, for example: 'sabržolo' (military), 'azi-uri' (Asian), 'problemuri' (problematic), 'psikik'uri' (psychic) and others (47% out of all the cases where DS is used).



In Figure 6, the main sign WAR is followed by DS, and thus the possessive-purpose destination form MILITARY (*sabržolo*) is produced. In this case, it might be concluded that the adjective MILITARY is derived from the noun WAR.




The same rule applies to other signs as well, for example: MEDICAL (*samedicino*). The main sign DOCTOR is followed by DS, and in that way, the adjective MEDICAL is produced (See Figure 7).

DS in GESL is rarely used in the way the suffix of spoken Georgian is. The

-ur suffix produces adjectives of origin or lookalike semantics, for example, *azi-ur-i* (Asian), *problem-ur-i* (problematic), *psikik'-ur-i* (psychic), etc. It is important to note that the *-ur* suffix is different from the *sa-ur* circumfix.

Figure 8

PROBLEMATIC



PROBLEM

DS


(Makharoblidze 2015, 901)

The first and the second pictures of Figure 8 show the sign PROBLEM, while the third shows DS. Together, they produce the word PROBLEMATIC. The same framework presents this group, which forms words with the mentioned content.

It is worth highlighting that affixes of origin are semantically close to the destination, for example, *polit'ik'uri* (political), which means connected to politics or intended for politics (See Figure 9). In spoken Georgian, this word is produced by the suffix of origin *-ur*.

Figure 9

POLITICAL



POLITICS

DS

(Makharoblidze 2015, 895)

B. Nouns derived from other nouns, for example: ‘*saagent’o*’ (*agency*), ‘*sak’onsulo*’ (*consulate*), ‘*gamanadgurebeli*’ (*fighter*), and others (41% of all cases where DS is used).



(Makharoblidze 2015, 944)

Figure 10 shows that the main sign AGENT followed by DS, meaning AGENCY is produced with possessive-purpose destination semantics.




(Makharoblidze 2015, 966)

Figure 11 shows that DS following the main sign CONSUL adds possessive-purpose destination semantics and produces a new lexical item CONSULATE – the office of a consul.

Figure 12

FIGHTER



EXPLODE

DS


(Makharoblidze 2015, 243)

As shown in Figure 12, adding DS to the sign EXPLODE forms a new sign FIGHTER (not in terms of profession, but in terms of *fighter aircraft, fighter aeroplane – something that has the purpose of exploding something*).

C. Nouns derived from adjectives, for example: ‘*silamaze*’ (*beauty*), ‘*sidide*’ (*largeness*), ‘*sivic’rove*’ (*narrowness*) and others (only 12% out of all the cases where DS is used). GESL is not unique in terms of producing abstract nouns from adjectives. This is similar to the spoken languages.

Figure 13

BEAUTY




BEAUTIFUL

DS

(Makharoblidze 2015, 1024)

According to Figure 13, BEAUTY consists of two parts: the main sign BEAUTIFUL and DS. The same framework applies to nouns of the same group, for example, NARROWNESS (Figure 14).



NARROW

DS

(Makharoblidze 2015, 1022)

Although the circumfix *si-e* (used in abstract nouns in spoken Georgian, for example, *silamaze* – BEAUTY or *sivic'rove* – NARROWNESS) is phonetically similar to the *sa-e* circumfix, they do not have any connection semantically. But still, GESL also uses DS instead of the *si-e* circumfix. The reason is, first of all, the influence of spoken Georgian – the phonetic similarity of the circumfixes *si-e* and *sa-e*; and secondly, the lack of morphemes in GESL. For this reason, GESL often uses the same morpheme to refer to the different semantics. The same morpheme DS is used instead of all four circumfixes (*sa-e*, *sa-o*, *sa-et*, *sa-ur*), and sometimes instead of other morphemes as well. Thus, as mentioned above, GESL does not replicate the lexical or grammatical models of spoken Georgian.

Group C (nouns derived from adjectives) is the smallest of the three groups. Others include many more lexical units. It is worth nothing that the adjectives or nouns with possessive-purpose destination semantics are in the vast majority of lexical units in Group A and Group B (Figure 15 shows detailed results).

Figure 15

Group	Number of lexical unit	Frequency
Adjectives derived from nouns	41	47%
Nouns derived from other nouns	36	41%
nouns derived from Adjectives	10	12%

The chart represents the frequency of use of DS in the GESL explanatory dictionary, not in real dialogue, which might be analyzed in future corpus research.

No difference was found in terms of sign dynamics (the phonological features of a sign) between the abovementioned three groups. The dynamics of DS are always the same, but according to the linguistic economy principle, sometimes, when the context makes the meaning obvious, the destination affix is fully removed. In some cases, the destination affix is mistakenly replaced by the sign VARIETY. Replacement like this is unexpected as these affixes do not share the same semantics.

5.3 Affix features of DS

The main literature for this is presented in Chapter 2 (“Affixes in sign languages”). This literature can help us to determine whether DS in GESL can be considered as an affix with derivational features or not. As mentioned above, DS is a possessive-purpose destination affix. This sign will retain its original lexical meaning in specific cases when it is used as an independent lexical unit.

Below, we review the affixation feature list developed by Meir (Meir 2012, 83) for further information, see Chapter 2) and apply it to DS:

A. An additional phonological item is added to the main sign.

DS is added to the main sign as an additional phonological unit similar to the above-mentioned example - the suffix ERGATIVE was added to the main sign MAN. The cases mentioned above are similar to this. For example, Figure 10 shows that the main sign AGENT is followed by DS. Thus, DS perfectly meets the first parameter.

B. Grammaticalization of suffixes, which means they were considered as lexical units before and now are delexicalized.

DS also meets this parameter as it comes from the lexical unit DESTINATION. It is similar to other GESL suffixes, for example, an ergative marker that comes from the lexical unit sign HUMAN.

C. Affixes in sign languages are characterized by derivational functions only.

If DS is considered as an affix, it is the derivational one since it does not inflect, but changes the meaning of the word. Inflectional morphemes are found in GESL too (Makharoblidze 2012, 234–243).

D. Normally, phonological features of the suffix are not motivated by any specifications.

DS is not incompatible with this feature either, since the sign is not iconic.

E. Affixation in sign languages is uncommon, as mentioned above.

Discussion about the fifth feature will not be provided here since it is a feature for sign languages generally, not for a specific affix.

DS meets all the criteria presented by Meir. The sign can furthermore be considered according to other parameters (Makharoblidze 2019, 8):

- **A sign must be both delexicalized and grammaticalized, which means that lexical meaning is educed.**

As already mentioned, DS is a delexicalized sign which comes from the lexical unit DESTINATION;

- **A sign must be erosive, which means having changes in dynamics or where a two-handed sign becomes one-handed.**

A tendency to erosion can be seen in the case of DS, although, the process of erosion is long-term;

- **A sign must have a fixed position, which means being fixed before or after another sign.**

DS meets this criterion too, as its place is fixed, and it always follows a basic sign. The position of DS has already been discussed above (Chapter 5.1.);

- **A sign should have a clear morphosemantic meaning - adding this sign should add a specific semantic to the word.**

DS has several morphosemantic meanings, of which the main one is adding a possessive-purpose destination semantic to the word (discussed above in Chapter 5.2).

6. Conclusion

According to the discussion in the chapter “Affix features of DS”, it can be concluded that DS fully or at least partially meets all the criteria necessary to consider it as an affix. The material of GESL is sufficient to consider the sign as a derivational affix and name it as a ‘Destination affix’ - DS. Its main morphosemantic function is to produce nouns or adjectives with possessive-purpose destination semantics. It is noteworthy that GESL is still actively developing as a young language, and time will show how the DS will develop in terms of morphosemantics, and how the processes of grammaticalization and sign-erosion will be continued.

References

- Makharoblidze, Tamar. 2012. *Georgian Sign Language*. Tbilisi. მახარობლიძე, თამარ. 2012. ქართული ჟესტური ენა. თბილისი.
- Makharoblidze, Tamar. 2019. *GESL Verbal Morphology*. Tbilisi: Ilia State University Press. მახარობლიძე, თამარ. 2019. ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Makharoblidze, Tamar. 2015. *Georgian Sign Language Dictionary*. Tbilisi: Ilia State University Press. მახარობლიძე, თამარ. 2015. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Makharoblidze, Tamar. 2005. *Typology of Destination Systems (Georgian and Basque Data)*. Tbilisi: Nekeri. მახარობლიძე, თამარ. 2005. დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა). თბილისი: ნეკერი.
- Bybee, Joan. 2003. Cognitive Processes in Grammaticalization. In *Cognitive and Functional Approaches to Language Structure*. Vol. 2 of *The New Psychology of Language*, ed. Michael Tomasello, 145-167. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.
- Haspelmath, Martin. 2004. On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. In *Up and down the Cline 2: The Nature of Grammaticalization*, eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon, 17-44. Amsterdam: Benjamins.
- Hopper, Paul. 1991. On Some Principles of Grammaticization. In *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*, eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine, 149-187. Amsterdam: Benjamins.
- Janzen, Terry. 2012. Lexicalization and Grammaticalization. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 816-841. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Meir, Irit. 2012. Word Classes and Word Formation. In *Sign Language – An International Handbook*, eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll, 77-112. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Wilcox, Sherman. 2007. Routes from Gesture to Language. In *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*, eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone, 107-131. Berlin: Mouton de Gruyter.

**მომთაბარეები იმპერიებს შორის:
ჰუნები და ალანები ლაზიკის ომში (VI ს.)**

საკვანძო სიტყვები: *ჰუნები, ალანები, მომთაბარეები, ბიზანტია, სასანიანები, ლაზიკა*

გვიანანტიკურ ხანაში, ბიზანტია და სასანური ირანი გამუდმებით იბრძოდნენ ერთმანეთთან სასაზღვრო ტერიტორიებისთვის. ლაზიკისა და იბერიის სამეფოები ხან ერთი, ხან მეორე იმპერიის მოკავშირეები ან ვასალები იყვნენ, იმის მიხედვით, თუ რა პოზიციები ეკავათ მებრძოლ მხარეებს კავკასიაში. VI საუკუნეში სასანიანებსა და ბიზანტიელებს ორი ხანგრძლივი ომი ჰქონდათ კავკასიაში ბატონობისთვის: იბერიის ომი (526–532 წწ.) და ლაზიკის ომი (541–562 წწ.).¹

532 წელს იუსტინიანეს დიპლომატიებმა შეძლეს სასანურ ირანთან მშვიდობის დამყარება. შაჰმა ხოსრო I-მა ლაზიკისა და სომხეთის ციხესიმაგრეები ბიზანტიელებს დაუბრუნა, სანაცვლოდ კი, იუსტინიანემ მათ 11 000 ფუნტი ოქროს კონტრიბუცია გადაუხადა.² ირანელებმა, თავის მხრივ აღნიშნეს, რომ ეს ოქრო კავკასიის უღელტეხილების დაცვას მოხმარდებოდა (Greatrex and Lieu 2002, 96). უღელტეხილების დაცვა მნიშვნელოვანი იყო მომთაბარეთა შემოტევების აღსაკვეთად და გასაკონტროლებლად, თუმცა ზოგჯერ მათ ძალებს იმპერიები სათავისოდაც იყენებდნენ. „საუკუნო ზავის“ შემდეგ, მოკლე დროით, იუსტინიანემ თავის ძირითად ძალებს თავი მოუყარა, რათა ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალების, ხოლო იტალიაში ოსტგოთების წინააღმდეგ დაეწყო შეტევა.³

1 უფრო ვრცლად იხ. Mitchell, 2015 Dignas and Winter 2007; Daryaei 2009.

2 სასანური ირანის შაჰი ხოსრო I აღნიშნავდა, რომ კონტრიბუცია კავკასიის უღელტეხილების დასაცავად იყო საჭირო (Greatrex and Lieu 2002, 96).

3 იუსტინიანეს მიეცა შესაძლებლობა, ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც

ბიზანტიელებმა მათი გავლენის ქვეშ მოქცეულ ლაზიკაშიც უკეთ მოიკიდეს ფეხი. აქ ისინი მნიშვნელოვან, სტრატეგიული მდებარეობის მქონე ციხესიმაგრეებს აკონტროლებდნენ. იუსტინიანემ ააღორძინა პეტრას ციხე-ქალაქი, რომელიც ეკონომიკის მონოპოლიზების პოლიტიკის გასაძაღრებლად უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. პროკოპი კესარიელის მიხედვით, ამან გამოიწვია ადგილობრივების დიდი უკმაყოფილება, აჯანყება და სასანური ირანის მხარეს გადასვლა.⁴ ლაზი ელჩების ვიზიტის შემდეგ, პროკოპის გადმოცემით, აღინიშნა ყველა სიკეთე, რასაც ლაზიკა მოუტანდა ირანს, მათ შორის ის რომ „რომელთა მიწების ყოველწლიური ძარცვა მეზობელ ბარბაროსთაგან მისი კონტროლის ქვეშ იქნებოდა“ (Prokopios 2014, 106).

ხოსრომ გადაწყვიტა, გამოეყენებინა მოცემული შესაძლებლობა, ლაშქარი შეკრება და განაცხადა, თითქოს იბერიაში ჰუნების შემოტევის საფრთხის ასარიდებლად მიდიოდა (Evans 1996, 158), სინამდვილეში კი, ლაზების დახმარებით, ლაზიკაში შეიჭრა. 541 წელს სასანიანებმა ალყა შემოარტყეს და აიღეს პეტრა. პეტრას პირველი ალყა ლაზიკის ომის პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო, ომის, რომელიც 21 წელი გაგრძელდა (541–562 წწ.). მალე გუბაზ II-მ, ლაზთა მეფემ, აღმოაჩინა რომ ირანელთა მბრძანებლობა ბიზანტიურზე უარესი იყო.⁵

ლაზებმა და ბიზანტიელებმა ირანის წინააღმდეგ კავშირი განაახლეს. გაერთიანებულმა ლაზურ-ბიზანტიურმა ძალებმა ნელ-ნელა დაიწყეს დაკარგული პოზიციების დაბრუნება. მათ ირანელები ცხენისწყალთან (ჰიპისთან) ბრძოლაში დაამარცხეს 550 წელს, მომდევნო წელს კი, პეტრა აიღეს და დაანგრეს.⁶ პეტრას ალყა, ლაზიკის ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია. როგორც პიტერ ჰიზერი აღნიშნავს, პეტრას დაცემის შემდეგ სასანიანებს მხოლოდ მცირე ტაქტიკური წარმატებები ჰქონდათ კავკასიაში, ასე რომ, იუსტინიანეს შეეძლო, უფრო მშვიდად მოეხდინა თავისი ძალების კონცენტრირება იტალიაში (Heather 2018, 265). თუმცა, ხოსროს დამარცხების აღიარე-

აღმოსავლეთის იცავდა, ჩრდილოეთ აფრიკისა და იტალიის სამხედრო კამპანიებისთვის გამოეყენებინა (Greatrex 2005, 488).

4 ბიზანტიელთა თვალსაზრისით, იმპორტ-ექსპორტის მონოპოლია, სამართლიანი იყო, რადგან ამით, ლაზები ისევ თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის იხდიდნენ, რასაც აქ ბიზანტიური გარნიზონების ყოფნა უზრუნველყოფდა (Evans 1996, 158).

5 პროკოპის მიხედვით, ხოსრომ გუბაზთან, „რაც შეიძლება ჩუმად და უხმაუროდ“ გასასწორებლად, ასი ძლიერი მეომარიც კი გაგზავნა ერთგული სარდლის, ფარბიზის სარდლობით (Prokopios 2014, 137).

6 ირანელებს პეტრას შენარჩუნება ამ პოლიტიკურ, სტრატეგიულ სიტუაციაში ძვირი უჯდებოდათ: ყოველწლიურად ორი ექსპედიცია მაინც იყო საჭირო, რომელთაგან ერთი მაინც იქნებოდა განწირული (Heather 2018, 229).

ბა არ უნდოდა. ომის ეპიცენტრი ახლა ლაზიკის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს გახდა.⁷ სასანიანებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მერმეროესა და ნახორაგანის სარდლობით, რომელთაც კარგად გამოიყენეს ბიზანტიელი და ლაზი მხედართმთავრების უთანხმოება. მიუხედავად იმისა, რომ ამას ბიზანტიელთაგან ლაზიკის მეფე გუბაზის მოკვლა მოჰყვა, ლაზები კვლავინდებურად ბიზანტიელების მხარეს დარჩნენ და მეფის მკვლელების დასჯა მოითხოვეს. გუბაზის უმცროსი ძმა, წათე II, ლაზიკის ტახტზე ავიდა. 556 წელს ბიზანტიურ-ლაზურმა ძალებმა სასანიანთა არმიის შეტევა მოიგერიეს ფასისთან. ბიზანტიელებს მოუხდათ მისიმიელთა აჯანყების ჩახშობაც ლაზიკის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეს, რეალურად, ლაზიკის ომის ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი იყო. მალე, სასანიანებსა და ბიზანტიელებს შორის დროებითი მშვიდობა დამყარდა, ხოლო 562 წელს ორმოცდაათწლიანი ზავი დადეს. ირანმა ფულადი კონტრიბუცია მიიღო ბიზანტიისგან, ლაზიკა ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ დარჩა. სადავო საკითხად დარჩა სვანეთი, ლაზიკის სამეფოს ყოფილი ვასალი. მის გარშემო, დიპლომატიური დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

ლაზიკის ომი მრავალმხრივ საინტერესო მოვლენაა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო და სოციალური ისტორიის თვალსაზრისით. ბიზანტიელების, ირანელებისა და ლაზების გარდა, მასში, ევრაზიის სტეპების მომთაბარე ხალხები, ჰუნები და ალანებიც იყვნენ ჩართულები. სტატიაში შესწავლილია მათი მონაწილეობის საკითხი ლაზიკის ომში.

მომთაბარეები ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის (III–VI სს.) დროს და მას შემდეგ, გვიან შუა საუკუნეებამდე, აქტიურად მონაწილეობდნენ ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე დიდ სამხედრო დაპირისპირებებში. მომთაბარე ხალხების წარმატებას სამხედრო ასპარეზზე, ისტორიკოსი ჰიუ კენედი „მომთაბარეობის პარადოქსს“ უწოდებს (Kennedy 2003, 16–17). მათი მომთაბარე ცხოვრების წესი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა, რომ მათ ჰყავდათ უკეთესი მეომრები, ვიდრე მდიდარ, უკეთ ადმინისტრირებულ და გამართული სამხედრო სისტემის ქვეყნებს. მომთაბარეები სტეპებში ცხოვრობდნენ, საქონელს მწყემსავდნენ, ნადირობდნენ და ყოველდღიურად იწვრთ-

7 ჰიზერი მიუთითებს, რომ ლაზიკის ორი ვასალი, სვანეთი და სკვიმნია, ირანელთა კონტროლქვეშ მოექცა 551 წელს, როდესაც პეტრასკენ მიმავალი ექსპედიციის მეთაური მიხვდა, რომ იქ დროულად ვერ ჩავიდოდა და ლაშქრობის მიმართულება შეცვალა. ამან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში განსაზღვრა ომის მსვლელობა, ბრძოლა საკვანძო სიმაგრეებისთვის და დიპლომატიური მანევრები ორივე მხრიდან, ლაზიკის ცალკეულ მიკრორეგიონებზე გავლენის მოსაპოვებლად (Heather 2018, 232).

ნებოდნენ ცხენოსნობასა და მშვილდოსნობაში. ყოველი მამაკაცი, რომელსაც პოტენციურად შეეძლო ბრძოლა, ომის დროს მეომრად განიხილებოდა.⁸ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მცირერიცხოვან მომთაბარე ტომებს ზოგჯერ უფრო მაღალი სამხედრო პოტენციალი ჰქონდათ, ვიდრე იმ ქვეყნებს, რომელთაც თავს ესხმოდნენ. გვიანანტიკურ ხანაში ბიზანტიელებიცა და სპარსელებიც ცდილობდნენ, თავიანთ მოკავშირეებად ექციათ მომთაბარეები ან თავიანთი სამხედრო კამპანიებისთვის მაინც დაექირავებინათ მათი ცხენოსანი ჯარი. ჰუნები და ალანები მართლაც მონაწილეობდნენ ბიზანტიურ-სასანურ დაპირისპირებაში, ლაზიკის ომის (541–562 წწ.) სხვადასხვა ეტაპზე მათ ორივე იმპერიის მხარდამხარ უბრძოლიათ.

ალანები

მომთაბარე ირანულენოვანი ტომები, მათ შორის, ალანები, აორსები, როქსოლანები და იაზიგები, სარმატულ კონფედერაციას ეკუთვნოდნენ.⁹ რომაელებს პირველად I საუკუნეში შეხვდნენ, როდესაც, რომაელმა გეოგრაფმა, პომპონიუს მელამ ისინი ასე დაახასიათა: „[სარმატები] ჩაცმითა და შეიარაღებით ყველაზე ახლოს არიან პართიელებთან, ოღონდ მკაცრი ჰავის შესაბამისად, თვითონაც უფრო სასტიკნი არიან“ (Romer 1998, 110) როგორც მომთაბარეებს, მათ არ ჰქონდათ ურბანული ცენტრები და მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ: „ქალაქები არა აქვთ და არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. საითაც მიიზიდავენ საძოვრები, ანდა უკანდახეული ან დადევნებული მტრები, იქით მიათრევენ თავიანთ ქონებას და მუდამ ბანაკებში ცხოვრობენ“ (Romer 1998, 110). IV საუკუნის რომაელი ავტორი, ამიანუს მარცელინუსი, თითქმის იმავეს იმეორებს და იმასაც აღნიშნავს,

8 სტრატეგიკონის მიხედვით: „ისინი კარგად იტანენ სიცხეს, სიცივესა და გაჭირვებას, რადგან მომთაბარე ხალხი არიან“ (Strategikon 2010, 116). როგორც ჩანს, ბიზანტიელები აღიარებდნენ მომთაბარეთა გარკვეული ხასიათის უპირატესობას.

9 ალანები ერთ-ერთი უძველესი ირანული ტომია (ალანები, სკვითები, საკები, სარმატები, მასაგეტები), რომელიც ანტიკური ხანის ავტორებისთვის ცნობილია I საუკუნიდან (Abaev and Bailey 1985, 801). პირველი სარმატები, ჩვეულებრივ, არქეოლოგიურად პროზოროვკას კულტურასთან ასოცირდებიან, რომელმაც სამხრეთ ურალიდან ქვემო ვოლგის რეგიონში ჩამონაცვლა და შემდეგ ჩრდილო პონტოურ სტეპში, ძვ.წ. IV–III საუკუნეებში. მიგრაციის დროს, სარმატთა რაოდენობა გაიზარდა და ისინი რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ – ალანები, აორსები, როქსოლანები და იაზიგები (Cunliffe 2001, 402). ამიანუს მარცელინუსის (IV ს.) მიხედვით, „ეს ალანები (სხვადასხვა ხალხი, რომელთა აღრიცხვა ახლა საჭირო არ არის) დედამიწის ორ ნაწილზე არიან გაყოფილები, მაგრამ, ასევე, დიდად დაშორებულები ერთმანეთისგან და დახეტილობენ ფართო სივრცეებში, როგორც, ჩვეულებრივ, მომთაბარეები იქცევიან. დროთა განმავლობაში, ისინი გაერთიანდნენ ერთი სახელის ქვეშ და იწოდებიან ალანებად, ჩვეულებების, სიველურისა და შეიარაღების მსგავსების გამო (Ammianus Marcellinus 1952, 391).

რომ სარმატები ყველაფრით ჰუნებს ჰგვანან, თუმცა, ნაკლებად ველურები არიან (Ammianus Marcellinus 1952, 393). ასევე, აღნიშნავს ზოგიერთ დეტალს მათი წეს-ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ – რომ ალანები მძვინვარე, მამაცი და მძლავრი მეომრები არიან და „ცხენებს ადამიანის სკალპებით რთავენ“ (Ammianus Marcellinus 1952, 393).

მზექალა შანიძემ ფილოლოგიის სფეროში მამის ბრწყინვალე საქმე განაგრძო და ქართული მეცნიერების ძნელბედობის ჟამს გადაარჩინა იგი. ჩვენ, ქართველოლოგებს, მნიშვნელოვანი ძველი ქართული ტექსტების გამოცემები გვაჩუქა და ორიონის მბრწყინავი თანავარსკვლავედის სურათის ქვეშ გააფართოვა შუა საუკუნეების ტექსტების კვლევის ჩარჩო მრავალი საქმიანობისათვის.

აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ მის წიგნებს, რომლებშიც ძველი ქართული ფილოლოგიის პრობლემები ეგზემპლარულად შეიძლება შევისწავლოთ. ერთი – ფსალმუნთა გამოცემა, რომელიც ებრაული და ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანეს ტექსტებს განეკუთვნება, არაჩვეულებრივი კომპლექსურობის ნიმუშია და გვიჩვენებს, შესაძლო სხვაენოვანი დედნების, შემჯიბრებელი თარგმანებისა და ყოველდღიური მოხმარების სწორედ ამ ტექსტების რამდენად ზედმიწევნითი მოსაზრებაა საჭირო გამოცემის საქმეში. მეორე ტექსტი, რომელიც არა მხოლოდ ფილოლოგებს მოხიბლავს, არის ქართული გრამატიკის უძველესი ტრაქტატი, რომელიც ამოწმებს, ქართველი ბერები რამდენად ბერძნული განათლების ზიარნი იყვნენ და რომ მათ ენათმეცნიერული არგუმენტაცია შეეძლოთ.

მზექალა შანიძის სტატიების წინამდებარე კრებულთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო, რომ ფილოლოგიაში ზოგჯერ პრობლემები, რომლებიც გარეგნულად მხოლოდ ტექსტის პატარა ასოების სისწორეს ეხება, მეთოდის და გაგების არსებით პრობლემებს აშუქებს. მხედველობაში მაქვს მისი უაღრესად მკაფიო მოხსენება*, რომელიც ქართველოლოგიურ კონგრესზე 2015 წელს წაიკითხა და რომელმაც ყურადღება გამამახვილებინა მისი შრომის საფუძველმდებარე მხარეზე. მზექალა შანიძემ ისაუბრა ძველ ქართულ ქრონიკაში დადასტურებული სახელის ერთ ფორმაზე, რომელიც თავდაპირველად მცირე აზიის მდინარე ჰალისს აღნიშნავდა. ქრონიკის შემდგენელმა ვერ გაიგო თავის წყაროში ამოკითხული სახელი და მას სხვა ტოპოგრაფიული მნიშვნელობა მისცა. ეს არის ტიპური და სასწავლო თვალსაზრისით მდიდარი პრობლემა. უმეტესობისათვის – ფილოლოგების გარდა – სავარაუდოდ, სასაცილოც შეიძლება იყოს და დღევანდელი მეცნიერების შოუბიზნესში ასეთი ნააზრევით, ალბათ, პუბლიკისგან წარმატებას არ უნდა ელოდო, მაგრამ ეს იყო სანიმუშო მოხსენება,

რომელიც თვალნათლივ აჩვენებს ფილოლოგიური სამუშაოს ფუნდამენტურ ასპექტებს.

ტექსტის ამ კონკრეტული ადგილის პრობლემა ზუსტი კრიტიკული წაკითხვის გარეშე ვერ ამოიცინობა და სპეციფიკური მიდგომის გარეშე ვერ გადაწყდება. პირდაპირ გასაგებ ფორმას ვერც ხელნაწერთა – თავისთავად აუცილებელი – შედარება მოგვცემს და არ არსებობს მექანიკური ოპერაცია და არც ასე დიდი და სასარგებლო, კომპიუტერში შენახული მასალა იძლევა მექანიკურ ინტერპრეტაციას. გეხმარება მხოლოდ ის, რასაც ჰერმენევტიკის წამყვანმა ფუძემდებელმა, ფრიდრიხ შლაიერმახერმა ე.წ. „დივინატორული (ე.ი. მვარაუდებლის) მეთოდი“ დაარქვა და რომელიც ემყარება „წვრთნით განსწავლულ ტალანტს“.

ეს ტალანტი, ტექსტების ფართო ცოდნა და ისტორიული განსწავლულობა იძლევა უფლებას, „შეხედო ავტორს თავის სახელოსნოში“, როგორც ეს განსაზღვრა ფილოლოგმა კარლ ლახმანმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (და ამ ტალანტის საფუძველზე მკვლევარს შეიძლება უცებ გამოუვიდეს აღმოჩენა – როგორც აკაკი შანიძეს, რომელმაც გიორგი მთაწმინდელისეული ტერმინი „ხანმეტი“ დილით გალვიძების დროს გაიგო). მზექალა შანიძის მაგალითის უძლიერესი მხარე არის ის, რომ სახელ ჰალისის „სწორი“ თავდაპირველი ფორმა ამ შემთხვევაში სწორედაც მცდარია, ვინაიდან ტექსტისთვის გადამწყვეტია, რა ესმოდა ქრონიკის ავტორს და არა ის, რასაც მისი წყარო გულისხმობდა.

ამის გარდა, მთელ ფილოლოგიურ სამუშაოს (ან გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ჰელდერლინის სხვა კონტექსტში გამოყენებული სიტყვებით რომ ვთქვა: „მტკიცე ასოს მოვლას“ და „არსებულის კარგ ახსნას“) აქვს არსებითი წინაპირობა, კერძოდ, ტექსტის მიმართ პატივისცემა. ისტორიული თვალსაზრისით, ეს პატივისცემა არის კანონიკურ ტექსტებზე, როგორიცაა ჰომეროსი ჰელინისტურ ფილოლოგიაში და წმინდა წერილი, ფილოლოგიური მუშაობის მემკვიდრეობა. ეფრემ მცირისთვის ეს წარმოადგენდა არა მარტო წმინდა წერილის, არამედ მისი წინამორბედების თარგმანებისა და კომენტარების პატივისცემასაც. მაგრამ დღევანდელი ფილოლოგისთვის კი ასევე ქრონიკის ავტორის ტექსტიც პატივისცემას ითხოვს და ამიტომაც – გაგების ძალისხმევას.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ასპექტი, რომლებიც შეიძლება ისწავლო კარგ ფილოლოგთან, ძალიან აქტუალურია. ვინც დღეს საქართველოში ან სადმე სხვაგან უნივერსიტეტში მუშაობს ან მხოლოდ საზოგადოებრივ დისკურსს ზედმიწევნით ადევნებს თვალს, იცის, რომ

კრიტიკული კითხვა, ისტორიულად და ტექსტუალურად დასაბუთებული ინტერპრეტაციის უნარი და ტექსტის მიმართ პატივისცემა ისევე, როგორც ამ უნარების გამომუშავება საჯარო სკოლაში, თავისით არ ხერხდება. ამიტომ იმედი მაქვს, რომ მზექალა შანიძის სიტყვა თავისი ღრმა მნიშვნელობით შესმენილ იქნება. ყველა ჩვენგანს ვუსურვებ, რომ დიდხანს მოგვცეს თავისი სიტყვების მოსმენის შესაძლებლობა, სიტყვებისა, რომლებიც ჩაგვაფიქრებს.

და ბოლოს ვისურვებ, რომ ჯანმრთელი იყოს. მე უკვე ვხარობ მისი მეასე დაბადების დღით.

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი

აკადემიკოსი მზექალა შანიძე „ალსავესე ყოვლითა მეცნიერებითა“

უნივერსიტეტის იდეა ზოგადია, მაგრამ მისი ისტორია მაინც კონკრეტული მოვლენებისა და პიროვნებების, კონკრეტული სახეებისა და სახელების კრებისითობით განისაზღვრება; თაობათა დამოკიდებულებასა და ფასეულებრივ რეტროსპექციასაც ალბათ ეს გარემოებანი სძენს განმასხვავებელ ნიშნებს.

ჩვენ, უნივერსიტეტის რამდენიმე თაობას, და მათ შორის – 70-იანი წლების სტუდენტებსაც, ნამდვილად გაგვიმართლა, რომ წილად გვერგო მზექალა შანიძის მოწაფეები ვყოფილიყავით და უშუალოდ განგვეცადა ის მადლი, რაც ქალბატონი მზექალას თაობას პირდაპირ მემკვიდრეობად გადმოეცა უნივერსიტეტის მესაძირკვლეებისა და ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ფუძემდებლებისაგან. ამ ურთიერთობის წინაპირობას ქმნიდა წარმოდგენაც კი იმისა, რომ მისი უშუალო მოძღვრები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი და თავად აკაკი შანიძე – მამა და პირველი წარმართველი მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებისა.

პირველ რიგში უთუოდ ეს მემკვიდრეობა უნდა „ამოვიკითხოთ“ მზექალა შანიძის მტკიცედ ჩამოყალიბებულ მეთოდებსა და დამოკიდებულებებში.

დროის ამ დისტანციიდან იმდროინდელი შთაბეჭდილებების შეფასებით, მზექალა შანიძის სწავლების მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ლექტორთა უმეტესობის დამოკიდებულებისაგან ამ

პროცესისადმი. ჩვენთვის რუტინად ქცეული თეორიებისა და კანონების მშრალ ნაკადში, მხოლოდ ნიმუშად რომ შეერეოდა ორიოდ ილუსტრაცია (რაც ასევე უცვლელად გადადიოდა სახელმძღვანელოებიდან ლექციებზე, კურსიდან – კურსზე...), პირდაპირ ოაზისი აღმოჩნდა ქალბატონი მზექალას ლექცია-სემინარები, რადგანაც სულ ახალ-ახალი ცოცხალი ნიმუშების გაგებისა და გააზრებისკენ მიმართავდა ჩვენს ყურადღებას (მით უფრო, რომ ეს მასალა უმდიდრესი ძველი ქართულის მაღლიან წიაღს წარმოადგენდა). „ზოგად თავბრუსხვევას“ მიჩვეულებს ზოგჯერ გვიკვირდა კიდეც, რა იყო ასეთი მნიშვნელოვანი რომელიმე „კრაველ“-ს სიტყვაში, რომელსაც ქართული ენის მთელი ისტორია გამოევლო და დღესაც ცოცხალი იყო... და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ამ ემპირიული სწავლების შედეგები გონებაში ჩაბეჭდილივით, წარუშლელად გვრჩებოდა, ვხვდებოდით, რომ ნამდვილი ზოგადობა ამ საკვანძო დეტალებსა და პრეცედენტებშია, რომ ერთეული გამონაკლისიც კი ხშირად ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია სისტემისა და კანონზომიერებისა.

შეიძლება ითქვას, რომ მზექალა შანიძე კვლევაშიც ამ მეთოდის მიმდევარია. ემპირიზმი და ძიების ინდუქციური განვითარება ის კლასიკური მემკვიდრეობაა, რომლის პრაქტიკულ გაკვეთილებსაც წინამორბედთა შემდგომ მასზე უკეთ თითქმის ვერავინ წარმოგვიდგენს. ფაქტობრივ ყოველ საკვლევაძიებო პროცესს იგი იწყებს საკითხის კონკრეტულად და ნათლად დასმით და თანამიმდევრულად მიჰყავს საბოლოო დასკვნამდე, ანუ შესაძლებელ განზოგადებამდე. თვით სათაურიც კი ბევრი მისი ნაკვლევისა – კონკრეტიკაზე დაფუძნებული – ამ ტენდენციის გამომხატველია („სილოდა და მელოდარი ძველ ქართულში“, „უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის“, „მასლათა თუ მისეულითა“ და სხვ.).

და, რადგანაც ოსტატ-შეგირდის ტრადიციულ ურთიერთობაში აღზრდის ელემენტი არანაკლებ ადგილს იკავებს, კიდეც ერთი დროით გამოცდილი შთაბეჭდილება: მზექალა შანიძე გასწავლით საქმით, პირადი მაგალითით, და არა – დარიგებებით, შეგონებებით. იგი არასოდეს გახვევთ საკუთარ აზრს თავს და მხოლოდ არგუმენტის ძალით გაიძულებთ, გაჰყვეთ მისი მსჯელობის ლოგიკას...

მზექალა შანიძის ტრადიციული გაკვეთილების კიდეც ერთი სანიმუშო მაგალითია ის, თუ როგორ ეკიდება იგი რაიმე საკითხის კვლევას. იგი ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ძნელი“ ავტორი – მისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახალი სამეცნიერო

აზრის მიმართ თითქმის არასოდეს არ ეტევა განსაზღვრულ ლიმიტსა და დროში. იგი საკუთარ ნაწერს – ყოველად გამართულს აზრობრივად და გარკვეულს კალიგრაფიულად – ყოველ ჯერზე ხელახლა უბრუნდება და ხვეწს – მეორედ, მესამედ... მეათედ! ამიტომაც არის მისი ნაწერი ყოველთვის მაღალი კონდიციისა – რომელსაც ვერც გამოაკლებს რაიმეს და ვერც მიუმატებს.

მზექალა შანიძის ამგვარი კლასიკური კვლევის ნიმუშებია როგორც ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა ისტორიის ამსახველი, ისე ბიბლიურ წიგნთა რედაქციული ჩვენებების ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ექსკურსები – ხელნაწერ ვერსიებზე კოლოსალური შრომის შედეგად მიღებულ უზუსტეს, დაწურულ დასკვნებს რომ გვთავაზობს.

მაგალითად, ასეთია სანიმუშო მინიატურა „ყველ-“ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ (რომელიც მხოლოდ ერთი ნაწილია ლექსიკოლოგიური სტატიისა „ძველი ქართული ენის ლექსიკიდან“ – ხელნაწ. ინსტ. მოამბე, II, 1960). ამ ლაპიდარულ ანალიზამდე განა შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ ყველ-ი სიტყვა არქაული მიმდებარა. ერთადერთი, რასაც შეიძლება დავევეჭვებინეთ, არის ვ ფონემის დადასტურება ძველ ტექსტებში. ძველი ქართულის ფონოლოგიის მიხედვით, ხშულეზის (მათ შორის – ყ-ს) მომდევნოდ მოსალოდნელია ჭ ნახევარხმოვანი (ანუ მაშინ, თუ ასეთი კომპლექსი (ძჭ, კჭ, ცჭ, გჭ, ყჭ...) პირველადია), მაგრამ თუ მსგავსი სტრუქტურის თანხმოდანთმომდევრობა ძირეული ხმოვნის რედუქციის შედეგად არის მიღებული, გვექნება ცვ, გვ, ჩვ, ყვ... (ი-ცავ > მცველი, ჰ-გავ-ს > გვანება, შევ > შვილი, ჰ-ყავ-ს > ყვანება...). მართალია, ხელნაწერებში ისეთი ფაქტებიც დასტურდება, როცა ვ-ს ადგილას ჭ გვხვდება, მაგრამ მთავარია, რომ ვ/ჭ განაწილების ზემომითითებული წესი ძირითადად დაცულია.

ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ყველ- ფუძის აგებულებას მეცნიერის დაეჭვება გამოეწვია.

მეორე და მთავარია ის, რომ ყავ- ზმნური ძირის ოპოზიცია ზმნისწინებით არსებითად სემანტიკურ ანტონიმიას ქმნის: გან- ზმნისწინით გვაძლევს „დანაწევრების, განწილვის“ მნიშვნელობას (გა-ყავ, გან-ყოფ-ა), ხოლო, მეორე მხრივ, შე- ზმნისწინით – საპირისპიროს: „შეერთება, შეკავშირება“ (შე-ყავ, შე-ყოფ-ა). და, რაც მთავარია, ძველი ქართული ტექსტების, კერძოდ, ეფრემ მცირის ზედმიწევნითი ცოდნა მეცნიერს სთავაზობს სანდო ორიენტირს: „რამეთუ ყუელი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული“.

შემდგომი ელემენტი ყველის მიღების შინაარსეული ცოდნაა: ეს პროდუქტი ხომ რძის შედედებით მიიღება, რასაც ხალხურად „შეყველებასაც“ ეძახიან.

დარჩა ერთადერთი: გამოდის, რომ ყველ-ი მიმღეობაა (< ყველ-ი). მაგრამ ვნებიტი გვარის მიმღეობებს -ილ/-ულ სუფიქსი აწარმოებს (თხრ-ილ-ი, ხნ-ულ-ი). თუ არსებობს -ელ სუფიქსის შემცველი მიმღეობები? დიახ, ეს არქაული მიმღეობური მოდელი ჩანს; მაგ.: თხელ-ი (გან-თხ-ა), კმ-ელ-ი (გა-კმ-ა), ვრც-ელ-ი (გან-ა-ვრც-ო)...

აშკარაა, რომ ყველ-ის მიმღეობური წარმომავლობა სრულიად ნათელია, მაგრამ ხომ ხედავთ, რაოდენ გაგვიჭიანურდა იმ ლოგიკის წარმოდგენა, რითაც მზ. შანიძე ლაკონიურ, უზუსტეს სამეცნიერო მინიატურას გვთავაზობს (რისი მნიშვნელოვანი ნაწილიც, მისი ხელწერისამებრ, სიტყვის ისტორიის დოკუმენტირებას ეთმობა) და ამით თუ ვინმეს და რაიმეს გვაგონებს, ისევ აკაკი შანიძის დიდოსტატურ ეტიმოლოგიებს.

საინტერესოა მზექალა შანიძის აზრი კონიექტურებთან დაკავშირებით; იგი აღნიშნავს: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში (ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში), როგორც ცნობილია, მრავალი დამახინჯება და შეცდომა გვხვდება. ამიტომ ტექსტუალური კონიექტურები საზოგადოდ სრულიად აუცილებელია ამ თხზულებათა ტექსტის სწორად გასაგებად და თავდაპირველი, ავტორისეული იკითხვისის გამოსავლენად“.

უნდა ითქვას, რომ კონიექტურებთან დამოკიდებულება სამეცნიერო წრეებში საკმაოდ არაერთგვაროვანია, რადგანაც არაერთ შემთხვევაში მოსაფრთხილებელ ტექსტებში ჩარევა გონებამახვილურ გატაცებად ქცეულა და ფაქტობრივ ინტერპოლაციებს დაახლოვებია. მაგრამ იმ კატეგორიის კონიექტურები, რომელნიც მზექალა შანიძისეული ტექსტოლოგიური და ფაქტოლოგიური ცოდნითა და ტექნიკით არის განმტკიცებული, არაორაზროვნად გვაყენებს მეცნიერის მხარეს. ამ კატეგორიის შთამბეჭდავი ტექსტოლოგიური მიგნებანი მრავლად არის ქალბატონი მზექალას მიერ შესწავლილ ბიბლიურსა თუ ისტორიოგრაფიულ ტექსტებში. მაგალითად: „მასლათა თუ მისეულითა“ (ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. ტ. 25, 1984). დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მზ. შანიძის მიერ გამართულ ფრაზაში: „...წარვიდა მისეულითა კაცითა ათასხუთასითა“ მანამდე „მისეულითა“ ფორმის ადგილას იჯდა „მასლათა“ და ის უცნობ გეოგრაფიულ სახელად იყო მიჩნეული! ფორმა „სანთლითა“ ფრაზაში – „არამედ სანთლითა თვთ მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყუანდეს ყოველნი ქრისტეანნი“ ჩანაცვლდა ფორმით „სამალავთადათ“. „ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი“ – პირველი სიტყვა შეიცვალა „ქადებულ“ ფორმით. „დასრულებად და უდებებად დამზიდველთა ნებისათა“ – პირველ ფორმას შეენაცვლა შინაარსობრივად სრულიად ადეკვატური ფორმა „დასულებად“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ქალბატონ მზექალას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მრავალგანგანთესული ხელნაწერების მოძიებასა, შესწავლასა და გამომზეურებაში. ყველა ეს საქმე ზეალმატებულ დათმენასა და შრომას მოითხოვს, ხოლო ამ შრომის არათუ პროცესი, არამედ შედეგებიც კი უჩინარია, ჩვეულებრივია თვალისათვის და თვით კვლევის შედეგებიც არ არის საყოველთაო ინტერესის საგანი, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს შეუძლია მისი „სიტკბოს“ მიღება. მით უფრო დასაფასებელია ღვაწლი ამ ოქროს საგანძურის გამომვლენელი მუშაკებისა, რომელთა მიერ უზადოდ მომზადებული და გამოცემული ტექსტების უკან ძველ მესენაკე მონაზონთა სულისკვეთება და რუდუნება უნდა დავინახოთ.

მზექალა შანიძემ დიდი შრომა გასწია ბოლოხანს სინის მთაზე გამოვლენილი ხელნაწერების მოძიება-შესწავლაში. აი, ერთი მაგალითი ამ – თვალის მისადევნებლადაც საძნელო ძალისხმევისა:

1883 წელს ა. ცაგარელმა წმ. ეკატერინეს მონასტერში აღწერა ქართული ხელნაწერები, რომელთაგან ზოგი, მათ შორის, იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი N92 და N93 ხელნაწერები, 1902 წელს ადგილზე აღარ დახვდათ ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს, ხოლო მოგვიანებით ბელგიელი ორიენტალისტის, ჟერარ გარიტის კატალოგში ამ ნომრებთან აღნიშნულია – „დაკარგულია“. ჟ. გარიტმავე მიაგნო N93 ხელნაწერის კვალს და 1967 წ. გამოაქვეყნა ცნობა, რომ ხელნაწერი ევროპიდან ამერიკაში მოხვედრილა 1922 წელს. მის შემძენს, რობერტ გარეტს ის 1942 წელს პრინსტონის უნივერსიტეტისთვის გადაუცია. გარიტმა შეისწავლა ეს ხელნაწერი და მოიძია მისი რამდენიმე დაკლებული ფურცელიც (ერთი – ინგლისში, ორი – გერმანიაში)... გასული საუკუნის ბოლოს წმ. ეკატერინეს მონასტერში გამოვლინდა ხელნაწერთა ახალი კოლექცია და 1996 წელს მისი გაცნობის მიზნით იქ იმყოფებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიცია (მზ. შანიძე, ზ. ალექსიძე, მ. ქავთარია და ლ. ხევსურიანი). ახალ კოლექციაში მზ. შანიძემ მიაკვლია N20 ხელნაწერს და დაადგინა, რომ ის N93-ის დასაწყისი ნაწილია. ამავე დროს, ჟ. გარიტისა და ი. ასფალგის ცნობების მიხედვით, მზ. შანიძემ ივარაუდა, რომ შეიძლებოდა გეტიנגენში N93-ის სხვა დაკლებული ფურცლებიც მოძებნილიყო. 1998 წ. იქ იმყოფებოდა ქალბატონი მზექალას უმცროსი კოლეგა ნინო დობოჯგინიძე და მან მასწავლებლის დავალებით შეძლო მოეპოვებინა სავარაუდო სირიულ-ქართული პალიმფსესტები. მისი 30 ფურცელი იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი აღმოჩნდა და მათგან 7 N93-ს მიეკუთვნა. დანარჩენი 23 ფურცელი კუთვნილი აღმოჩნდა ა. ცაგარელის მიერ აღწერილი N92 ხელნაწერისა. რაც მთავარია, ამ ძიებამ ისიც აშკარა გახადა, რომ

N92 მთლიანი ცალკე ხელნაწერი კი არ არის, არამედ N93 ხელნაწერის ბოლო ნაწილი. და კიდევ ერთი: იოანე-ზოსიმეს ანდერძის მიხედვით, ა. ცაგარლის ცნობით, ამ ხელნაწერის ზუსტი თარიღია 986 წ. მაგრამ ეს ანდერძი დაკარგულ ფურცლებშია და ძიებაც გრძელდება: პრინს-ტონის უნივერსიტეტის სინური მასალებისადმი 1960 წელს მიძღვნილი გამოფენის აღწერილობაში მოიხსენიება იოანე-ზოსიმე და 986 წელი, რაც მზ. შანიძეს ავარაუდებინებს, რომ შესაძლოა იოანე-ზოსიმეს ანდერძი რ. გარეცის კოლექციაში იპოვებოდეს!..

მთელს ამ ისტორიას დეტალურად აღწერს მზექალა შანიძე წერილში „ქართული ხელნაწერი სინის მთიდან გერმანიაში“ – *Kaukasologie heute. Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag*. Jena, 2015. მისი უკნინესი კონსპექტი მხოლოდ იმ მიზნით გავაკეთეთ, რათა გვეჩვენებინა, თუ რა თავდადებისა და შრომის ფასად უჯდებათ ჩვენს მოღვაწეებს ფურცელ-ფურცელ დაფანტული ჩვენი ძვირფასი ისტორიის მოძიება და მოკოწიწება.

მზექალა შანიძის წარმომავლობა – აკაკი შანიძის ოჯახი – და კლასიკური განათლების ის გზა, რომელიც უპირატესად მემკვიდრეობითობა-ბამ განაპირობა, აღმოჩნდა განმსაზღვრელი მისი მწყობრი და შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრებისა. მოზარდი მზექალა შანიძე შესანიშნავ ზოგად ფილოლოგიურ განათლებას, პირველ რიგში, საკუთარი მამის – აკად. აკაკი შანიძის – სამეცნიერო გარემოს მეშვეობით ეზიარა; შემდგომ კი მისი საფუძვლიანი პროფესიული დაოსტატების სამჭედლო აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ (1943-45 წწ) ფილოლოგიის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელიც 1945 წელს გამოეყო ფილოლოგიის ფაკულტეტს და ქართული მეცნიერების კიდევ ერთ თვალსაჩინო სკოლად ჩამოყალიბდა. ამ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტი მზექალა შანიძე ხანგრძლივად (1948-49 წწ) იყო მივლინებული პეტერბურგში, სადაც მის განსწავლასა და სამეცნიერო დაოსტატებას წარმართავდა ცნობილი სემიტოლოგი, აკად. ე. კრაჩკოვსკი. თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მზექალა შანიძე ასპირანტურის კურსს გაივლის დიდი ქართველი სემიტოლოგის, აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერმა საკანდიდატო დისერტაცია წარმატებით დაიცვა სწორედ სემიტოლოგიის მიმართულებით, სემიტური ენების მიმართულებით; კერძოდ, დისერტაციის თემა გახლდათ „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“.

1952 წლიდან ქალბატონი მზექალა მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სემიტოლოგიისა და ძველი ქართული

ენის კათედრებზე, კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძველი ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსებს... მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ ფუნდამენტური ორიენტაციისტური განათლება და თეორიულ-მეთოდოლოგიური მომზადება, აღმოსავლური ენების ფლობა, ასევე ძველი კლასიკური ენების ცოდნა, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო კაპიტალი, მთლიანად ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის შესწავლაში, ანუ მამისეული საუნივერსიტეტო ფილოლოგიური ტრადიციების განვითარების საქმეში იქნა ჩაყენებული.

შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ეროვნული უნივერსიტეტის იმ თაობამ, რომელსაც ღირსეულად წარმოადგენს აკად. მზექალა შანიძე, შეინარჩუნა და, თავის მხრივ, ახალი დროისა და პირობების შესაბამისად განავითარა ის მაღალი მეცნიერული სტანდარტი, რომელიც უნივერსიტეტისა და ქართული სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებმა დაამკვიდრეს. სწორედ მათ – „შვილთა“ თაობას – მიუძღვის ლომის წილი იმაში, რომ, მიუხედავად სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე კრიზისული პროცესებისა და, არცთუ იშვიათად, დამანგრეველი პოლიტიკისა, ქართული მეცნიერება დღემდე ინარჩუნებს შესაბამის დარგებში მოპოვებულ ღირებულ მემკვიდრეობას. და მათ შორის, ვინც დღესაც ღირსეულად წარმოადგენს ქართული მეცნიერების პრესტიჟს, ქალბატონ მზექალას თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს.

აკად. მზექალა შანიძეს, საზოგადოდ, დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის წარმოჩენასა და შესწავლაში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრაზე, უნივერსიტეტში დააფუძნა ხელნაწერი მემკვიდრეობის შემსწავლელი ლაბორატორია „ორიონი“, მონაწილეობდა არაერთ სამეცნიერო ექსპედიციაში საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში, რის შედეგადაც გამოავლინა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძეგლი, შექმნა ამ ძეგლების აღწერილობები, ტექსტოლოგიურ-რედაქციული და ენობრივი კვლევები; მაგალითად, ასეთი ფასეული გამოცემებია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S ფონდისა, II-VI ტომები (1961, 1963, 1965, 1969 წლებში; სამეცნიერო აღწერილობა 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა (ზ. ალექსიძესა, ლ. ხევსურთანსა და მ. ქავთარიასთან ერთად): Catalogue of Georgian Manuscripts discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mt. Sinai, Athens, 2005, რედაქტორი და ინგლისური ნაწილის მთარგმ-

ნელი მზ. შანიძე. *The old Georgian Version of the Liturgy of St. James* (თანავტ.: ლ. ხევსურიათი, მ. ქავთარია, თ. ცერაძე), Münster: Aschendorf, 1911, ძველი ქართული ტექსტისა და გამოკვლევის მთლიანი ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მზ. შანიძეს. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (ნ. გოგუაძისა და ზ. სარჯველაძის თანარედაქტორობით), I ტ., თბ. 2005, II ტ., თბ. 2007, III ტ., თბ. 2014, IV ტ., თბ. 2020 და სხვ. მისი მონაწილეობითა და რედაქციით მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა ძველი ქართული ძეგლებისა: „სინური მრავალთავი“, „შატბერდის კრებული“, „უდაბნოს მრავალთავი“, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, V-VI წიგნები, იოანე ოქროპირის „თარგმანებად მათეს სახარებისა“, I, II და III ტომები... და სულ ახლახან გამოცემული ქართული ბიბლიის სრული ორტომეული.

მკვლევარი წლების განმავლობაში შეისწავლიდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს და, საფუძვლიან მეცნიერულ კვლევასთან ერთად, მნიშვნელოვან პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ქრისტიანულ მწიგნობრობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე ევროპის ქვეყნებში თუ სხვაგან. ყველა მისი მოხსენება, ყოველი მისი სიტყვა საყოველთაო ინტერესის საგანია ქართული კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებაში, ფართო ფილოლოგიურ წრეებში. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილ. აბულაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (შემდგომ – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), გელათის მეცნიერებათა აკადემიაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და სიტყვიერი კულტურის შესწავლის შემდგომ წინსვლაში ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით დიდია, გამორჩეულია ქალბატონი მზექალას დამსახურება ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესწავლის საქმეში.

აკად. მზექალა შანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ბიბლიურ წიგნთა ისეთი მარგალიტის კვლევამ, როგორიც არის დავით მეფის საგალობლები – „დავითნი“. ამ წიგნს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში. როგორც აკად. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, „ყველაზე ადრე ძველი ალთქმის წიგნებიდან, ეჭვს გარეშეა, უნდა თარგმნილიყო დავითნი, ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნური სჭარბობდა“. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა გახდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკვლევრის სამეცნიერო ცხოვრების განუყოფელ თემად, ვინა-

იდან გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოკიდებული იგი დღემდე აქტიურად მუშაობს ამ ძეგლის ქართულ თარგმანთა ვერსიებზე.

როდესაც ქალბატონი მზექალა ამ ძეგლის შესწავლას იწყებდა, ქართული ფსალმუნის კანონიკური ტექსტი მხოლოდ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სახით მოიპოვებოდა, მასზე ადრეული ტექსტი არ ჩანდა. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ 1956 წლისათვის ხელმისაწვდომი გახდა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის იმ სინური ხელნაწერების ფოტოკოპირები, რომლებიც მანამდე მხოლოდ აღწერილობათა კატალოგებიდან იყო ცნობილი. კერძოდ, გამოჩნდა, რომ რამდენიმე ხელნაწერი შეიცავდა მთაწმიდლისეულზე ადრინდელ ტექსტს, რამაც, ცხადია, სრულიად ახალი შინაარსი შესძინა ფსალმუნთა ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის საქმეს, ანუ ქალბატონი მზექალას სამეცნიერო ინტერესის ცენტრალურ მიმართულებას.

მართლაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად დიდია აკად. მზექალა შანიძის წვლილი ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანების მეცნიერულად შესწავლასა და შესაბამისი აკადემიური გამოცემების მომზადებაში. მან X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით დაადგინა და 1960 წელს გამოსცა „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები“ (სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები“). ეს იყო ბიბლიური წყაროების ერთ-ერთი სანიმუშო გამოცემა, რომელსაც სკრუპულოზური ფილოლოგიური მუშაობა უძღოდა წინ. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა სადოქტორო ხარისხი სწორედ ამ მუშაობის შედეგებზე დაიცვა 1975 წელს, ხოლო 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მკვლევრის ენობრივ-ტექსტოლოგიური დაკვირვებანი აღნიშნული ხელნაწერი წყაროების შესახებ: „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“, ერთ-ერთი სანიმუშო ნაშრომი ბიბლიურ წიგნთა კვლევაში. ამ მრავალმხრივი კვლევის შედეგებმა, თავის მხრივ, მოგვიანებით ასახვა ჰპოვა კიდევ ერთ სამეცნიერო პროექტში, რომლის საფუძველზე 2010 წელს გამოიცა მეცნიერის მიერ ამ მასალების მიხედვით მომზადებული „ქართული ფსალმუნის სიმფონია“ (მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სიმფონია).

ამ წიგნების სახით სამეცნიერო საზოგადოებას მიეწოდა ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის პირველხარისხოვანი გამოკვლევები, რომელთაც ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ ამ ღვთიური საგალობლების შესწავლა ამით არ დასრულებულა. რადგანაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცნობილი გახდა ქართული „დავითნის“ კიდევ რამდენიმე ახალი ვერსია ათონის მთისა და სინის

მთის ხელნაწერთა კოლექციებიდან, ქალბატონი მზექალა დღესაც აქტიურად მუშაობს ამ მასალების შესაჯერებლად საკუთარი კვლევის შედეგებთან და მათ ჩასართავად ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში.

როგორც ითქვა, მზექალა შანიძემ ღირსეულად გააგრძელა ქართული ფილოლოგიის ის ტრადიციები, რაც აკადემიურ ტექსტოლოგიასთან, ისტორიული ტექსტების მეცნიერულ დადგენა-გამოცემასთან არის დაკავშირებული და რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც აკადემიკოსი აკ. შანიძე ბრძანდებოდა. გარდა იმისა, რომ ქალბატონმა მზექალა შანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიური ტექსტების გამოცემასა და კვლევაში, მან ასევე საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი განუმეორებელი ძეგლი, როგორიცაა ანონიმი ავტორის „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, და ძალზე ბევრი გააკეთა ამ უძვირფასესი ძეგლის აკადემიური ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე (გამოიცა 1992 წელს).

გარდა თხზულების ტექსტის შედგენილობის სერიოზული გამართვისა და უაღრესად საინტერესო და რთული ენობრივი ქსოვილის ყოველმხრივი ანალიზისა, რისი საფუძველიც გახდა ბიბლიური ტექსტების ზედმიწევნითი ცოდნა და იმ გასაოცარი პლასტების გამოვლენა, რომელიც მემკვიდრის შემოქმედებითი არსენალის ორგანული ნაწილი აღმოჩნდა და რასაც დამეყარა არაერთი რედაქციული კორექტივი თუ მახვილგონივრული კონიექტურა, გამოცემა აღჭურვილია შესანიშნავი ფილოლოგიური გამოკვლევით ამ ტექსტის (შესაბამისი ხელნაწერების) ენობრივი ხასიათის, ლექსიკური შედგენილობისა თუ მისი ფაქტობრივ-ლიტერატურული წყაროების შესახებ (იხ. მაგალითად: ბიბლიური პარალელები დავითის ისტორიკოსის თხზულებაში, გელათის მეცნ. აკად. შრ. I, 2014 და სხვ.).

მკვლევრის ძირითადი მიზანი – „დავითის ცხოვრების“ ტექსტის დადგენა და მისი ყოველმხრივი შესწავლა, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურად არის შესრულებული, – ის მიზანი, რომელიც თვით ავტორის მიერ ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „ტექსტის გამართვა და კრიტიკულად დადგენა აუცილებელია თხზულებაში მოთხრობილი რეალური ისტორიული მოვლენების სწორად გასაგებად და გასააზრებლად. მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემკვიდრის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა (მათ შორის, ავტორობისაც), ისე ამ ხელნაწერების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში“.

აკად. მზექალა შანიძემ ასევე კრიტიკულად შეისწავლა და მაღალი დონის აკადემიურ გამოცემად მოამზადა კიდევ ერთი ისტორიული თხზულება – ბასილი ებოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. უნდა ითქვას, რომ ამ საისტორიო თხზულებების ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე მზ. შანიძემ არაერთი საინტერესო მოხსენება და წერილი უძღვნა მათიანეთა ცალკეული ადგილების წაკითხვა-ინტერპრეტაციასა თუ მნიშვნელოვანი ლექსიკურ-გრამატიკული იკითხვისების დადგენა-დაზუსტებას.

მზექალა შანიძის მიერ მომზადებული ეს თხზულებები შევიდა „ქართლის ცხოვრების“ თანამედროვე აკადემიურ გამოცემაში, რომელიც აკად. რ. მეტრეველის მთავარი რედაქტორობით გამოიცა 2008 წელს და რომლისათვისაც წიგნის შემდგენლებმა, მათ შორის – ქალბატონმა მზექალა შანიძემ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურეს. „ქართლის ცხოვრების“ ამ სარედაქციო შემადგენლობის მიერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა – ეს საისტორიო წიგნები ითარგმნა და გამოიცა ინგლისურად და რუსულად, რაშიც (ზემოდასახელებულ თხზულებათა ნაწილში) ასევე მზ. შანიძემ შეიტანა თავისი წვლილი. ცხადია, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული საისტორიო წყაროების საერთაშორისო არენაზე გატანისათვის.

ქართული გრამატიკული (ენათმეცნიერული) აზრის ისტორიისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს მზ. შანიძის მიერ აკადემიურად შესწავლილსა და გამოცემულ გრამატიკულ ტრაქტატს „სიტყუაჲ ართრონათჳს“ (თბ. 1990). ეს ტრაქტატი ერთგვარად ავსებს იმ თეთრ ლაქას, რომელიც, ესოდენ მონოლითური ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის ფონზე, წერილობით შემონახული გრამატიკული ნორმების არარსებობას უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა იმდენად მოწესრიგებულია ნორმატიულად და იმდენად სტაბილურია საუკუნეთა განმავლობაში, ამ ენაზე იმდენად სერიოზული მთარგმნელობითი და ორიგინალური სამწერლობო სკოლებია ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ეს ყოველივე საფუძვლიანი გრამატიკული კულტურის გარეშე შექმნილიყო. ცხადია, ეს აზრი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეტარებინა იმ პიროვნებას, იმ მეცნიერს, ვინც ესოდენ ღრმად და ასეთი ზედმიწევნით იცნობდა მდიდარ ქართულ მწიგნობრულ მემკვიდრეობას.

ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ სწორედ მზექალა შანიძემ გამოავლინა, შეისწავლა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოსცა ეს უძველესი ქართული გრამატიკული თხზულება, რომელიც ასახავს XI-XII საუკუნეთა გრამატიკულ აზროვნებას საქართველოში, კერძოდ,

მკვლევრის დამაჯერებელი ვარაუდით, – ეფრემ მცირის ლიტერატურულ სკოლაში არსებულ გრამატიკულ ცოდნას. როგორც თვით ტრაქტატს, ისე ამ აკადემიურ გამოკვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის, ვინაიდან მისი ავტორი მხოლოდ ბერძნული გრამატიკის საკითხების ცოდნას კი არ ავლენს, არამედ ქართული ენის ცალკეული მოვლენების ხედვასა და ანალიზსაც. მკვლევარმა ეს აზრი უეჭველი გახადა პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის – „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ – გამოცემითა და გამოწვლილვითი შესწავლით. ეს თხზულება მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიზუსტით, სიღრმითა და სისრულით არის გამოკვლეული როგორც სტრუქტურულად და შინაარსობრივად, ისე ენობრივ-სტილისტიკურად, განსაკუთრებით კი – სისტემის აღმწერ ცნებათა, ტერმინოლოგიურ ერთეულთა თვალსაზრისით.

აკად. მზ. შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევრის, სამეცნიერო ინტერესები თემების, პრობლემების ფართო წრეს მოიცავს. პირველ რიგში ეს არის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები ძველი და გარდამავალი პერიოდის ქართულის ენობრივი მონაცემების მოხედვით, ასევე სალიტერატურო ენის აქტუალური ნორმატიული პრობლემები. ამ რიგის ნაშრომებს ეკუთვნის: „ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959); „ებრაული ანბანის გადმოცემის შემთხვევები ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერებში“ (ენათმეცნ. ინსტ. შრომები, II, 1957); „გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში“ (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956); „რომელ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში“ (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერის ინტერესები უმთავრესად ძველი ქართული ენობრივი სამყაროსაკენ არის მიმართული, მას თავისი ყურადღება არც საშუალო და ახალი ქართულის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლებისათვის მოუკლია. მაგალითად, ისტორიულ ქართულთან და დიალექტებთან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ენობრივი მიმართების საინტერესო ასპექტებს წარმოაჩენს მზ. შანიძის წერილი „ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში. მეცნიერის ძირითადი დასკვნა ის არის, რომ „ვაჟა-ფშაველას ენა არ არის მხოლოდ „მთის მგოსნის“ ენა... ვაჟა-ფშაველა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელთა ტრიადის სრულუფლებიანი წევრია“.

ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერი მუდმივად ადევნებს თვალს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებს და საზოგადოებას სთავაზობს ნორმატიულ რეკომენდაციებს ღრმა ისტორიზმისა და ფართო თეორიული თვალთახედვის საფუძველზე; ამიტომაც მისი წინადადებები ამ სფეროში ყოველთვის საფუძვლიანია და ანგარიშგასაწევი; მაგალითად, ასეთი აკადემიური სტატიებია: „ი- ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში“ (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, 1998); „ი- ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში“ (თსუ გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969)... ნიშანდობლივია, რომ სწორედ ქალბატონი მზექალა ხელმძღვანელობს ქართული სახელმწიფო ენის კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში და აქ მოსმენილი იქნა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ქართული ენის უზრუნველყოფა თანამედროვე ელექტრონული რესურსებით და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობს მზ. შანიძის ლექსიკოლოგიური, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი. საყოველთაოდ არის ცნობილი, მეტიც, ქართული ლექსიკის ისტორიული კვლევის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს მისი ცალკეული სტატიები; მაგ.: „სილოდა და მელოდარი ქართულში“ (მაცნე, 1964); „ნეზვის ეტიმოლოგიისათვის“ (ორიონი აკ. შანიძეს, 1967); „სორექ“ სიტყვა „აბდულმესიანში“ (თსუ-ს შრ. ტ. B2 (140), 1971; „უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის“ (ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 20, 1977); „ნადი და მამითადი“ (ძვ. ქართ. ენის კათედრ. შრ. ტ. 23, 1980); „თირკუმელ სიტყვა ფსალმუნში“ (კრ. „ვარლამ თოფურია – 100“, 2001); „დაჰმანი“ („დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, თბ., 2012) და სხვ. ამ კონკრეტული კვლევების უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს მათი ღრმა ისტორიზმი, დოკუმენტირებისა და არგუმენტაციის საფუძვლიანობა და ფორმალური და სემანტიკური ანალიზის სიცხადე და დამარწმუნებლობა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ღრმა ანალიზმა ქალბატონ მზექალას საშუალება მისცა გამოეველინა სულხან-საბას მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული წყარო, კერძოდ, არაერთი სიტყვის განმარტების საფუძველი ეფრემის „ფსალმუნთა თარგმანება“ აღმოჩნდა; მაგალითად, ქალბატონი მზექალას მიგნებაა, რომ ცხედარ- სიტყვის საბასეული ახსნა მთლიანად ეფრემ მცირის თარგმანებიდან მომდინარეობს: „ცხედრად ითქუმის შიშუელი საგებელთაგან, ხოლო სარეცლად დაგებული და გარდაგებული“ (ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება“ როგორც საბას ლექსიკონის წყარო, აკაკი შანიძე – 100, თბ. 1987) და სხვ.

პირველსავე სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, სრულიად განსაკუთრებულია მზექალა შანიძის წვლილი როგორც პედაგოგისა, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ორგანიზატორისა. შეუძლებელია, ერთი ასპექტიც არ ითქვას: იგი წლების განმავლობაში ქმნიდა და ინარჩუნებდა სასურველ აკადემიურსა და მორალურ ატმოსფეროს და საკუთარ პოზიციებს არ ცვლიდა შექმნილი ვითარების, მიმდინარე კონიუნქტურის ანგარიშის გაწევით. ამას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა გასული საუკუნის ბოლო პერიოდის მკვეთრი რყევების დროს. გარკვეულ ეტაპზე კომუნისტურმა სისტემამ აშკარად აამოქმედა რომელიღაც „ბ“ გეგმა ეროვნული უნივერსიტეტის უმწიკვლო რეპუტაციის შესარყევად. ასეთ დროს უშიშროების ამგვარი გეგმების საპირისპიროდ ყველაზე საიმედო ფარი იყო იმ ერთეულ პიროვნებათა პირადი სიმტკიცე და შეუვალობა, პიროვნული ავტორიტეტი, რომელთა შორისაც გამორჩეულად აღინიშნება ქალბატონი მზექალა შანიძის სახელი. ამიტომაც იგი ყოველთვის წრფელი პატივისცემით სარგებლობდა არა მხოლოდ მოწაფეებისა და კოლეგების, არამედ მთელი საზოგადოების მხრიდან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ, ყველაფერთან ერთად, აკად. მზექალა შანიძე მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნებაა. მიუხედავად სამეცნიერო-აკადემიურ საქმეთაგან დიდი უცალობისა, იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში და თავისი პირდაპირი და მართალი პოზიციით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთულესი საზოგადოებრივი პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამისი დასტურია მისი ხანგრძლივი აქტიური მოღვაწეობა საქართველოს ქალთა საბჭოში, მისი წევრობა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – უზენაეს საბჭოში. უთუოდ ყველას ახსოვს, რაოდენ რთული და მგრძნობიარე იყო ის დრო, როდესაც ქალბატონ მზექალას უწევდა უზენაეს საბჭოში თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების აღსრულება. მისი ბიოგრაფიის აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ იგი ხელმომწერია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტისა. და აქ უნდა ითქვას: როდესაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაეს საბჭოში ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე საზეიმო ვითარებაში აწერდნენ ხელს, ძნელი სათქმელია, იმ ხელმომწერთაგან ვის რა ფიქრი და ზრახვა უტრიალებდა თავში, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალბატონი მზექალა, თავისთავად ამაღლებული განწყობის გარდა, იმასაც ფიქრობდა, რომ თავისი დიდი მამის, აკაკი შანიძის, საუკუნოვან ოც-

ნებასაც აღასრულებდა; მამისა, ვინც, სხვათა შორის, ავტორია ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებამდე შექმნილი „ქართული ეროვნული ჰიმნისა“ (1917 წლის 5 დეკემბრითაა დათარიღებული), რომელსაც აკაკი შანიძე (ვისი პოეტური ნიჭიც ყველასთვის ცნობილია, რაც ასევე მემკვიდრეობით გადმოჰყვა ქალბატონ მზექალას) ასეთი მოწოდებით იწყებს:

აბა, ფხიზლად, ქართველებო, მივყვეთ მამა-პაპის კვალსა!

წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!

ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!

ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

დასასრულ უნდა ითქვას, რომ გამორჩენილი მეცნიერი კვლავაც აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სამეცნიერო აქტივობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ მკვლევრის შემოქმედებითი ცხოვრების უახლეს პერიოდს ეკუთვნის. აკადემიკოსი მზექალა შანიძე ამითაც ამართლებს დიდი მამის გენეტიკურ მემკვიდრეობას – იგი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ მეცნიერული (ლინგვისტური) დღეგრძელობის მაგალითს!

აკადემიკოსი ავთანდილ არაბული
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

„სანამ ცოცხალი ვარ, კიდევ გამოვადგე ადამიანებსა და საქმეს“ – მზექალა შანიძის სანუკვარი ოცნება

გამორჩეულობა მისი ხვედრი იყო დაბადებიდანვე. 95 წლის წინ გამორჩეულ ოჯახში დაბადებულ გოგონას მშობლებმა სახელიც გამორჩეული შეურჩიეს და ამით ცხოვრებითაც და საქმითაც გამორჩეულობა დაანათლეს. გამორჩეულ ადამიანებს კი ოცნებებიც გამორჩეული აქვთ.

ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის მზექალა შანიძის მრავალი გამოკვლევა მართლაც გამორჩეულია და სრულიად ახალი მიმართულების მაჩვენებელია ჩვენს მეცნიერებაში.

მზექალა შანიძე ფართო ენათმეცნიერული და ფილოლოგიური თვალთახედვის სპეციალისტია. იგი არის ასოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის ხუთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიისა,

რომლებიც განსაკუთრებული მეცნიერებული ღირებულებით და სიახლით გამოირჩევა. ამ ნაშრომებში განხილულია საკითხების ფართო სპექტრი – ქართული ენისა და სემიტური ენების ფონემატური სტრუქტურა, ქართული ენის ისტორიის, მორფოლოგიისა და ლექსიკის მნიშვნელოვანი საკითხები, ქართული გრამატიკული აზრის ისტორია. მისი კვლევის სფეროში აგრეთვე შემოდის ძველი ქართული ფილოლოგია და ლინგვისტური წყაროთმცოდნეობა, უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაცია და ტექსტოლოგიური კვლევა. მზექალა შანიძის ბევრი ნაშრომი რეცენზირებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის სპეციალისტთა მიერ. ცნობილი ქართველოლოგი, პროფესორი ჟ. გარიტი (ბელგია) მ. შანიძის მიერ შესრულებული ფსალმუნის ძველი ქართული ტექსტის გამოცემის შესახებ წერდა: „ეს არის სანიმუშო ნაშრომი, რომელსაც ამიერიდან გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი ქართველოლოგი.“ ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხებიდან, რომლებიც ქალბატონმა მზექალამ შეისწავლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევები – ი ხმოვანფუძიან ანთროპონიმთა და საზოგადო სახელთა შესახებ – საკითხები, რომლებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სრულიად შეუსწავლელი იყო.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიას აშუქებს მზექალა შანიძის მიერ აღმოჩენილი უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. ტექსტის პუბლიკაციითა და ვრცელი გამოკვლევით, რომლითაც მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ქართული გრამატიკული ლიტერატურა რეალურად არსებობდა უკვე XI საუკუნეში (და არა XVIII საუკუნეში, როგორც იქამდე ივარაუდებოდა). ამ ნაშრომისთვის მზექალა შანიძემ აკაკი შანიძის სახელობის პრემია მიიღო. აღსანიშნავია, რომ მ. შანიძის ნაშრომი ქართული გრამატიკული აზროვნების შესახებ 2000 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა „მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიის“ I ტომში (გამომცემლობა Gruyter, Berlin – New York).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მზექალა შანიძის გამოკვლევები იმ ძეგლთა შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ადრეულ პერიოდში (ფსალმუნისა და სხვა ბიბლიური ტექსტები); ამ ძეგლების კომპლექსური შესწავლა მზექალა შანიძის მიერ ჩვენს მეცნიერებაში სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს. სანიმუშო გამოკვლევაა მონოგრაფია „ფსალმუნთა წიგნის ქართული თარგმანები“, სადაც ტექსტის კვლევაში გამოყენებულია თანამედროვე ლინგვისტური მეთოდები. 2010 წელს გამოცემული წიგნით „ქართული ფსალმუნის სიმღერა – მასალები ადრეული ვერსიისათვის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სიმღერა“;

მზექალა შანიძემ დააგვირგვინა ქართული მწერლობისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლთან დაკავშირებით მის მიერ დიდი ხნის წინ დაწყებული სამუშაო – მას სანიმუშოდ გამოცემული აქვს ფსალმუნთა წიგნი, გამოქვეყნებულია ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა და შედგენილია სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც სრულად ასახავს ამ ერთ-ერთ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლში დადასტურებულ ლექსიკას.

მზექალა შანიძის ინტერესების სფეროში შემოდის ქართული საისტორიო ნარატიული ენაც. გამოკვლევა, რომელიც მან დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტის გამოცემასთან ერთად გამოაქვეყნა, პრინციპულად ახალ ეტაპს წარმოადგენს ამგვარ თხზულებათა შესწავლაში. ეს გამოკვლევა, რომლის ანალოგი „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს, ისტორიული ტექსტების სხვა მკვლევართათვის კვლევა-ძიების ახალი გზებისა და მეთოდების მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ქალბატონი მზექალაც თავის ყველაზე დიდ წარმატებად დავითის ისტორიკოსის ტექსტის დადგენას მიიჩნევს.

ქალბატონ მზექალას ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ქართული ლექსიკის დარგში, სადაც იგი ფართოდ იყენებს პარალელებს ინდო-ევროპული და სემიტური ენებიდან.

შვიდ ათეულ წელზე მეტია ქალბატონი მზექალა მუშაობს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და იკვლევს ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევ „ხელით წერილი განძს“ – ძველ ქართულ ხელნაწერებს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. იგი სამჯერ იყო სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში, როგორც ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრი, და არის ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა ვრცელი სამეწოვანი კატალოგის თანაავტორი (ათენი, 2005 წ.) და ამავე კატალოგის ინგლისური ვარიანტის ავტორი. ბოლო ექსპედიციაში 85 წლის მეცნიერმა ახალ პროექტზეც დაიწყო მუშაობა, რომელიც წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში დაცული ფსალმუნთა წიგნის X საუკუნის ხელნაწერების შესწავლას გულისხმობს.

მზექალა შანიძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მის ხელში გაიარა ფილოლოგთა არაერთმა თაობამ. სალექციო კურსებს კითხულობდა უცხოეთშიც: ბელგიაში (1991, 1996), ნორვეგიაში (1996) და პეტერბურგში (1996-1998). უკვე 25 წელზე მეტია ინგლისურ ენაზე უტარებს ლექციებს უნივერსიტეტის ქართვე-

ლოლოგიური სკოლის უცხოელ მსმენელებს და აოცებს მათ არა მხოლოდ თავისი ღრმა ცოდნითა და ერუდიციით, არამედ შესანიშნავი ინგლისურით.

მზექალა შანიძის სამეცნიერო მუშაობა გამოირჩევა უმკაცრესი აკადემიური მომთხოვნელობით საკუთარი თავისადმი. იგი დღესაც განაგრძობს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში, გამოსაცემად ამზადებს ფსალმუნთა განმარტების ეფრემ მცირისეულ თარგმანს და მუშაობს დიდი მამის დაწყებული დიდი საქმის გასრულებაზე – ახალგაზრდა კოლეგებთან თანამშრომლობით გამოსაცემად ამზადებს ბიბლიის უძველეს ხელნაწერს, 978 წლის ათონის (ოშკის) ბიბლიას.

ქალბატონი მზექალა მრავალი ჯილდოს მფლობელია (ღირსების ორდენი, ივანე ჯავახიშვილის მედალი და სხვ.), მაგრამ უმთავრესი და განსაკუთრებული ჯილდო ის დიდი პატივისცემა და სიყვარულია, რომელიც მან ხალხისგან დაიმსახურა. იშვიათია შემთხვევა, როცა დიდ მეცნიერებს მხოლოდ სახელით იცნობენ – ქალბატონი მზექალა სწორედ ასეთი იშვიათი მეცნიერია, რომლის სახელს (მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი ამ სახელს კიდევ უფრო მეტ უღერადობას მატებს), მაინც მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. და ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის. „მრავალი ღვაწლის აღმსრულებელი“ ქალბატონი თავის მთავარ ღირსებად ცოდნისადმი ინტერესს მიიჩნევს, რამაც შეაძლებინა 95 წლის ასაკშიც ახალგაზრდა იყოს, ინტერესით მიიღოს თანამედროვეობის ყველა სიახლე, იმეგობროს ახალგაზრდებთან და სანუკვარ ოცნებად ატაროს აზრი: „სანამ ცოცხალი ვარ, კიდევ გამოვადგე ადამიანებსა და საქმეს“.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო მზექალა!

დარეჯან თვალთვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორი

ჰაინც ფენრიხი – 80

ნესტორი კავკასიოლოგი 80 წელი პროფესორ ჰაინც ფენრიხის დაბადებიდან

მრავალმხრივი, უაღრესად ნაყოფიერი და საფუძვლიანი – მოკლედ ასე შეიძლება შეჯამდეს პროფესორ ჰაინც ფენრიხის სამეცნიერო მემკვიდრეობა თანამედროვე კავკასიოლოგიაში. როგორც მკვლევარი, მთარგმნელი, ავტორი და გამომცემელი იგი უკვე 50 წელია მუშაობს ჩაუხრელად ილვწის ქართველთა შესახებ არსებული ცოდნისა და სამეცნიერო მონაცემების შევსება-გაფართოების მიმართულებით. როგორც მასწავლებელი კი თითქმის ამდენივე ხნის განმავლობაში უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალბედა კავკასიოლოგებს.

იენის უნივერსიტეტის პროფესორის გერტრუდ პეჩის ლექციებით აღფრთოვანებული ჰაინც ფენრიხი, როგორც ამავე უნივერსიტეტის არქეოლოგიის სტუდენტი, გასული საუკუნის 60-იან წლებში იღებს გადაწყვეტილებას, საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული ენა და კულტურა. 1969 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი განსაკუთრებულად ზრუნავს კონტაქტების გაფართოებაზე ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან. მისი ქართული მალე აღწევს ენის ფლობის იმგვარ დონეს, როცა უკვე ძნელია გაარჩიო იგი მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ქართულისაგან. 1971 წელს ფენრიხი სადოქტორო დისერტაციას იცავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ზმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი აკად. აკაკი შანიძე, რომელსაც, როგორც მასწავლებელს, ასევე დიდი ამაგი აქვს გაწეული გერმანელი მოწაფის დახვეწილი ქართულისთვის.

პროფესორ გერტრუდ პეჩის პენსიაზე გასვლის შემდეგ ჰაინც ფენრიხი სათავეში ჩაუდგა კავკასიოლოგიური კვლევების სექტორს იენის უნივერსიტეტში და 1986 წელს შექმნა კავკასიოლოგიის კათედრა, რომელიც დღემდე ერთადერთია გერმანიის მასშტაბით. აქვე აღსანიშნავია მისი როლი იენის საუნივერსიტეტო და რეგიონული ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბების საქმეში.

ჰაინც ფენრიხის მრავალმხრივი საქმიანობიდან, უპირველეს ყოვ-

ლისა, აღსანიშნავია მისი საენათმეცნიერო მოღვაწეობა. ქართული ენის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა აისახა მის ამავე სახელწოდების ნაშრომში.¹ ინტერესები და პასუხები თანამედროვე საენათმეცნიერო პრობლემატიკაზე უზვადაა წარმოდგენილი მის წიგნებსა და საჟურნალო სტატიებში.²

ჰაინც ფენრიხის საენათმეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კომპარატიულ კვლევებს. ფონემათა კანონზომიერი გადაწევის შედეგად განვითარებულ მოვლენათა მიკვლევა და ახსნა ქართველური ენების ლექსიკურ ფონდში მისი საენათმეცნიერო საქმიანობის სოლიდურ ნაწილს შეადგენს. გამომცემლობა ბრილის მიერ გამოქვეყნებულ თითქმის 700-გვერდიან ნაშრომში თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს მცირე სტატიების სახით წარმოდგენილი კვლევის შედეგები, აქვეა შეტანილი სხვა ავტორთა შენიშვნები და მიგნებები, რაც მთლიანობაში საუკეთესო საფუძველს ქმნის განმაზოგადებელი კომპარატიული კვლევების განსახორციელებლად ქართველოლოგიაში.³

მისი ლექსიკოგრაფიული საქმიანობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ ზურაბ სარჯველაძესთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ნიადაგზე შექმნილი ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი.⁴ წიგნს გამორჩეულს ხდის ლექსემათა ამომწურავი განმარტებები და საილუსტრაციო მასალის სიუხვე. გარდა საკუთრივ ქართულისა, ჰაინც ფენრიხის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა სწვდება მეგრულსა და სვანურს.⁵ იგი აგრეთვე მოიცავს ონომასტიკის სფეროებსაც.⁶ ფენრიხის ლექსიკოგრაფიული ინტერესები სცილდება ქართველური ენების სფეროს და მოიცავს ჩრდილო-კავკასიური ჯგუ-

1 Die georgische Sprache von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2012.

2 გამოკრებით: Zu den lexikalischen Ähnlichkeiten zwischen den Sprachen Kaukasiens und dem Burushaski. წიგნში: Fähnrich, H.: Kleine Schriften, Jena 2003; Fähnrich, Heinz: Historisch-vergleichende Sprachwissenschaft und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019; Die ältesten georgischen Inschriften von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2013.

3 Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2007.

4 Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch von Surab Sargshweladse und Heinz Fähnrich unter Mitwirkungen von Irine Melikishvili und Sopia Sardshweladse. Brill, Leiden-Boston 2005.

5 Otar Kadshaia und Heinz Fähnrich: Mingrelisch-Dautesches Wörterbuch. Wiesbaden: Reichert Verlag, 2001; Tscholurswanisch-deutsches Verbeverzeichnis von Čantladse, Iza; Babluani, Rusudan und Heinz Fähnrich, Jena, 2003.

6 Fähnrich, Heinz: Georgische Toponymie. Jena 1998.

ფის ისეთ ენებს, როგორცაა ლაკური, ბაცბური და უდიური.⁷

მისი, როგორც ლექსიკოგრაფისა და ქართული ზმნის მკვლევრის მრავალწლიანი საქმიანობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ქართული ზმნის სამტომეული. კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ქართულში გამოყენებული ზმნების თითქმის სრული შემადგენლობა, ზმნები დალაგებულია ფუძეების მიხედვით, განვრცობილია სანიმუშო მასალით და თარგმნილია გერმანულ ენაზე (კრებულის თანავატორები არიან ნათია რაინეკი და ნანა ოდიშელიძე).⁸

დღესაც კი, როცა თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მნიშვნელოვნად გაადვილდა საგამომცემლო საქმიანობა, ფენრიხი უყოყმანოდ უნდა ჩაითვალოს გერმანულენოვანი კავკასიოლოგიური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ გამომცემლად. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი, როგორც ჟურნალ გეორგიკას დამფუძნებლის, რედაქტორისა და გამომცემლის ღვაწლი. აღნიშნული ჟურნალი 1978 წლიდან 2017 წლამდე ასრულებდა პლატფორმის ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც კავკასიოლოგებს მსოფლიო მასშტაბით შეეძლოთ, გაეცვალათ სამეცნიერო ინფორმაცია. ასევე აღსანიშნავია ფენრიხის მიერ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული კავკასიოლოგიური ლიტერატურის სერია. მისი მეშვეობით გერმანულენოვან მკითხველს მნიშვნელოვნად გაუადვილდა წვდომა ადრე სრულიად უცნობ ქართულ წყაროებზე, აღნიშნულმა სერიამ ასევე საშუალება მისცა არაერთ ახალბედა კავკასიოლოგს, ფართო სამსჯავროზე გამოეთანა საკუთარი კვლევის შედეგები.⁹

კიდევ ერთი ნაყოფი ფენრიხის მოღვაწეობისა, რომელიც აქ გვინდა წარმოვადგინოთ, მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ჩვეულებრივი ადამიანის მუყაითობასა და შრომით შესაძლებლობებზე. მხედველობაში გვაქვს მის მიერ ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის მოცულობა და მრავალფეროვნება. აქ იგულისხმება სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, მხატვრული ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშები, ისტორიულ წყაროები და კიდევ მრავალი სხვა ჟანრის, ფორმისა თუ ეპოქის ნაწარმოებები.

7 Heinz Fähnrich, *Lakischer Wortschatz*. Shaker Verlag, Aachen, 2017; Heinz Fähnrich, *Kleines Udisch-Deutsches Wörterverzeichnis*, Jena, 1999; Batsisch (Zowatuschisch) - *Deutsches Wörterbuch*, zusammengestellt von Heinz Fähnrich nach dem Zowatuschisch - Georgisch - Russischen Wörterbuch von D. und N. Kadagidse und R. Gagua, Jena 2001.

8 *Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen)* von Fähnrich, Heinz; Odischelidse, Nana und Natia Reineck. Shacker Verlag. Aachen, 2013.

9 მაგალითისთვის: *Zur Struktur der georgischen Vornamen* von Rieger, Ute. Jena, 2003.

წინამდებარე წერილის ავტორები წარმოვადგენთ რა საკუთარი და უცხო კულტურის მკვლევარ კავკასიოლოგთა ორ განსხვავებულ პერსპექტივას, გვინდა ჩვენი საერთო მოსაზრება გამოვთქვათ ბატონი ჰაინც ფენრიხის ერთ განსაკუთრებულ თვისებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იგი ახერხებს, თავის თავში გააერთიანოს კავკასიოლოგ-მკვლევრის ორივე ზემოხსენებული პერსპექტივა და გამოიმუშაოს უნარი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ზოგადად საენათმეცნიერო და კულტუროლოგიური კვლევების განსახორციელებლად.

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრისა და ჟურნალ კადმოსის რედაქციის სახელით, გულითადად ვულოცავთ პროფესორ ჰაინც ფენრიხს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ მხნეობას და ვიმედოვნებთ, რომ იგი კიდევ არაერთხელ შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს თანამედროვე კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში.

პროფ. დიანა ფორკერი
იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
ასოც. პროფ. ელგუჯა დადუნაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
იენის ფრიდრიხ შილერი უნივერსიტეტი

Heinz Fähnrich – 80

Nestor der Kaukasiologie

Anlässlich des 80 jährigen Jubiläums von Professor Heinz Fähnrich *

Vielseitig, äußerst produktiv und kompetenzvoll - so lässt sich kurz das Erbe von Professor Heinz Fähnrich in der gegenwärtigen Kaukasiologie bewerten. Als Forscher, Übersetzer, Autor und Herausgeber erweitert er seit mehr als 50 Jahre äußerst aktiv die Wissens- und Datenbasis über die Sprachen, Literatur, Folklore und Geschichte der Kartwelier. Als Lehrender gibt er seit fast ebenso langer Zeit seine Erfahrung an mehrere Generationen jüngerer Kaukasiologen weiter.

Angeregt durch die Vorlesungen von Prof. Gertrud Pätsch beschließt Fähnrich 1960er als Archäologie-Student der Universität Jena, sich mit georgischer Kultur und den Sprachen zu befassen. Nach der Promotion im Jahr 1969 intensiviert er persönliche Kontakte mit den akademischen Kreisen in Georgien und erlangt bald Sprachkenntnisse, die sich kaum von denen eines Muttersprachlers unterscheiden. 1971 habilitiert er sich an der Staatliche-Universität-Tiflis über das georgische Verb. Dabei wird er von Prof. Akaki Schanidze, dem führenden Vertreter der georgischen Sprachwissenschaft betreut, bei dem er sich auch für die von ihm erworbene Sprachkompetenzen im Georgischen zu bedanken hatte.

Nach der Emeritierung von Frau Prof. Gertrud Pätsch übernimmt Fähnrich die Leitung des Fachgebietes Kaukasiologie an der Universität Jena und schafft es im Jahr 1986 zu der Professur, die bislang die einzige Professur für Kaukasiologie in Deutschland darstellt. Nicht zu unterschätzen ist seine Rolle als Mitgestalter der kaukasiologischen Abteilung an der Universitäts- und Landesbibliothek Thüringen, mit einem gut organisierten Katalog und einem beträchtlichen Bestand an fachspezifischer Literatur.

Unter seinen vielseitigen Tätigkeiten ist Prof. Fähnrich zunächst einmal als Sprachwissenschaftler auszuzeichnen. Sein komplexes Wissen über die georgische Sprache spiegelt sich in seinem gleichnamigen Buch wider.¹ In seinen zahlreichen Büchern, Aufsätzen und Zeitschriftartikeln zeigt er sein Interesse für einzelne Schwerpunkte der gegenwärtigen Kartwelologie und schlägt einleuchtende Erklärungen vor.²

1 Die georgische Sprache von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2012.

2 In Auswahl: Zu den lexikalischen Ähnlichkeiten zwischen den Sprachen Kaukasiens und dem Burushaski. In: Fähnrich, H.: Kleine Schriften, Jena 2003; Fähnrich, Heinz: His-

Unter den sprachwissenschaftlichen Leistungen von Heinz Fähnrich ragen insbesondere seine komparatistischen Studien hervor. Erörterungen der nach den gesetzmäßigen lautlichen Verschiebungen entwickelten Ableitungen im Wortschatz der Kartwelischen Sprachen nehmen einen breiten Raum in seinem sprachwissenschaftlichen Werdegang ein. Der vom Verlag Brill veröffentlichte Band von knapp 700 Seiten, der eine Zusammenfassung seiner in relativ kleinen Publikationen bereits erschienenen Forschungsergebnisse auf diesem Feld sowie die Anmerkungen viele anderer Autoren darstellt, bereitet somit den fruchtbaren Boden für weitere komparatistische Untersuchungen der Kartwelischen Sprachen.³

Hervorzuheben sind ebenfalls seine Verdienste für die Lexikografie der Kartwelischen Sprachen. Unbedingt zu nennen ist das in der langjährigen Zusammenarbeit mit Prof. Zurab Sarjeladze fertiggestellte Altgeorgisch-deutsche Lexikon.⁴ Das Buch zeichnet sich durch die ausführlichen Erläuterungen der erfassten lexikalischen Einheiten, sowie die reichlich dargestellten Textquellen aus. Der Beitrag von Heinz Fähnrich in der Lexikographie der kartwelischen Sprachen greift auch auf den mingrelischen, und swanischen Wortschatz zurück.⁵ Er schließt außerdem die Onomastik ein und enthält systematische Beobachtungen über die Komposition der georgischen Toponymie und Eigennamen⁶. Die lexikographische Forschung von Heinz Fähnrich geht über die Kartwelischen Sprachen hinaus und umfasst andere kaukasischen Sprachen wie Lakisch, Udisch und Batsisch.⁷

Als Lexikograph und Verbforscher hat Heinz Fähnrich seine langjährigen Arbeiten zu den georgischen Verben in einem dreibändigen Sammelband zusammengestellt (Koautorinnen der Publikation sind Natia Reineck und Nana Odischelidse).⁸ Der Sammelband erfasst den beinahe vollständigen Bestand der im modernen Georgischen gebrauchten Verben, geordnet nach ihren Stämmen und einzelnen Formen und ergänzt durch Satzbeispiele und deutschen Übersetzungen.

torisch-vergleichende Sprachwissenschaft und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019; Die ältesten georgischen Inschriften von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2013.

3 Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich. Brill, Leiden-Boston 2007.

4 Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch von Surab Sargshweladse und Heinz Fähnrich unter Mitwirkungen von Irine Melikishvili und Sopio Sardshweladse. Brill, Leiden-Boston 2005.

5 Otar Kadshaia und Heinz Fähnrich: Mingrelisch-Deutsches Wörterbuch. Wiesbaden: Reichert Verlag, 2001; Tscholurswanisch-deutsches Verbeverzeichnis von Čantladse, Iza; Babluani, Rusudan und Heinz Fähnrich, Jena, 2003.

6 Fähnrich, Heinz: Georgische Toponymie. Jena 1998.

7 Heinz Fähnrich, Lakischer Wortschatz. Shaker Verlag, Aachen, 2017; Heinz Fähnrich, Kleines Udisch-Deutsches Wörterverzeichnis, Jena, 1999; Batsisch (Zowatuschisch) - Deutsches Wörterbuch, zusammengestellt von Heinz Fähnrich nach dem Zowatuschisch - Georgisch - Russischen Wörterbuch von D. und N. Kadagidse und R. Gagua, Jena 2001.

8 Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen) von Fähnrich, Heinz; Odischelidse, Nana und Natia Reineck. Shacker Verlag. Aachen, 2013.

Auch heute in der Zeit der computergestützten Publikationen und Herausgeberschaften ist Heinz Fähnrich immer noch der produktivste Herausgeber der kaukasiologischen Literatur. Hier ist zunächst einmal seine Leistungen als Begründer, Editor und Herausgeber der Zeitschrift *GEORGICA* zu betonen. Die von 1978 bis 2017 mit unterschiedlicher Regularität erschienene Zeitschrift galt als Austauschplattform zwischen Kaukasiologen aus aller Welt. Zu nennen ist außerdem die von ihm ins Leben gerufene Kaukasiologischen Reihe. Durch die Gründung dieser Reihe ermöglichte Heinz Fähnrich den deutschsprachigen Leserinnen und Lesern den Zugang zu ansonsten nicht erreichbaren kaukasiologischen Texten. Die Reihe diente ebenfalls dafür, den Weg für jüngere Kaukasiologen zu ebnen, um beispielsweise sie ihre Magisterarbeiten zu veröffentlichen und somit einer breiteren Leserschaft zugänglich zu machen.⁹

Der nächste Tätigkeitsbereich von Heinz Fähnrich, den wir hervorheben möchten, übersteigt in seinem Ausmaß fast unsere Vorstellungen über das Menschenmögliche. Es handelt sich um den Bestand und die Menge der von ihm aus dem Georgischen ins Deutsche übersetzten Texte. Dies sind unzählige Artikel und Leitfäden verschiedenster Art, folkloristische und literarische Texte in Vers und Prosa, historische Chroniken, Texte aus allen Sprachperioden und Genres.

Gedanken über seine Person aus der doppelseitigen Perspektive der emischen und der etischen Kaukasiologen, wie diese durch die Autoren der vorliegenden Festschrift vertreten wird, lässt uns seine Individualität und Besonderheit erkennen, die harmonische Synthese von beiden Herangehensweisen und die aus diesem Grund erreichte Qualität, die gerade bei der Erforschung der Kultur und der Sprache geschätzt und gebraucht wird.

Im Namen des Lehrstuhls für Kaukasiologie der Friedrich-Schiller-Universität Jena und im Auftrag des Redaktionsteams der Zeitschrift *Kadmos* wünschen wir langes Leben, Schaffenskraft und Freude bei der Arbeit und alles Gute für Professor Heinz Fähnrich und hoffen sehr auf seine weiteren Beiträge zur zeitgenössischen Kaukasiologie.

Prof. Dr. Diana Forker

Friedrich-Schiller-Universität Jena

Assoz. Prof. Dr. Elguja Dadunashvili

ISU Tiflis / Friedrich-Schiller-Universität Jena

9 Z.B.: Zur Struktur der georgischen Vornamen von Rieger, Ute. Jena, 2003.

საბსტრეაქტი ABSTRACT

The Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* congratulate distinguished scholars, Professors Mzekala Shanidze and Heinz Fähnrich on their 95th and 80th birthday anniversaries. The journal publishes jubilee letters from Professors Nino Doborjginidze, Winfried Boeder, Avtandil Arabuli, Darejan Tvaltvadze, Diana Forker and Elguja Dadunashvili.

უცხოური ქართველოლოგია

Kar t veli an Stud ie S a b r o a d

ბერნარ უტიე

ხელნაწერი თბილისი A-249: არაბულიდან თარგმნილი კრებული და მისი პირველადი სახე*

რეზიუმე

ხელნაწერი თბილისი A-249 X საუკუნეში პალესტინის გარემოში გადაწერილი საუცხოო კოლექციის დღეს არათანმიმდევრულად აკინძული ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი. ჩვენამდე მოღწეული ტექსტები სირიულიდან არაბულის გავლითაა ნათარგმნი (რაც, უკანასკნელი მათგანისთვის ჯერ კიდევ დასადგენია).

ხელნაწერის თბილისი A-249 ერთადერთ გამოქვეყნებულ აღწერილობად დღემდე რჩება 1903 წელს დასტამბული თ. ჟორდანიას ნაშრომი.¹ ეს თავის დროზე გამოსადეგი აღწერილობა დღეს უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი აღწერილობის შედგენამდე² საჭიროა ამ ლაკუნის შევსება. პ. პეტერსის აზრით, ხელნაწერი თბილისი A-249 მართლაც წარმოადგენს „იშვიათი და უნიკალური თხზულებების შემცველ, საინტერესო და ძალიან ძველ კრებულს.“³ ქალბატონმა ელ. მეტრეველმა მოგვაწოდა ხელნაწერის სრული მიკროფილმი – რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ მას

* Le manuscrit Tbilisi A-249: un recueil traduit de l'arabe et sa physionomie primitive, Bedi Kartlisa, XXXV, 1977, p. 97–108.

1 T. Jordania, Catalogue des manuscrits du Musée ecclésiastique de Tiflis, Tiflis, 1903, p. 261–263 (en russe).

2 პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ხელნაწერის 1–100 აღწერილობას, უკვე გამოქვეყნდა, იხ. B. K. XXXIII, 1975, p. 378–379.

3 P. Peeters, Traductions et traducteurs dans l'hagiographie orientale à l'époque byzantine, in anal. Boll. XL, 1922, p. 290; ასევე in Le tréfonds oriental de l'hagiographie byzantine (1950).

– რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ, ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს გაცილებით მნიშვნელოვანი კრებული ფრაგმენტს, და მეორე მხრივ, ახლა იგი არათანმიმდევრულადაა აკინძული.⁴

მამა მ. ვან ესბროკმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში უძველესი ქართული ჰომილეტიკური კრებულის შესახებ⁵ დაგვანახა, რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას ძველი კრებულების პირველადი სახის აღსადგენად. ჟურნალის წინამდებარე ნომერში მან გამოაქვეყნა ხელნაწერის (დღევანდელი რიგით) პირველი ორი თხზულების თარგმანი. ე. ი. ჩვენი გამოკვლევა მისი ნაშრომის ბუნებრივ დამატებად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერ განვიხილოთ, რას წარმოადგენს ხელნაწერი დღეს და როგორი უნდა ყოფილიყო იგი თავდაპირველად; შემდეგ კი გავანალიზებთ მის შინაარსს.

* *
*

ფურცლების დღევანდელი დანომვრა ყველაზე ზუსტია: იგი ითვლის 111 ფურცელს და ამრიგად, ასწორებს ძველ, ამ ხელნაწერის დამოწმებებში გამოყენებულ პაგინაციას, რომელიც 120-ს მიუთითებდა. ამ განსხვავებას ორი მიზეზი აქვს: ფურცლების დანომვრელმა 2-ჯერ დათვალა მე-12 ფურცელი – თანამედროვე პაგინაცია სხვათა შორის, იწყება fol. 13-ით – და გადაახტა ათიოდე გვერდს 30-დან 41-მდე. Fol. 32-დან მოყოლებული ბოლომდე, ძველი პაგინაცია კიდევ 9 ერთეულს შეიცავდა.

სრულ გვერდზე სტრიქონების რაოდენობა, ჩვეულებრივ, არის 20, ზოგჯერ – 21.

დაწერილია ნუსხურით, რომელიც შეიძლება X ს-ით დავათარილოთ: იგი მართლაც, ძალიან წააგავს ხელნაწერ Sin. გეო-1-ის და Sin. გეო-26-ის (956) მეორე ნაწილის გადამწერის, იოვანეს⁶, ხელს.

4 რადგან ვერ შეამჩნია, პ. პეტერსიცი ჟორდანის დარად ფიქრობდა, რომ საქმე ჰქონდა ორიგინალურ თხზულებასთან ეფრემის შესახებ. ვ. იმნაიშვილი B. M. Add.11281-ის მიხედვით გამოქვეყნებული „ეფრემის ცხოვრების“ კომენტარში მიუთითებს რა ამ ტექსტების ნათესაობას, წერს: „თხზულებათა თანმიმდევრობა ამ ხელნაწერებში ყოველთვის არ ემთხვევა“ (მამათა ცხოვრება, თბილისი, 1975).

5 M. van Esbroeck, Les plus Anciens homéliaires géorgiens. Etude descriptive et historique, Louvain-la-neuve 1975; ბედი ქართლისას წინამდებარე ტომში იხ. ამ ნაშრომისადმი მიძღვნილი ელ. მეტრეველის სტატია.

6 მისი ხელწერის ნიმუში იხ. ცაცა ჭანკიევის სტატიისთვის „პალესტინელ გადამწერ „იოვანეთა“ შესახებ“ დართულ ტაბულაში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი III, თბილისი, 1973, გვ. 45–51. სავარაუდოდ, უყურადღებობის გამო ვ. იმნაიშვილი ამ ხელნაწერის გადამწერად მიიჩნევს ათონელ გადამწერს. პეტერსის თანახმად, ჟორდანია ხელნაწერს IX ს-ზე ადრეულად მიიჩნევდა, მარი კი XI ს-ით ათარილებდა; რ. გვარამია მას IX ს-ით ათარილებს.

მთავრულით შემონახული ერთადერთი მინაწერი fol.69–ზე: „მილ-ხინე, ღმერთო ცოდვილსა <დავითს>(?)“ გადამწერის ხელით არ არის გაკეთებული და ბევრს არაფერს გვაძლევს ხელნაწერის ისტორიის შესასწავლად.

ფურცლების ჩამოჭრის გამო დაკარგულია პირველადი პაგინაცია, თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა; სამაგიეროდ, შემორჩენილია რვეულების ორმაგი ნუმერაცია. უახლესი მათგანი XIX ს–ით უნდა თარიღდებოდეს, როცა ფურცლები (არასწორად) დაალაგეს: იგი, მართლაც, შეესაბამება ფურცლების დღევანდელ რიგს და ძველ დათვლას არ იყენებს (ნაცვლად იბ=12, გადადის ლ=30–ზე; ამ სისტემაში „იბ“ მიუთითებს n. 10 რვეულის მეორე ფურცელს). საბედნიეროდ, შესაძლებელია ხელნაწერის თავდაპირველი რვეულების აღდგენა, რადგან გადამწერის ხელით დანომვრა, თუმცა იგი რიგ შემთხვევაში ფურცლის დაზიანების გამო დაკარგულია, ნაწილობრივ მაინც არის შემორჩენილი.

ხელნაწერის შემონახული ნაწილის პირველადი სახე შეიძლება, შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

რვეულების n	ფურცლები უახლესი ნუმერაციის მიხედვით							
(24)	.	78	79	80	81	82	83	.
(25)	.	74	75	.	.	76	77	.
26	84	85	86	87	88	89	90	91
27	92	93	94	95	96	97	98	99
28	100	101	102	103	104	105	106	107
29	108	109	110	111	37	38	39	40
30	41	42	43	44	45	46	47	48
31	49	50	51	52	53	54	55	56
32	57	58	59	60	61	62		
33	63	64	65	66	67	68	69	70
34	71	72	73	1	2	3	4	5
35	6	7	8	9	10	11	12	13
36	14	15	16	17	18	19	20	21
37	22	23	24	25	26	27	28	29
38	30	31	32	33	34	35	36	.

შემორჩენილი 15 რვეული თავდაპირველი ხელნაწერის მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც ჩვენს ფრაგმენტამდე შეიცავდა 23 რვეულს,

ანუ 184 ფურცელს (პლუს 24-ე რვეულის პირველი ფურცელი) და, სულ ცოტა, 6 რვეულს მის შემდეგ და სრულდებოდა ანასტასის ტექსტით: ე. ი. ჩვენამდე ხელნაწერის მაქსიმუმ მესამედს მოუღწევია.

დათვლა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პირველი შემონახული თხზულება, „ეფრემ ასურის ცხოვრება“, იწყებოდა 23-ე რვეულის თავში; სხვათა შორის, გადამწერი ხშირად ახალ თხზულებას ახალი ფურცლიდან იწყებდა: ff 37, 1.

ხელნაწერის გარეგნული აღწერილობის შემდეგ – რამდენადაც ამის გაკეთება შესაძლებელია მიკროფილმიდან – გადავიდეთ შინაარსის განხილვაზე.

* *
*

(ff. 74–111) [რვ. 23–29] „ეფრემ ასურის ცხოვრება“ აკლია 14 ფურცელი.

სხვა ქართული დამოწმება: B. M. Add 11281, ff 246–274. ეს ხელნაწერი გამოიცა ორჯერ: G. Garitte, *Vies géorgiennes de S. Syméon Stylite l'ancien et de S. Ephrem, C.S.C.O.* 171–172 (ლათინური თარგმანი), Louvain, 1957 (ლიტერი G); ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხოვრებანი, თბილისი, 1975 (ლიტერი I), რომელიც წარმოადგენს ხელნაწერის B.M. Add. 11281 სრულ გამოცემას.

ხელნაწერი A-249 1957 წელს ხელმისაწვდომი არ იყო პროფ. გარიტისთვის; ვ. იმნაიშვილს არ უცდია ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რაც შეესაბამება G-ს გვ. 84, 16–88, 29; 90, 17–91, 32; 93, 15–94, 27 და 95, 21–116, 14 და I-ს გვ. 214, 42–217, 18; 218, 13–219, 6; 219, 41–220, 32 და 221, 10–232, 37.

ბ-ნი გარიტის აზრით, მოდელი უნდა ყოფილიყო სირიული (ვ. იმნაიშვილი მიუთითებს მის პოზიციას საკუთარი აზრის გამოუთქმელად). რამდენადაც ვიცით, სირიული „ცხოვრება“ BHO 269 მხოლოდ ორ ძველ ენაზე, არაბულსა და სომხურზე იყო ნათარგმნი. სომხური თარგმანი, რომელიც 1101 წ. გრიგოლ მარტიროფილის ბრძანებით განხორციელდა, ვერ იქნებოდა ქართული ვერსიის მოდელი, რომლის ორივე ცნობილი დამოწმება XII ს-ზე ადრეულია. ასე არაა არაბული თარგმანის შემთხვევაში, რომლის ერთი ხელნაწერი მაინც, Sin. arabe 457 X ს-ით თარიღდება; აქ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ უშუალო შეპირისპირებითაა შესაძლებელი.⁷

⁷ ეს ხელნაწერი აღწერა ჟ. მ. სოჟემ, *La Collection homilético-hagiographique du manuscrit Sinai Arabe 457*, in. *Proche-Orient Chrétien* 12, 1972, p. 129–167; ჩვენ დავიმოწმებთ ხელნაწერის ფურცელსა და სტრიქონს კონგრესის ბიბლიოთეკის გამოცემის მიხედვით; სირიულს გამოვიყენებთ T. J. Lamy, *Sancti Ephraem Syri hymni et*

ბ-ნი გარიტის მიერ წარმოდგენილი სირიული წარმომავლობის ნიშნები შემდეგია:

ა) მიმართებით ნაცვალსახელებზე კუთვნილებითის დამატება: § 4 „ღმერთი, რომლისაჲ დიდებულ არს სახელი მისი“ ქართული სინტაქსისთვის უცხოა. ციტირებული ჩანართი არ გვხვდება სირიულსა და სომხურში, სამაგიეროდ, ვხვდებით არაბულში 109r 15: **الله جال ثنا**. ამავე ჩანართს ვხვდებით სხვა ტექსტში, რომელსაც, ჩვენი ვარაუდით, უშუალოდ არაბული მოდელი ჰქონდა: ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბ. 1955, გვ. 223, 14–15. მიმართებითი + კუთვნილებითი გვხვდება სირიულსა და არაბულში § 38: ე.ი. ნიშანი ვარგისია ორივე ენისთვის.

ბ) § 27-ის არასწორი თარგმანი „წიწილები“ ნაცვლად „კვერცხებისა“ (სირიულ სიტყვას ორივე მნიშვნელობა აქვს); ქართულმა, ისევე როგორც არაბულმა, თარგმნა როგორც „წიწილები“, თუმცა ხელნაწერში გვიანდელი ხელით ჩასწორდა „კვერცხებად“.

ც) ერეტიკოსი „დუმანი“ ნაცვლად „მანისა“, რომელსაც წინ უძღვის გენეტივის ნაწილაკი „დ“; არაბულში 117v 3: **رومانى**. ქართულის არაბულ მოდელში არც ისე გარკვევითაა ეწერა **ر** და **ا**, ასევე **ج** – რაც დაუშვებელია სირიულში – როგორც ამას მოწმობს § 19-ში „დონობიოსის“ ქართული ტრანსკრიფცია ნაცვლად სირიული znwbyws-ისა და არაბული zn'bis-ისა 113 v 8. ძალზე საეჭვოა, რომ დამოუკიდებლად მოღვაწე არაბ და ქართველ მთარგმნელებს ერთნაირი გასაოცარი შეცდომა დაეშვათ და მერე მოეხდინათ „მანის“ წინამდებარე „დ“-ს „უ“-დ ვოკალიზება.

სურათის შესავსებად უნდა აღინიშნოს, რომ უხვად გვხვდება ქართულის არაბულთან თანხვედრისა და სირიულისგან განსხვავების მაგალითები. არაბული ტექსტის კრიტიკულ გამოცემამდე მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

§ 4

Géo G 83, 28–29, I 214, 27–28: მაშინ ყო ერსა ზედა ლოცვით სალხინებელი, რომელ არს ილასმონი, წმიდასა ეკლესიასა შინა.

Arabe 109v 18: ყო ილასმონი ყოველსა ერსა ზედა წმიდასა ეკლესიასა შინა

Syr: ყო სალხინებელი ყოველისა ეკლესიისათვის.

Arm: om.

არაბული საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ლექსიკონისთვის

sermones II, Malines 1886, col. 3–89; სომხურისთვის კი ჩვენ მიერ მომზადებულ, ჯერ გამოუქვეყნებელ კრიტიკულ ტექსტს; ქართულს მივუთითებთ ჟ. გარიტისა (G) და ვ. იმნაიშვილის (I) გამოცემების მიხედვით.

უცხო სიტყვა⁸ ლეჯბტა“, რომელიც უნდა იკითხებოდეს როგორც „ჰეჯიბთა“ და არაბული „ჰაჯიბიდან“ მომდინარეობს. ე.ი. § 6-ის გაუგებარი პასაჟი ითარგმნება როგორც:

Géo G 85, 29–86, 2, I 215, 34–38: „და არავის უთხრა მოყუასთა მისთა, (რომელნი–იგი ეტყოდეს მას, ვითარმედ: არა არს აქა მეფეჲ. და რამეთუ) რომელნიმე მარზაპანთაგანნი მოვიდოდეს ჰეჯიბთა მთავრისა მისისა თანა და ეტყოდეს, ვითარმედ: არაა არს აქა მეფეჲ, არამედ არს იგი ანტიოქიას ქალაქსა...“

Arabe 110v 6–8: „და მან არაფერი უთხრა თავის თანმხლებთ, რომლებიც მასთან იყვნენ, და ზოგი მისი მარზაპანი მივიდა მის ჰეჯიბთან და უთხრეს მას: მეფე აქ არ არის, ის ანტიოქიაშია...“

Syr.: „ის დაემუქრა მათ ვინც ამბობდა, რომ ბერძენთა მეფე არის ანტიოქიაში...“

Arm.: „და მაშინვე გაბრაზდა თავის ახლობლებზე: „როგორ ამბობს, რომ მეფე აქ არ არის და ის ვისაც ვხედავ ვინ არის? და მათ განაგრძეს მტკიცება, რომ მეფე აქ კი არ არის, არამედ ან კონსტანტინოპოლშია, ან ანტიოქიაში...“

სტილისტური ანომალიები არაბულით იხსნება.

§ 5

Géo G 84, 19 I 215, 2: ხოლო წმიდაა.

Arab. 110r 8 და წმიდაა.

Syr.: წმიდაა.

Arm.: om.

§ 4

Géo.: G 81, 23–24; I 213, 13–14: რომელმან იკადრა და გიყო ესე საქმეჲ?

Arabe: 109 r 6: ვინ გაბედა და გიქნა ეს საქმე?

Syr.: om.

Arm.: ვის მიერ იქნა გაკეთებული ეს საქმე?

§ 21

Géo G 95, 23; I 221, 11 და თუმცა არა შეწევნა ღმრთისად (ბ–ნი

8 იხ. წინამდებარე სტატიის დანართი: რამდენიმე შენიშვნა ლექსიკონებისთვის ზოგიერთი უცხო სიტყვის შესახებ.

გარიტი მიუთითებს: აქ რაღაც უნდა აკლდესო).

Arabe: 114r 3 فلو لا عون الله: და რომ არა ღმერთის შეწევნა, ფორმულა სიტყვასიტყვითაა თარგმნილი ქართულად (თუმცა არა).

Syr.: om.

Arm.: om.

§ 25

Géo. G 98, 24–25, I 222, 39–40: კაბადუკიად.

Arabe 115r 10: კაბადუკია.

Arm. Կապադուკայ.

„ბ“ მოწმობს არაბულში „პ“-დ გადასვლას: „პ“ არ არსებობს არაბულში.

§ 28

Géo G 104, 15; I 226, 8 განაქარვნეს კორცნი აღდგომად.

Arabe 117v 9: მათ არ მისცეს ხორცს თავისი აღდგომა.

Syr.: მან არ მისცა ხორცს აღდგომა.

Arm.: მან უკუაგდო ხორცი აღდგომისგან.

ქართველმა მთარგმნელმა გამოიყენა არაბული ზმნის 'dm მნიშვნელობა, რომელიც კონტექსტს არ შეესაბამება..

ასევე მოხდა:

Géo G 93, 5, I 219, 33: იხილეთ მაჩუენებელი იგი.

Arabe 113 r 11: იხილეთ ეს ფარისეველი.

Syr. იხილეთ ეს ფარისეველი.

Arm. ის არის ფარისეველი.

აქაც საქმე გვაქვს არაბული ძირის ორ მნიშვნელობასთან.

Géo G 93, 14, I 219, 40: და ის მათ (პა)ტიობს.

Arabe 113 r 16: და მან ისინი განანათლა.

Syr. ქადაგებით.

Arm: ის მოუწოდებდა.

საქმე გვაქვს – عطى-ის (მიცემა) და عظ-ის (სწავლება) (დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე) აღრევასთან.

Géo G 104, 25, I 226, 15–16: არაბულის დარად 117v 14 უნდა ითარგმნოს როგორც: „რაჟამს იტყვედ მას შინა ესე სიტყუანი ტკბილნი“ G 114, 29 და 115, 10, I 232, 4 და 113 „საჭიროება“ აიხსნება ḥawadj-ის ორი მნიშვნელობით: „საჭიროება“ და „საქმე“.

გვხვდება ფორმაუცვლელი მიმართებითი ნაცვალსახელის ხმარე-

ბის მრავალი მაგალითი.⁹

Géo G 105, I 226, 20: საკითხავთა მისთა, რომელი (მხოლობითში) დაწერა Arabe 117 v 17: ქადაგებები რომელიც ٢٤٨ დაწერა.

Syr. Om.

Géo G 105, 28–29, I 227, 1–2 „და ყოველთა სასწაულთა თანა, რომელსა (მხ. რ.) იგი იქმნოდა წმიდად ეფრემ, და ქმნა ესეცა სასწაული ქალაქსა შინა ურაჰისასა.“

Arabe 118r 9–10 და ყველა სასწაულებთან ერთად, რომელსაც (მხ. რ.) აკეთებდა ეს დიდებული, ასევე გააკეთა რაღაც ედესაში.

Syr. Om.

Arm. Om.

Géo.: G 92, 7; I 219, 11; ეფრემ, ეფრემ.

Arabe: 112v 5 ეფრემ, ეფრემ.

Syr.: ეფრემ.

Arm.: ეფრემ.

ემოთ მოყვანილის საფუძველზე ვფიქრობთ, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: „ეფრემის ცხოვრების“ ქართული თარგმანი მომდინარეობს სირიული დედნიდან, ოღონდ არაპირდაპირ, არაბულ მოდელზე გავლით.

2.(ff. 37–49) „წმინდა მამების სტეფანესა და ნიკონის ცხოვრება“

სხვა ქართული დამოწმება B.M. Add ff. 300–305v. ტექსტი ლონდონის ხელნაწერების მიხედვით გამოაქვეყნა ა. ხახანოვმა (ხახანაშვილი) 1905 წ. „მოამბის“ II 8–ში, შემდეგ (გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ; მ. ჯანაშვილიც იყენებს ჩვენს ხელნაწერს) ტ. IV, 1913 წ., Древности Восточные, რუსული თარგმანით. უკეთესი გამოცემა იხ. I 256–261 (ხელნაწერი B.M.); რამდენადაც ვიცით, ვ. იმნაიშვილი აპირებს გამოსცეს ტექსტის გერმანული თარგმანი და მოკლე გამოკვლევა.

მოდელი უცნობია, მაგრამ ქართული ტექსტი მოდელის ენის დაუზუსტებლად, სრულდება შენიშვნით „ითარგმნა ცხოვრებად ესე წმინდათა მამათა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაძს ლავრასა“.

გამოთქმა, როგორცაა „ვად ჩემდა შენ მიერ (I 257, 18–19, 21–22, 23), რომელსაც ვხვდებით „მამათა სწავლანის“ 220, 3–ში, ვფიქრობთ, ზუსტად შეესაბამება ٢٤٨ ტიპის მოდელს. ამ შემთხვევაშიც, საქმე უნდა გვექონდეს არაბულის გავლით ნათარგმნ სირიულ ტექსტთან, რადგან სირიულის გარეშე ძნელი ასახსნელია „ბარსენარაქ“¹⁰ (i 258, 6; ხელნაწერი A-249, f 41v 5: ბარსენაქ) ნაცვლად ბარ სირახისა.

9 იხ. J. Blau, a grammar of christian arabic, C.S.C.O. 279, Subsidia 29, Louvain 1967, § 431.

10 თუ თავდაპირველად მივიჩნევთ ბარსენარაქის საკითხავს, ეს არაბულში უმახვილო „ი“ და „ნ“-ს აღრევით უნდა იყოს გამოწვეული.

ჩვეულებრივი თარგმანი არაბულად არის იბნ სირახ, მაგრამ სირიული მოდელის ტექსტებში გვხვდება „ბარ“: მაგ. იბნ-ატ-ტაიიბის¹¹ შემთხვევაში. თავად ციტატაც ძველ არაბულ ტექსტს ჰგავს.

Géó: იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის სიკვდილამდე, და უფალი (A-249: ღმერთი) იბრძოლებს შენთვის.

Arabe¹² იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის სიკვდილამდე და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის.

Gr.: სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტებისთვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის.

3. (ff. 49–73v) „წმ. ნისიმეს ცხოვრება“

სხვა ქართული დამოწმებები:¹³ თბილისი, A-146 (XV), ff 90–108v; A-382 (XVI), ff 94–100v; A-124, (1586), ff 302v–315v; Wien, Nation albibliothek, georg. 4 (1160), ff. 224v–234v და ბევრი უფრო გვიანდელი ხელნაწერი.

ტექსტი გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიშინი i, თბ., 1918, გვ. 202–214; კეკელიძემ გამოაქვეყნა ტექსტის რუსული თარგმანი გამოკვლევით (კიევის სასულიერო აკადემიის შრომები, მარტი, 1911; იგივე იხ. ეტიუდები, VII, გვ. 76–101). პ. პეტერსი ამ ნაშრომის ანგარიშში მიუთითებდა, რომ არ ეთანხმებოდა სავარაუდო კოპტური დედნის არსებობას. ფიქრობთ, აქაც საქმე უნდა გვექონდეს სირიულ ტექსტთან, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში არაბულის გავლით შეაღწია. მართლაც, თანამედროვე გამოკვლევა, რომელსაც ვერ გავეცანით, მოწმობს, რომ ქართული ვერსია თარგმნის არაბულ მოდელს:¹⁴ ნ. წაქაძე, ნისიმეს ცხოვრების ქართული და არაბული ვერსიები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, გვ. 108–121.

4. (ff. 1–18v) იოსებ არიმათიელი, ლუდიის ეკლესიის შესახებ.

სხვა ქართული დამოწმებები: თბილისი, A-144 (X), ff. 91v–97; ათონი, Iviron géo–9 (977), ff. 154–164 (და მისი XVIII ს-ის ასლი, თბილისი, A-56).

სამივე ხელნაწერი გამოიყენა ნ. მარმა ნაშრომისთვის Иосиф

11 Fiqh an-naṣrānīya, éd. W. Hönerbach–O. Spies, C.S.C.O. 161, arab. 16, Louvain, p. 8, l.2.

12 R. M. Frank, The Wisdom of Jesus Ben Sirach (Sinaï ar. 155, IXth /Xth cent.), C.S.C.O. 358, arab. 31, Louvain, 1974

13 აქ ვიყენებთ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში ყოფნისას რ. გვარამიას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

14 არაბული ხელნაწერების შესახებ იხ. G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur I, Studi e Testi 118, Città del Vaticano 1944; ამასთან ერთად, Sin. ar. 542 (IX–X), Sin. ar. 538 (1211) და Sin. ar. 469 (XIII). იხ. გვ. 99, დანართი.

Армафейский (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии 2) Ст. Петерб. 1900.

5.(ff. 18v-27v) წმ. იერონიმეს ჰომილია ლუდიის ეკლესიის კურთხევაზე.

სხვა ქართული დამოწმება: თბილისი, H-535 (XI), ff. 139-145.

ტექსტი გამოსცა კ. კეკელიძემ, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი I, თბ., 1918, გვ. 1-5, ჩვენი ხელნაწერის მიხედვით. გამომცემელმა შენიშნა ამ თხზულების კავშირი წინა თხზულებასთან.

6. მარს უნდა დაეშვა არაბული მოდელის არსებობა; პეტერსი მას ვარაუდობდა: „საკუთარი სახელების ზოგი დამახინჯება, როგორიცაა მაგ. „ბალადიოს“ ნაცვლად „პალადასი“, მიუთითებს არაბული ანბანის შეზღუდულ შესაძლებლობას (Anal. Boll. LX, 1922, გვ. 288). 4 და 5 ტექსტებისთვის გვინდა მივმართოთ ამავე ტომში დაბეჭდილ მ. ვან ესბროკის გამოკვლევას.

6. (ff. 27v-36 აკლია 6 რვეული) ანასტასი სინელის ლოცვა.

ეს ხელნაწერის ერთადერთი გამოუქვეყნებელი თხზულებაა. საქმე გვაქვს ჰომილიის მარხვის შესახებ და ფსალმუნი VI-ის (PG 89, 1077-1116) საკმაოდ თავისუფალ თარგმანთან გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტებთან შედარებით. შესავალი გამოტოვებულია და იწყება პირდაპირ ფსალმუნის პირველი მუხლით.

ამ ჰომილიის ყველაზე გავრცელებულ ქართულ ვერსიას წარმოადგენს ჩვენს ტექსტზე გვიანდელი თეოფილეს ვერსია. ჩვენთვის უცნობია, რომელ ვერსიას ეკუთვნის Wien, Nationalbibliothek, geo 4 (1160) ff. 3v-41-ის ტექსტი, რომლის ხელნაწერიც როგორც არაბულიდან ნათარგმნ ტექსტებს, ისე თეოფილეს თარგმანებსაც შეიცავს.

არსებობს მრავალი არაბული თარგმანი. საინტერესო იქნებოდა ჩვენი ტექსტის შედარება ხელნაწერთან Vatican arabe 71 (885), როცა მასზე ხელი მიგვიწვდება.

* *
*

ხელნაწერი A-249-ის წარმოდგენის შემდეგ იკვეთება, რომ შემონახული ექვსი ტექსტიდან პირველი ხუთი ნათარგმნია სირიულიდან არაბულის გავლით.

„ეფრემის ცხოვრების“ მიმოხილვისას მ. თარხნიშვილი წერდა, რომ ის მიეკუთვნებოდა „ქართული აგიოგრაფიის უძველეს ფენას და რომ უცხოური ლიტერატურის მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო შეეღწია ქართულში სირიულის გავლით.... ენა.... ძალიან ძველია. რაც ხელს არ უშლის, რომ ამ ტექსტში შეხვდეთ უახლეს ტერმინებს სირიული ტექსტების ქართული ვერსიები შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ

ჩვენი ლიტერატურის შექმნის გარიჟრაჟის მახლობელ ეპოქაში.¹⁵

საკმაოდ თანამედროვე ელფერის მქონე ამ სიტყვებს, როგორც ჩანს, კიდევ უფრო უნდა მიეძღვია მეცნიერის ყურადღება. სხვაგან გაჩვენებთ, რომ „ეფრემის ცხოვრების„ სირიული რედაქცია VIII ს-ის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს. სავარაუდოდ, იგი ქართულად IX ს-ში ითარგმნა. უშუალოდ სირიულიდან ქართულად ნათარგმნი ტექსტები თანდათანობით იშვიათობად იქცა (გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ „პორფირე ღაზელის მარტვილობაც“ არაბული გზით შემოსულიყო). პირიქით, ქრისტიანული არაბული სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გზა გახდა სირიული თუ ბერძნული ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად გადმოსატანად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამ ტექსტების შემომნახველ ერთადერთ წყაროდ რჩება.

ამჟამად არათანმიმდევრულად აკინძული ხელნაწერი A-249 შეიცავს თავდაპირველი ხელნაწერის მაქსიმუმ ერთ მესამედს. და მაინც, შეიძლება ვიფიქროთ კრებულის ძირითად ხაზზე: ის არ უნდა ყოფილიყო ლიტურგიული ხასიათის (ხელნაწერში მითითებული არ არის იმ საკითხავების გატანა, რომლებიც მთლად აშკარად არ ჯდება კალენდრის რიგში). კავშირი ალბათ პალესტინის სამონასტრო ტრადიციაში უნდა ვეძებოთ: ეს უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ტექსტები, წმინდანთა ცხოვრებები თუ შეგონებები და პალესტინასთან დაკავშირებული ტექსტები.

ხელნაწერმა A-249 შემოგვინახა მთელი რიგი ტექსტებისა, რომლებისთვისაც ის უძველესი, რომ არ ვთქვათ, ერთადერთი დამოწმებაა. ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ A-249-ში შემავალ თხზულებებს, ხშირად შეიცავენ არაბულიდან ნათარგმნ სხვა ტექსტებსაც: B. M. Add. 112281 შეიცავს „ეფრემის ცხოვრებას“, „იოანე ედესელის ცხოვრებას“, „კვირიაკოზის ცხოვრებას“, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრებას“; Wien, geo-4 – „დიონისე არიოპაგელის ცხოვრებას“, Iviron-9 მთლიანად არაბულიდანაა ნათარგმნი; H-535 „იერუსალიმის აღებას სპარსელების მიერ“ და „ეფრემის ქადაგებებს“. სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ „ეფრემის ცხოვრებასთან“ დაკავშირებით დამოწმებულ სინურ ხელნაწერში Arabe-457 რვეულები დანომრილია ქართული ნუსხურიით და შეიცავს „მარტვირიუსის“ ფრაგმენტს¹⁶ (ქართული კომპილაციისგან განსხვავებით, რაც ადასტურებს არაბული ვერსიის არსებობას ადრეულ ეპოქაში).

ხელნაწერი A-249 თავისებურად გვიჩვენებს არაბული ენის სწრაფ გავრცელებას პალესტინაში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის და პარალელურად, სირიულის დაცემას. იგი ასევე, ქართველების პალესტი-

15 Publications récentes relatives à la littérature géorgienne, in. Le Muséon LXXI, 1958, p.186-189.

16 ვამზადებთ გამოსაცემად.

ნურ ტრადიციებთან ასიმილაციის დამოწმებაა. როგორც ჩანს, იგი იმსახურებდა, უკეთ ყოფილიყო ცნობილი და სწორედ ეს გახლდათ ზემოთ ნათქვამის მიზანი.

დანართი ლექსიკური შენიშვნები

ერთი შეხედვით რამდენად უცნაურიც უნდა ჩანდეს, შრომას ძველი ენის ლექსიკონის შესადგენად არაერთგზის მოყოლია შედეგად იმ სიტყვების ამოღება, რომლებიც, თითქოსდა, მასში უნდა ფიგურირებდეს. ხელნაწერი A-249 მოიცავს მრავალ ასეთ, ახლად მიჩნეულ სიტყვას, რომელთა ამოღებაც დასაბუთებას საჭიროებს.

1. მცლა

„ეფრემის ცხოვრებაში“ G 87, 21 (ფრაგმენტი ამოკითხულია პროფ. ლანგის მიერ): საქმე ეხება ზმნა „მხილებას“ ფორმას, რომელიც ზუსტად გადმოსცემს არაბულ Bakkat-ს (და რომელიც გვხვდება I 211, 18-ში: ამხილოს).

2. ლეჯბთა

G 85, 31. თავის თარგმანში ბ-ნი პროფ. გარიტი აღნიშნავს: „ლექსიკონებში حاك არ გვხვდება“. სიტყვა ამოკითხულ უნდა იქნას როგორც „ჰეჯბთა“ ან ისე, როგორც გვხვდება A-249-ში – „ჰეჯბთა“ (გენეტივის მრავლობით რიცხვში). „ჰეჯბთა“ ამგვარი დაწერილობით არ გვხვდება ლექსიკონებში, მაგრამ გვხვდება „ჰ“-ს გარეშე: ეს გახლავთ, ტრანსკრიფციის წესების დაცვით გადმოტანილი არაბული ḥādīb-ის ნასესხობა.¹⁷ სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს – „მეფის მაგიერ მოლაპარაკე; წინამდები მეფეთა; ხელჯოხიანი უფროსი“. ტექსტში საუბარია მარზაპანებზე, დიდ მარზაპანზე: როგორც ჩანს, ტერმინი „ამირეჯიბი“, რომელსაც უფრო გვიანდელ ტექსტებში ვხვდებით,¹⁸ „ეფრემის ცხოვრების“ თარგმნის ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა. სიტყვა სწორადაა ამოკითხული და განმარტებული I 215, 36-ში.

17 ა-ს ნაცვლად წარმოდგენილი „ჰ“-ს ამოვარდნა ძნელი დასამტკიცებელი არ არის: მაგ. „ზუჰალი – ზუალი“ ნაცვლად პა-სა (ორი გრაფემა ეტლთა და შვიდთა მნათობთა თვის, გამომც. ა. შანიძე, თბილისი, 1975; ასევე: ექიმი – ٤٢٢; ძველ და საშუალო ქართულში არ გამოიყენება თანამედროვე ქართული ენის წესი: arabisches h fällt stets aus, (H. Farenrich, arabische Lehnwörter in der georgischen Sprache, in: B.K. XVII–XVIII, 1964, p.155–163, ციტ. p. 158)

18 ქართლის ცხოვრება, ტ. II; გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1959, გვ. 305, სტრ. 15.

3. სამრიმარი

G 95, 25. სიტყვა სწორადაა თარგმნილი როგორც *onus* (თვირ-ტი), მაგრამ უნდა იკითხებოდეს როგორც „სამძიმარი“. საქმე ეხება ბარგ-ს.¹⁹ ასოები „რ“ და „ძ“ ხუცურ დამწერლობაში ხშირად ძნელად გასარჩევია.²⁰ სიტყვა სწორადაა ამოკითხული I 221, 13-ში.

4. შარი

„იაკობის პირველსახარების“ პალიმფსესტური ვერსიის გამოცემაში²¹ პროფ. ჯ. ნ. ბერძოლი სვამს კითხვას, ხომ არ უკავშირდება ეს სიტყვა ბერძნულ *σφαῖρα*-ს. ი. აბულაძესთან ეს სიტყვა დამოწმებული არ არის, ხოლო სულხან-საბა ორბელიანი მას თარგმნის როგორც „კეთილ ნარმას“. ჩვენ ვვარაუდობთ სირიული *ܫܪܝܐ*-ს, „აბრეშუმის“ „ნასესხობას. სწორედ ეს სიტყვა გვხვდება „იაკობის პირველსახარების“ სირიული რედაქციის შესაბამის პასაჟში.²²

ბ. უტიე
სოლემის სააბატო

P. S.

ეს სტრიქონები უკვე იბეჭდებოდა, როცა მივიღეთ ნ. წაქაძის ახალი სტატია: „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსია (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, 1, გვ. 69–79), რომელიც გვიჩვენებს, რომ სამივე ქართული რედაქცია ერთი და იმავე არაბული მოდელიდან მომდინარეობს.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი

19 იბ.G. Charachidzé, *Le système religieux de la Géorgie païenne*, Paris, 1968, p. 559–560.

20 მაგალითად, M. van Esbroeck, in. *anal. Boll.* 1971, p.172, სტრ. 10 კითხულობს როგორც „ნასირვებად“; ი. აბულაძის ლექსიკონში კი იგი ციტირებულია როგორც „ნასიძეებად“ („შობილ იყო დედაკაცისა ვისგანმე მეძავისა ნასიძეებად“, რაც უკეთესად გაგება კონტექსტს).

21 In *Le Muséon* LXXXIII, 1970, p. 56, სტრ. 3 და სქოლიო.

22 Ed. Smith–Lewis, in. *Studia Sinaitica*, XI, p. 29.

ჩვენი ავტორები Contributors

ავთანდილ არაბული – აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

Avtandil Arabuli – Academician, the Georgian National Academy of Sciences
(GNAS)

თამარ არჩვაძე – მაგისტრანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Tamar Archvadze – MA student, Ilia State University

ცისანა ბიბილეიშვილი – პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი
Tsisana Bibileishvili – Professor, Caucasus University

ვინფრიდ ბოედერი – ემერიტუს-პროფესორი, ოლდენბურგის უნი-
ვერსიტეტი
Winfried Boeder – Emeritus Professor, University of Oldenburg

ელგუჯა დადუნაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმ-
წიფო უნივერსიტეტი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
Elguja Dadunashvili – Associate Professor, Ilia State University, Friedrich
Schiller University Jena

ნინო დობორჯგინიძე – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსი-
ტეტი
Nino Doborjginidze – Professor, Ilia State University

დარეჯან თვალთვაძე – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Darejan Tvaltvadze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ელენე ლადარია – ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Elene Ladaría – Associate Professor, Ilia State University

მღვდელმონაზონი ეფრემ გივი ლომიძე – ღვთისმეტყველების პაბი-
ლიტირებული დოქტორი (doctor habilitatus). წმ. ეფრემ ასურის
სახელობის აღმოსავლურ-დასავლური სასწავლო-სამეცნიერო
ცენტრის ხელმძღვანელი; ვენის უნივერსიტეტისა და თრუმაუს
კათოლიკური უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

Hieromonk Ephrem Givi Lomidze – PD Dr. theol. habil. Rector of St. Ephrem Scientific Center for Orient&Occident-Studies (STEP); Private Lecturer at the University of Vienna and Teacher at the ITI Catholic University

თამარ მახარობლიძე – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟესტური ენის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

Tamar Makharoblidze – Professor, Ilia State University, Head of the ISU Sign Language Research Lab

ბერნარ უტიე – ემერიტუსი, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) წამყვანი მკვლევარი; ბიბლიური რელიგიების კვლევითი ცენტრის (CERL) მონოთეისტური კვლევების ლაბორატორიის (LEM) ნამდვილი წევრი

Bernard Outtier – Director of Research Emeritus at CNRS; Statutory Member of the Laboratory of Monotheist Studies, CERL

დიანა ფორკერი – პროფესორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი

Diana Forker – Professor, Friedrich Schiller University Jena

ნიკა ხოფერია – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ასისტენტ-პროფესორი

Nika Khoperia – PhD student, Ilia State University; Assistant Professor at Georgian Institute of Public Affairs (GIPA)